

ირაკლი ჩხაიძე

„ანგელოზი“ „დემონის“ პირისპირ:
დასავლეთის წინააღმდეგობრივი
სახე საქართველოში



ირაკლი ჩხაიძე

**„ანგელოზი“ „დემონის“ პირისპირ:
დასავლეთის წინააღმდეგობრივი
სახე საქართველოში**



გამომცემლობა „ანისალი“
თბილისი 2022



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

პროექტი განხორციელდა საქართველოს შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.
გრანტი № YS-18-1461.

The work was supported by Shota Rustaveli National Science
Foundation of Georgia. Grant N YS-18-1461.

რედაქტორი: პროფესორი ნინო ჩიქოვანი

რეცენზენტი: ასოცირებული პროფესორი ივანე წერეთელი

© ირაკლი ჩხაიძე, 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაშვილის №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-33-231-9

შინაარსი

შესავალი	4
ნაშრომის კონცეპტუალური საფუძველი: რატომ პოპულიზმი?	9
დასავლური დისკურსი ნაციონალიზმის ეპოქაში	37
დებატები კულტურული იდენტობის გარშემო 1980-იანი წლების საქართველოში	64
ეროვნული პოპულიზმის სანყისები პოსტსაბჭოთა სივრცეში: საქართველო	70
დასავლეთი და საქართველოს მეორე დამოუკიდებლობა	81
„დასავლეთი რომ არ ყოფილიყო...“	
ევროატლანტიკური კურსის იდეალიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია	97
დასავლეთის დემონიზაცია	
ანტიდასავლური პოპულიზმი საქართველოში	115
დასკვნა	130
Summary	145

შესავალი

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, რომლებსაც, დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, იდენტობის კრიზისმა და რადიკალურმა ნაციონალიზმმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა, განაპირობა პოლიტიკური, სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაცია. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, პროდასავლური პოლიტიკური მისწრაფებების კვალდაკვალ, ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა თანდათან შეიძინა სამოქალაქო მახასიათებლები და ინკლუზიური ბუნება, თუმცა საზოგადოების უკიდურესი პოლარიზაცია, „გაყოფილი ერის“¹ სინდრომი დღემდე სახელმწიფოს უმთავრეს გამოწვევად რჩება. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში დასავლეთისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება და მისი როლი იდენტობის ალტერნატიული დისკურს(ებ)ის ფორმირებაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს დასავლური სამყაროს არაერთგვაროვან აღქმას იდენტობათა განსხვავებული ვერსიების ჩამოყალიბების პროცესში.

1980-იანი წლების ბოლოდან დამოუკიდებლობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანი გახდა. მიზნის მიღწევისა და სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საზოგადოებისთვის რთულ პრობლემად იქცა. საბჭოთა სისტემის რღვევის პროცესში, ქართველებმა იდენტობის ახალი კონსტრუქციისა და სა-

¹ ტერმინს იყენებს სტივენ ჯონსი წიგნში *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 3.

ერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის ძიება დაიწყეს. ამ დროიდან, იდეამ ქართველთა ევროპულობისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის შესახებ მყარად მოიკიდა ფეხი საჯარო და აკადემიურ სივრცეებში.² „ევროპელობის“ იდეა დღესაც საკვანძო როლს თამაშობს ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, დასავლეთისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახად პოზიტიური. სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობის პარალელურად,

რომელიც ნაციონალური პროექტის ძირითად გზავნილად იქცა, დასავლეთისადმი შიშმა და უნდობლობამ თანდათან მოიცვა ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები დასავლეთის დემონიზებას ახდენენ, რომელიც დიდი ისტორიის მქონე, ტრადიციულ, ორთოდოქსულ ქვეყანას ემუქრება. გამოკვლევა მიზნად ისახავს დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის დაპირისპირებულ, თუმცა, ამავე დროს, მჭიდროდ გადაჯაჭვული ტენდენციების შესწავლას საქართველოს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში. დასავლეთის წინააღმდეგობრივი აღქმის გასააზრებლად, აუცილებელია, შევხვით საქართველოს პირველ დამოუკიდებლობას მე-20 საუკუნის დასაწყისში, მის წინა და მომდევნო პერიოდებს, რადგან დასავლურ სამყაროსთან დაკავშირებით შექმნილმა მაშინდელმა პარადიგმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოსტსაბჭოთა დამოუკიდებლობის დასაწყისში და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. წიგნში ასევე გაანალიზებულია საქართველოში პოპულიზმის თავი-

² Coene, Frederic. *Instrumentalizing Euro-Atlanticism. Euro-Atlantic Discourse in Georgia from the Rose Revolution to the Defeat of the United National Movement*. Doctoral Dissertation, 2013, გვ. 4, <https://bit.ly/3IW41jm> (ნანახია 22/02/2022).

სებურებები. კვლევის სტრატეგიიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, ქრონოლოგიური ჩარჩო არ ყოფილიყო მკაცრად განსაზღვრული, რადგან დასავლეთისადმი დამოკიდებულებისა და პოპულიზმის მიმართების შესწავლა მოითხოვს დროში გაშლილ ფაქტებსა და მოვლენებზე კონცენტრაციას, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიებას.

იდენტობის, ეროვნული ერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების კვლევა საქართველოში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების შედარებით ახალი მიმართულებაა. ამ კუთხით ბევრი პრობლემური საკითხი საჭიროებს თანამედროვე თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით გააზრებას. მცირეა იმ ნაშრომების რიცხვი, რომლებიც საკვლევ პრობლემას ჩვენთვის საინტერესო პერსპექტივიდან განიხილავს. მიუხედავად მდიდარი და მრავალფეროვანი ემპირიული მასალისა, მისი დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ სისტემატიზებული და კონტექსტუალიზებული რელევანტური თეორიული ჩარჩოს საფუძველზე. წარმოდგენილი ნაშრომი გარკვეულწვლილს შეიტანს ამ ხარვეზის გამოსწორებაში. კომბინირებული თეორიული მოდელის გამოყენებით, შევეცდები, მკითხველს განსხვავებული პერსპექტივიდან დავანახო საკითხები, რომლებიც განმსაზღვრელ როლს თამაშობდა თანამედროვე ქართველი ერის ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე და დღემდე მწვავე საჯარო დისკუსიის საგნად რჩება.

პრობლემა, რომლის გაანალიზებას გამოკვლევის ფარგლებში ვცდილობთ, საქართველოს უახლესი ისტორიის ნაწილია. საკვლევ პერიოდებში განვითარებულმა პროცესებმა დიდწილად განაპირობა საქართველოს სამინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, ასევე დამოუკიდებლობის შემდგომი ტრანზიციის პერიოდში მიღწეული წარმა-

ტებები თუ განცდილი მარცხი. საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ განვლილი გზის კრიტიკული ანალიზი. პროცესების შესწავლა იდენტობის კვლევების პერსპექტივიდან ხელს შეუწყობს როგორც უახლესი წარსულის ხელახალ გააზრებას, ასევე საქართველოში განვითარებული მოვლენების რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის განსაზღვრას.

კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლები, მიმართვები, ინტერვიუები, ოფიციალური დოკუმენტები, აკადემიური ნაშრომები და ჟურნალისტური წერილები, რომლებიც ქმნიან საჯარო დისკურსს. იგი კონსტრუირებული ფენომენია, ელიტების მიერ ყალიბდება და პოლიტიკური კონტექსტის ცვლილებასთან ერთად განიცდის ტრანსფორმაციას.

კვლევის მიზანია დასავლეთის აღქმის განსხვავებული დისკურსების შესწავლა საქართველოს საჯარო სივრცეში, ასევე იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც იდენტობის კონფლიქტური ნარატივების ფორმირება განაპირობა. განვლილი ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე შეუქცევადი დასავლური კურსი რთული სოციალური პროცესების ფონზე განვითარდა. აღნიშნულის ნათელი დასტურია უკანასკნელი პერიოდის მოვლენები, როცა ერთდროულად მიმდინარეობს დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის პროცესი. ამ პროცესის ანალიზი დაგვეხმარება პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რატომ არის წინააღმდეგობრივი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება დასავლეთისადმი.

1980-იანი წლების ბოლოდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა დომინანტური გახდა, მის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასავლეთისადმი დამოკიდებულების მკაფიოდ განსაზღვრა იქცა. შემდგომ პერიოდში ამ საკითხმა არა თუ დაკარგა სიმწვავე, არამედ კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდა და, დასავლურ სივრცესთან პოლიტიკური დაახლოების პარალელურად, ქართული საზოგადოების ნაწილისთვის განსაკუთრებულ პრობლემად ჩამოყალიბდა. დასავლეთი მოგვევლინა ერთგვარ წყაროდ, რომელიც ერთნაირი წარმატებით კვებავს როგორც ქართულ ორთოდოქსულ, ულტრა-ნაციონალისტურ, ასევე ლიბერალურ-დემოკრატიულ ნარატივებს. დასავლეთის დემონიზაცია და იდეალიზაცია საზოგადოებრივი განწყობებით მანიპულირებისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის მიღების ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საშუალებად იქცა. ნაშრომში გაანალიზებული, სისტემატიზებული და კონტექსტუალიზებულია ის ემპირიული მასალა, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს საჯარო სივრცეში შექმნილი ურთიერთდაპირისპირებული ხედვების ანატომია. მიუხედავად მწვავე დაპირისპირებისა, აღნიშნული ნარატივები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და ერთმანეთის აქტუალურობას განაპირობებს.

ნაშრომის კონსეფტუალური საფუძველი: რატომ პოპულიზმი?

აკადემიურ და პოლიტიკურ სივრცეში გაზიარებულია შეხედულება, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში განვითარებულ დესტრუქციულ პროცესებში მთავარი „დამნაშავე“ არატოლერანტული, ექსკლუზიური ქართული ნაციონალიზმია, რომელიც დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე აღმოცენდა.³ ქართული ნაციონალიზმი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 1990-იანი წლების ტრანზიციის პროცესში, თუმცა, საკვლევი საკითხის სრულყოფილი გააზრებისთვის მხოლოდ ნაციონალიზმის თეორიების გამოყენება არასაკმარისია, რადგან, ამ შემთხვევაში, კვლევის მიღმა რჩება საზოგადოების განვითარების საგულისხმო ტენდენციები. ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დონეზე აქტუალური, თუმცა აკადემიურად არცთუ მწყობრი პოპულიზმის კონცეფტი.

ტერმინი პოპულიზმი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და გამოყენებადია საჯარო სივრცეში, განსაკუთრებით, პოლიტიკური დებატების დროს. განსხვავებით საჯარო სივრცისგან, სადაც აღნიშნულ ცნებას ცალსახად უარყოფითი დატვირთვა აქვს, აკადემიურ წრეებში პოპულიზმი ფართო დისკუსიის საგანია. გასული ათწლეულების განმავლობაში მისი შესწავლა სოციალური მეცნიერებების საკვანძო საკითხად იქცა. მეოცე საუკუნის

³ ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*, გვ. 381.

მეორე ნახევარში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით მიმდინარე დებატების დროს, აკადემიურ ლექსიკონში მყარად მოიკიდა ფეხი პოპულიზმის ცნებამ, თუმცა მისი შინაარსი ხშირად არამკაფიო და წინააღმდეგობრივია.

ბრიტანელი მკვლევარი მარგარეტ ქენოვანი, რომელიც პოპულიზმის ფენომენის მეცნიერული გააზრების სათავეებთან იდგა, ჯერ კიდევ 1981 წელს გამოცემულ ნაშრომში „პოპულიზმი“ აღნიშნავდა, რომ მკითხველს, რომელიც მსგავსი დასახელების წიგნს გადაშლის, მცირე წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რას უნდა ელოდოს მისგან.⁴ მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი აქტიურ მიმოქცევაშია, იგი მრავალფეროვან და, ზოგჯერ, ურთიერთსაპირისპირო კონტექსტში გამოიყენება ისტორიკოსების, სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებისა თუ პოლიტიკური კომენტატორების მხრიდან. პოპულისტურ მოვლენებად მიიჩნევენ ხოლმე, ერთი მხრივ, პირდაპირი დემოკრატიისა ისეთი გამოვლინებებს, როგორებიცაა რეფერენდუმი, პლემბისციტი თუ სხვა სახალხო ინიციატივები ხოლო, მეორე მხრივ, დიქტატორულ რეჟიმებს, როგორიც იყო, მაგალითად, პერონის მმართველობა არგენტინაში. გარდა ამისა, პოპულიზმად ხშირად იწოდება საზოგადოების ნაწილის უარყოფითი რეაქცია ლიბერალური საკანონმდებლო ცვლილებებისა და, ზოგადად, ხელისუფლებების მიერ გატარებული ლიბერალური პოლიტიკის მიმართ, როგორიცაა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და სხვა. სამეცნიერო ლიტერატურაში პოპულიზმის კლასიკურ შემთხვევე-

⁴ Canovan, Margaret. *Populism*, Harcourt Brace Jovanovich, New York and London, 1981, გვ. 3.

ბად განიხილავენ სახალხო პარტიის აღმოცენებას ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნის ბოლოს და ხალხოსნურ (ნაროდნიკულ) მოძრაობას რუსეთის იმპერიაში მცირე ხნით ადრე. ასეთი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, სოციალურ მეცნიერებებში არსებული ზოგიერთი სხვა დეფინიციის მსგავსად, შეუძლებელია პოპულიზმის უნივერსალური განსაზღვრების მოძებნა, რომელიც ვარგისი იქნება სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევის ასახსნელად.

პოპულიზმის თემაზე ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო აკადემიური დისკუსია 1967 წელს, ლონდონის ეკონომიკის და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში, გაიმართა. კონფერენციაზე ისაია ბერლინმა პოპულიზმის უნივერსალური განსაზღვრების ძიების პროცესს „კონკიას კომპლექსი“ უწოდა: არსებობს ქოში, სიტყვა „პოპულიზმი“, რომლისთვისაც მუდმივად ეძებენ შესაბამისი ზომის ფეხს. ჩვენს წინაშეა სხვადასხვა ზომის ფეხი იმ პროცესების, მოვლენებისა თუ მოძრაობების სახით, რომელთა ახსნას ამ ტერმინით ვცდილობთ, თუმცა „ქოში“ სრულად არც ერთ მათგანს არ ერგება. მიუხედავად ამისა, პრინცი დაჟინებით ეძებს ქოშისთვის შესაფერის კიდურს, რადგან დარწმუნებულია იმაში, რომ ის ნამდვილად არსებობს.⁵

მოგვიანო პერიოდებში, მსოფლიოში განვითარებული დინამიური პროცესების კვალდაკვალ, აკადემიურ სივრცეში პოპულიზმის პრობლემისადმი დამოკიდებულება შედარებით მწყობრი გახდა. დაჯგუფდა დეფინიციები, შეიქმნა გარკვეული ტიპოლოგიური მახასიათებლები, რომელთა

⁵ Lonescu, Ghita. Gellner, Ernest. (eds.), *Populism: Its Meaning and National Characteristics*. The Garden City Press, 1969, გვ. 7.

საფუძველზე შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახის პოპულისტური ტენდენციის გამოკვეთა, მისი ტიპოლოგიური რაობის განსაზღვრა. მარგარეტ ქენოვანი პოპულიზმის 7 დეფინიციას აყალიბებს და, მიუხედავად მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობებისა, ცდილობს, იპოვოს ის ნიშნები, რომლებიც ყოველი მათგანისთვის საერთოა⁶. ქენოვანი სამ ელემენტს გამოყოფს, რომლებიც დამახასიათებელია ყველა ტიპის პოპულიზმისთვის, ესენია: ხალხზე აპელირება, მასების ეგზალტაცია და ანტიელიტიზმი. ნებისმიერი პოპულისტური მოძრაობა, თავისი ბუნებით, ანტიელიტისტურია და უპირისპირდება საზოგადოების ელიტარულ ნაწილში გაბატონებულ ფასეულობებს. მიუხედავად აღნიშნული საერთო ელემენტებისა, პოპულიზმი, მრავალგვარობისა და, ზოგ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, მაინც ჰეტეროგენული შინაარსის მატარებელი ფენომენია.⁷

თანამედროვე დემოკრატიულ მმართველობებში პოპულიზმის წარმოშობის მიზეზი ხშირად არის კონფლიქტი პოპულარულ სუვერენიტეტსა (საყოველთაო არჩევნების გზით, ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლების მმართველობა) და ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ ვალდებულებებს შორის. კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულება გარკვეული ჯგუფების უკმაყოფილებას იწვევს, რაც ქმნის პოპულისტების მხრიდან ხალხის განწყობებით მანიპულირების ერთგვარ სივრცეს. პოპულისტური პერსპექტივიდან, ლიბერალური დემოკრატია რეალურად სულაც არ არის დემოკრატიული და არ გამოხატავს ხალხის ნებას. პოპულისტების აზრით, რო-

⁶ Canovan, Populism, გვ. 4.

⁷ იქვე, 294.

გორიც არ უნდა იყოს ხალხის არჩევანი და განწყობა, ის შეიძლება უარყოფილი იქნას, თუ უპირისპირდება ლიბერალურ-დემოკრატიულ ნორმებსა და ფასეულობებს.⁸

პოპულისტები კონფრონტაციული სტილით გამოირჩევიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ძალაუფლების ლეგიტიმურ წყაროს თავად წარმოადგენენ, რადგან გამოხატავენ „ჩვეულებრივი ხალხის“ ინტერესებსა და სურვილებს, რომლებიც იგნორირებულია პოლიტიკური ლიდერებისა და პოლიტიკორექტული ინტელექტუალური ელიტის მიერ. ჯგუფები და მოძრაობები, რომლებსაც ტერმინ პოპულიზმის ქვეშ მოვიხსენიებთ, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, არ განეკუთვნებიან საერთო მახასიათებლების მქონე ერთიან იდეოლოგიურ მოძრაობას, როგორცაა, მაგალითად, მწვანეთა მოძრაობა და სხვა.⁹ პოპულიზმის ამა თუ იმ შემთხვევას ინდივიდუალური მახასიათებლები აქვს, რთულია მათი განზოგადება და ინტერნაციონალური იდეოლოგიური ქუდის ქვეშ გაერთიანება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ ფენომენს მაინც აქვს, მართალია ნაკლებ მწყობრი და სტრუქტურული, თუმცა იდეოლოგიური ხასიათი, რადგან პოპულიზმის ყველა გამოვლინება საზოგადოების ხალხად და ელიტად დაყოფისა და მათ შორის წინააღმდეგობის მკაფიო დიქოტომიას ეფუძნება.

პოპულიზმის ახალი ტალღის, იგივე „ახალი პოპულიზმის“ ჩამოყალიბებაში, რომელიც პოსტმოდერნული ეპოქისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, განმსაზღვრელ როლს თამაშობს ქარიზმატული ლიდერი. პოპულისტი ლიდერები წარმატებით აპელირებენ საზოგადოების ყველაზე

⁸ Canovan, Matrgaret. *The people*, Polity Press, Cambridge, 2005, გვ. 83.

⁹ იქვე, გვ. 74.

მგრძნობიარე მხარეებზე. ისინი, საზოგადოებრივი აზრის კონფრონტაციული მობილიზაციით ელიტური ჯგუფებისა და დომინანტური ნარატივების წინააღმდეგ, ცდილობენ ალტერნატიული ეროვნული პროექტების მხარდაჭერის უზრუნველყოფას. „ახალი პოპულიზმი“ მემარჯვენე ბუნებისაა, რაც მას მჭიდროდ აკავშირებს ნაციონალიზმის იდეოლოგიასთან.¹⁰ მიუხედავად იმისა, რომ პოპულისტები ცალკეული მონყვლადი ჯგუფების განწყობებით სარგებლობენ, ისინი საკუთარ თავს ზოგადად ხალხის, როგორც ეროვნული ერთობის ინტერესების გამომხატველად მიიჩნევენ. პოპულიზმი ხალხს როგორც ერთიან სხეულს განიხილავს, საერთო ინტერესებით და სურვილებით. მარგარეტ ქენოვანის სიტყვით, პოპულისტები უბრალო ხალხისთვის მებრძოლი „ჯვაროსნები“ არიან, რომლებიც რადიკალურად უპირისპირდებიან ელიტას და, ზოგიერთ შემთხვევაში, თავად გვევლინებიან ხალხის მიერ არჩეულ ლეგიტიმურ ლიდერებად.¹¹

თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში სამ მიდგომას გამოყოფენ, რომელთა ფარგლებში შესაძლებელია პოპულიზმის ფენომენის შესწავლა. ესენია იდეაციური, პოლიტიკურ-სტრატეგიული და სოციალურ-კულტურული მიდგომები. ჩვენი კვლევა, ძირითადად, სოციალურ-კულტურულ მიდგომას ემყარება, თუმცა, პრობლემის საფუძვლიანად გააზრებისთვის, საჭიროა სხვა მიდგომების გამოყენებაც. პოპულიზმის კვლევის სამივე კონცეპტუალური ჩარჩო მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და

¹⁰ იქვე, გვ. 75.

¹¹ იქვე, გვ. 78.

მათი ერთობლიობაში გააზრება ქმნის ემპირიული მასალის ინტერპრეტაციისთვის რელევანტურ თეორიულ მოდელს.

იდეაციური მიდგომა, რომელიც პოპულიზმს ვინრო, არასრულყოფილ იდეოლოგიად წარმოადგენს, ხშირად გამოიყენება ცალკეული შემთხვევების კონტექსტუალიზაციისთვის. პოპულიზმის შედარებითი კვლევისთვის დღეს ყველაზე პოპულარული იდეაციური კონცეპტუალური ჩარჩოა, რომელიც ხელსაყრელია განსხვავებული რეალობასა და კონტექსტში მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად.¹² სოციალურ მეცნიერებებში პოპულიზმის როგორც იდეოლოგიის შესწავლა 1960-იანი წლების ბოლოდან აქტიურდება. ბევრი მკვლევარი პოპულიზმს წარმოადგენს როგორც იდეათა ერთობლიობას, თუმცა ნაკლებად გვთავაზობს მის სრულყოფილ ანალიზს. ზოგიერთ ანალიტიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად იდეაციურ მიდგომას ემხრობა, ნაკლებად იყენებს იდეოლოგიას როგორც ტერმინს, რადგან მისი გამოყენება მკვლევარს დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს. მეცნიერთა ფართო ჯგუფი პოპულიზმს განიხილავს როგორც პოლიტიკურ დისკურსს, განსაკუთრებულ „ენას,“ იდენტობის ფორმას, პოლიტიკურ სტილს და ა. შ. კა მიუდე მიიჩნევს, რომ ყველა მსგავსი შინაარსის დეფინიცია, მიუხედავად სპეციფიკისა, თავსდება იდეაციური მიდგომის ფარგლებში, რადგან ყოველი მათგანი პოპულიზმს, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს როგორც იდეათა ერთობლიობას. ამ იდეათა ძირითადი არსი კი „ხალხისა“ და „ელიტის“ ანტაგონისტური ხედვაა.¹³ პოპულიზმის

¹² Mudde, Cas. “Populism: An Ideational Approach,” *The Oxford Handbook of Populism*. Oxford University Press, 2017, გვ. 27.

¹³ იქვე, გვ. 29.

კვლევის იდეაციურ მიდგომას, როგორც საბაზისო თეორიულ ჩარჩოს, იყენებს მკვლევარი მაიკლ კოული საქართველოში მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად¹⁴. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე ემპირიული მასალის ინტერპრეტაცია საინტერესო სურათს ქმნის, რადგან საზოგადოების უბრალო ხალხად და ელიტად დაყოფის ანტაგონისტური დიქოტომია მეტ-ნაკლებად უნივერსალურ იდეოლოგიურ პლატფორმას აყალიბებს, რომელიც მკვლევრისთვის ხელსაყრელია. მიუხედავად აღნიშნულისა, იდეაციური მიდგომა ზოგადია, ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევათა სპეციფიკას და აუცილებლად საჭიროებს სხვა კონცეფტუალური ელემენტებით გამდიდრებას.

პოპულიზმის კვლევის იდეაციური მიდგომა დომინირებს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც მისი სიმარტივით და უნივერსალური ხასიათით იხსნება – საზოგადოების ანტაგონისტურ ჯგუფებად დაყოფა ხშირად არის სხვადასხვა სივრცესა და კონტექსტში განვითარებული სოციალური პროცესების საერთო მახასიათებელი. არსებობს იდეაციური მიდგომის კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც ჩვენი კვლევისთვის ხელსაყრელ თეორიულ საფუძველს ქმნის; იდეაციური მიდგომის მომხრეთა მტკიცებით, პოპულიზმი მხოლოდ სხვა იდეოლოგიასთან ერთად არსებობს და მისი ნაწილია. იგი შეიძლება იყოს ლიბერალური დემოკრატიის, სოციალიზმისა თუ ნაციონალიზმის თანმდევი კომპონენტი. პოპულიზმი მოქნილი ფენომენია, ერგება სხვადასხვა რეალობას და აქტიურდება რომელიმე იდეოლოგიის ფარგლებში, სხვადასხვა ხელშემწყობი ფაქ-

¹⁴ Cole, Michael. “A Taste of Georgia. Far Right Populism with a Unique Georgian Flavour,” *Populism* 3 (2020). BRILL, გვ. 2-5.

ტორის ზემოქმედებით.¹⁵ ეს დებულება საინტერესოდ ვლინდება, როდესაც პოსტსოციალისტურ საქართველოში განვითარებულ პროცესებს ვაანალიზებთ; პოპულისტური ტენდენციები, ხშირად, ნაციონალიზის იდეოლოგიის ნიაღში ვითარდება და საზოგადოების ნაწილში ქმნის ნაციონალისტურ დისკურსს, რომელიც ქართული კულტურის საბაზისო ფასეულობების მოშლასა და ეროვნული იდენტობის დაკარგვაზე აპელირებს.

კა მიუდღე, რომელიც იდეაციური მიდგომის თვალსაჩინო წარმომადგენელია, გვთავაზობს პოპულიზმის მისეულ განსაზღვრებას. მისი დეფინიციით, პოპულიზმი არის იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებას ყოფს ორ ჰომოგენურ და ანტაგონისტურ ჯგუფად – „უბრალო ხალხი“ და „კორუმპირებული ელიტა.“ პოპულიზმის, როგორც იდეოლოგიის, მიხედვით, პოლიტიკა უნდა გამოხატავდეს ხალხის კოლექტიურ/საერთო ნებას.¹⁶ იდეაციური თეორიული მოდელის სიძლიერე და მიმზიდველობა რამდენიმე ფაქტორით აიხსნება: იგი აყალიბებს პოპულიზმის მკაფიო საზღვრებს, ქმნის ლოგიკურ თეორიულ კონსტრუქციას, იძლევა შედარებითი კვლევებისა და მრავალფეროვანი ფაქტორივი მასალის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.¹⁷ იდეაციური მიდგომა, ნაციონალიზმის კონსტრუქტივისტულ თეორიებთან ერთად, ჩვენი ნაშრომის კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს, რადგან კვლევის ერთ-ერთი მიზანი საქართველოში ეროვნული პოპულიზმის შესწავლაა, რომლის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ.

¹⁵ Moffit, Benjamin. *The Global Rise of Populism*. Stanford University Press, Stanford, 2016, გვ. 18.

¹⁶ Mudde, “Populism: An Ideational Approach,” გვ. 29.

¹⁷ იქვე, გვ. 34.

მნიშვნელოვანია პოპულიზმის კვლევის პოლიტიკურ-სტრატეგიული მიდგომა, კონკრეტულად, ის დებულებები, რომლებიც პოპულისტური მოძრაობებსა თუ აქტივობებში ლიდერის როლზე აკეთებს აქცენტს. ამ მიდგომის მიხედვით, პოპულიზმი ერთგვარი იარაღია პოლიტიკოსების ხელში საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისთვის. კურტ ვეილენდის სიტყვით, არსებობენ იდეოლოგიურ სისტემათა სათავეში მყოფი ლიდერები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, მუსოლინი ან ჰიტლერი, რომლებიც ნაკლებად შეიძლება პოპულისტებად მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში იდეოლოგია ბატონობდა და იდეოლოგიური ვერტიკალის სათავეში იდგა ლიდერი. კლასიკური პოპულისტები არ არიან კონკრეტული იდეოლოგიის მკაფიო მატარებლები. ისინი ლავირებენ საზოგადოებრივი განწყობების შესაბამისად, საკუთარ თავს განიხილავენ ხალხის, როგორც ერთი მთლიანობის აზრის გამომხატველად, არიან მოქნილები და ცდილობენ შექმნან ალტერნატიული დისკურსი.¹⁸ მსგავსი ტიპის ლიდერების გაჩენა დამახასიათებელია პოსტსოციალისტური სივრცისთვის, სადაც სტაბილური გარემოს არარსებობამ, ახალი იდენტობების ძიებამ, დამოუკიდებელი, კონკურენტული პოლიტიკური და პარტიული ცხოვრების ტრადიციის არქონამ ხელსაყრელი პირობები შექმნა პოპულისტური მოძრაობებისთვის.¹⁹

ბენჟამინ მოფიტი მიიჩნევს, რომ პოპულიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური სტილი, განიხილავს მას, როგორც წარმოდგენას, პერფორმანსს, სადაც ლიდერის სა-

¹⁸ Weyland, Kurt. "Populism: A Political-Strategic Approach," *The Oxford Handbook of Populism*. Oxford University Press, 2017, გვ. 50.

¹⁹ March, Luke. "Populism in the Post-Soviet States," *The Oxford Handbook of Populism*. Oxford University Press, 2017, გვ. 214-215.

შემსრულებლო უნარები განმსაზღვრელ როლს ასრულებს. როდესაც პოპულიზმზე, როგორც პოლიტიკურ სტილზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ისეთი ცნებებით ოპერირება, როგორებიცაა დისკურსი და რიტორიკა. ლიდერები კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში პოპულარული და გაზიარებული რიტორიკის გამოყენებით ქმნიან პოპულისტურ დისკურსს.²⁰ პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტილი, გამოიხატება ვერბალური და წერილობითი ფორმით – საჯარო გამოსვლებში, ინტერვიუებში, საპროგრამო ტექსტებში, პოპულარულ თუ აკადემიურ ნაშრომებში, რომლებიც ლიდერების მსოფლმხედველობას ასახავს და ქმნის საჯარო დისკურსს.²¹ დისკურსის კონსტრუირება ცენტრალური საკითხია არგენტინელი თეორეტიკოსის და ფილოსოფოსის, პოპულიზმის კვლევის ერთ-ერთი პიონერის, ერნესტო ლაკლაუსთვის. პოპულიზმისთვის ყველაზე ნოყიერი ნიადაგი იქმნება იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები, არარეალიზებული სურვილები და პოლიტიკური პროექტები, რადიკალური და ანტაგონისტური ალტერნატივები, გზაჯვარედინზე, ეგზისტენციალური არჩევანის წინაშე ყოფნის განცდა. ასეთ საზოგადოებაში სინათლის და წყვედიადის, სიკეთის და ბოროტების დაპირისპირების მანიქეისტური აღქმა აბსოლუტური მოცემულობაა და სივრცე სხვა ალტერნატივებისთვის არ არსებობს. ერნესტო ლაკლაუს შეხედულებით, ამ დროს პოლიტიკა თითქმის სრულად პოპულისტურია, ურთიერთგამომრიცხავ, ანტაგონისტურ ნარატივებს ემყარება, იქმნება ბინარულ ოპოზიციებზე დაფუძნებული პოლიტიკური პროექ-

²⁰ Moffitt, *The Global Rise of Populism*, გვ. 28.

²¹ იქვე, გვ. 40.

ტები, რომლებიც საზოგადოების ყოფს „ჩვენ/სხვა,“ „ჩაგრული/მჩაგვრელი,“ „უბრალო ხალხი/ელიტა“ და მსგავს კატეგორიებად. პროცესები იმ ლოგიკის შესაბამისად ვითარდება, რომელსაც არსებული სოციალურ-კულტურული გარემო ქმნის. ლაკლაუსთვის განმსაზღვრელია საზოგადოებაში მოთხოვნილებების არსებობა, რომლებიც ვერ კმაყოფილდება. ამ დროს იწყება დამნაშავეს ძებნა, იქმნება მტრის ხატი არსებული სისტემის, გარე ძალის თუ სხვა კონკრეტული აქტორის სახით, რომელსაც ბრალდება არსებული მწვავე პრობლემები.²² კვლევის ფარგლებში, თუ თავს ლაკლაუს თეორიული დებულებების ჩვენეული ინტერპრეტაციისა და საქართველოს რეალობასთან მორგების უფლებას მივცემთ, საინტერესო სურათი იხატება. დასავლეთი, რომლისკენ სვლა ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსში წარმოდგენილია არსებულ გამონწვევებთან გამკლავების უალტერნატივო გზად, ალტერნატიულ დისკურსებში ხშირად გვევლინება ქართველი ხალხის წინაშე არსებული ყველა სიძნელისა და პრობლემის სათავედ. მოლოდინებისა და მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის ანტიდასავლური ნარატივის ჩამოყალიბებისთვის. პოპულისტები, ხშირად, კი არ ესაუბრებიან ხალხს ან მის კონკრეტულ ჯგუფს, არამედ საუბრობენ მისი სახელით, ქმნიან „ხალხს“ როგორც აბსტრაქტულ კატეგორიას, რომელიც მათ ალტერნატიულ ნარატივში წარმოდგენილია არა დიფერენცირებული, არამედ მთლიანი უკმაყოფილო ერთობის სახით.²³ ეს ერთობა უპირისპირდება კონსტიტუ-

²² Laclau, Ernesto. "Populism: What's in a name?" *Post-Marxism, populism and critique*. Routledge, New York, 2015, გვ. 153- 156; Moffitt, *The Global Rise of Populism*, გვ. 23.

²³ იქვე, გვ. 24.

ციურად აღიარებულ ფასეულობებს და ძირითად ტენდენციებს. აღნიშნული მიდგომა ახლოს დგას ნაციონალიზმის კონსტრუქტივისტულ თეორიებთან (რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ) და მათთან ერთად მკაფიო კონცეპტუალურ საფუძველს ქმნის საქართველოში განვითარებული პროცესების გასააზრებლად.

საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისთვის ლიდერის არსებობას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. პოპულისტური პროცესი ერთგვარი წარმოდგენაა – შემსრულებლით, აუდიტორიით, მიზანსცენით და სივრცით, სადაც ეს წარმოდგენა თამაშდება. ბენჟამინ მოფიტის მტკიცებით, მთავარი მთელ ამ პროცესში ლიდერია, შემსრულებელი, რომელიც „ქმნის“ პოპულიზმს. ლიდერი ცენტრალური ფიგურაა, იგი საუბრობს ხალხის სახელით, უპირისპირდება დომინანტურ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ დისკურსს, აყალიბებს მის ალტერნატივას. წარმატებული ლიდერი შესაძლოა თავად მოვიდეს ხელისუფლებაში და საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ხელისუფლის პოზიციიდან განაგრძოს.²⁴ ამ მიდგომის მიხედვით, პოპულიზმი სპექტაკლია, სადაც ალტერნატიული რეალობა იქმნება. ამ „წარმოდგენაში“ ხალხი კმაყოფილია, რადგან მათი სურვილები და მოთხოვნები მაქსიმალურად არის გათვალისწინებული. არსებული სისტემის სისუსტეების გამოყენება და მათ გარშემო საზოგადოებრივი აზრის მობილიზება პოპულისტური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებელია. პოსტსოციალისტური საქართველოს რეალობაში, სადაც არ არის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის ხანგრძლივი გამოცდილება, რომელიც მდგრად ინსტიტუციურ საფუძველს ემყარება, ლიდერი განსაკუთრე-

²⁴ იქვე, გვ. 52.

ბით მნიშვნელოვანია. განვლილი 30 წლის განმავლობაში ლიდერები, ხშირად, წამყვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციაში. ერნესტო ლაკლაუსთვის ხალხი, როგორც აქტორი, ლიდერის გარეშე არ არსებობს, არ შეიძლება წარმოიქმნას. „ინდივიდის გარშემო ჯგუფის კონსოლიდაცია აუცილებელი პირობაა ხალხის ‘წარმოსაქმნელად’.“ ლიდერი არის ხალხის სურვილების და მოთხოვნების დაკმაყოფილების სიმბოლური წყარო – მათი ნუხილების მთავარი გამხმოვანებელი.²⁵ ლიდერები წინა პლანზე გამოდიან კრიზისულ ვითარებაში, როდესაც ირღვევა იდენტობის კონსტრუქცია, ხალხი დეზორიენტირებულია და ეძებს საყრდენს ახალ რეალობაში ორიენტაციისთვის. ამ დროს ლიდერი, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს არსებულ განწყობებს, კულტურულად პოპულარული ქცევით, პროცესების სათავეში ექცევა. იგი საუბრობს ხალხის სახელით და, შესაბამისად, არის ხალხის, როგორც აქტორის, მთავარი რეპრეზენტატორი.

გამოკვლევის კონცეპტუალური საფუძვლის აგებისას, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოპულიზმის შესწავლის სოციალურ-კულტურული მიდგომა, რომელიც ახლოს დგას პოლიტიკური ლოგიკის თეორიულ მოდელებთან და აგრძელებს მას. პიერ ოსტიგაის სიტყვით, პოლიტიკის მეცნიერების სისუსტეა ის, რომ პოპულიზმის კვლევისას ყურადღების მიღმა ტოვებს მის კულტურულ განზომილებას, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ამ ფენომენის კომპლექსური გააზრებისთვის. სოციალურ-კულტურული მიდგომის მიხედვით, პოპულიზმი ხასიათდება ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმით ლი-

²⁵ Laclau, Ernesto. *On Populist Reason*. Verso, London – New York, 2005, გვ. 100.

დერსა და მის მხარდამჭერებს შორის. პოლიტიკური ლიდერი ზედმინეცნით ასახავს და გამოხატავს საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-კულტურულ რეალობას. კულტურისთვის მისაღები ქცევით, იგი ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს საკუთარ საზოგადოებაზე. ეს გულისხმობს მჭიდრო კავშირს კულტურულ იდენტობასა და ამ იდენტობით მანიპულირებას შორის. ამ მიდგომის მიხედვით, პოპულიზმი ფარდობითი და კულტურულად განსაზღვრული ფენომენია. პოპულისტური დისკურსის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია როგორც ლიდერი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას ახდენს, ასევე საზოგადოებაში არსებული განწყობები – უკმაყოფილება, დეზორიენტაცია, გაურკვევლობა, რაც ლიდერს ფართო არეალს უქმნის ამ განწყობების შესაბამისი მოქმედებისთვის. სოციალურ-კულტურული მიდგომისთვის ცენტრალურია იდენტობის საკითხი, რადგან პოპულისტური პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია მტრულად განწყობილი სხვა. პოპულისტური დისკურსის ფარგლებში, რომელიც მტრის ხატის არსებობას გულისხმობს, იქმნება ახალი იდენტობა. ამ მიმართულების წარმომადგენელთა შეხედულებით, პოპულიზმი არ არის არც იდეოლოგია და არც მსოფლმხედველობა, იგი იდენტობის დისკურსია, რომელიც ახალ სოციალურ კონსტრუქციას აგებს. პოპულისტური მოქმედება არაკონსტრუქციული, ანტაგონისტური და პროვოკაციულია, რადგან საზოგადოების შოკირებას და პროვოცირებას ისახავს მიზნად.²⁶ იგი ახდენს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას (როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ

²⁶ Ostiguy, Pierre. "Populism: A Socio-Cultural Approach," *The Oxford Handbook of Populism*. Oxford University Press, 2017, გვ. 73-74.

ლურ დონეზე), „აღვიძებს“ ხალხს და მანიპულირებს მისით, როგორც გაბატონებულ დისკურსთან აქტიურ წინააღმდეგობაში მყოფი ერთობით.

სოციალურ-კულტურული მიდგომის მთავარი ღირსება არის ის, რომ იგი ერთგვარად აყალიბებს პოპულიზმის კვლევის ფართო კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც მჭიდრო კავშირშია ზემოთ განხილულ სხვა მიდგომებთან. პიერ ოსტიგაის სიტყვით, ეს თეორიული კონსტრუქცია არ არის ცალსახად კონცენტრირებული რომელიმე კონკრეტულ საკითხზე და არ აქვს მკაფიო საზღვრები. იგი საკუთარ თავში მოიცავს როგორც იდეაციური მიდგომის ელემენტებს, ასევე განიხილავს პოპულიზმს როგორც პოლიტიკურ სტრატეგიას.²⁷ ეს მიდგომა ოპერირებს იდენტობისა და დისკურსის ცნებებით, აქცენტს აკეთებს ლიდერის როლზე, რომლის კულტურულად განსაზღვრული ქცევა მჭიდრო ემოციურ კავშირს აყალიბებს მასსა და საზოგადოებას შორის, რაც ხელს უწყობს იდენტობის ახალი დისკურსის შექმნას.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შეფასებისას, იდენტობის საკითხი ცენტრალურია ფრენსის ფუკუიამასთვის. თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში „იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის“ (2018) იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტენდენციას, რომელსაც „პოპულისტური ნაციონალიზმის“ სახელით მოიხსენიებს. მისი სიტყვით, ამ ტენდენციის ნაწილია, დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა აშშ-ში, ვიქტორ ორბანის მიერ განხორციელებული პოლიტიკა უნგრეთში, რეჟებ ტაიბ ერდოღანის – თურ-

²⁷ იქვე, გვ. 92.

ქეთში, იაროსლავ კაჩინსკის – პოლონეთში და სხვა. პოპულისტები ლიდერები ცდილობენ დემოკრატიული არჩევნებით მოპოვებული ლეგიტიმაცია ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის გამოიყენონ. ისინი ხალხთან პირდაპირ, ქარიზმაზე დაფუძნებულ კავშირს იჩემებენ, თუმცა „ხალხი“ ხშირად ამა თუ იმ ნიშნით გამოყოფილ ჯგუფს გულისხმობს და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უგულებელყოფს. მსგავსი ლიდერები არ აღიარებენ ლიბერალური დემოკრატიის მექანიზმებს, რომლებიც პოლიტიკურ ლიდერთა ერთპიროვნულ ძალაუფლებას ზღუდავს.²⁸ ფუკუიამას შეხედულებით, თანამედროვე მსოფლიო წესრიგს საკუთარი იდენტობის აღიარებისთვის ბრძოლა ქმნის. ეს ბრძოლა, ხშირად, იდენტობათა კონფლიქტს განაპირობებს, რადგან ასეთი ჯგუფები იბრძვიან კონკრეტულ საზოგადოებაში გავლენის მოპოვებისა და თვითდამკვიდრებისთვის. იდენტობის აღიარების მოთხოვნა მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალურ პროცესებში, როგორცაა, მაგალითად, მსოფლიოში „ძველი ყაიდის“ ნაციონალიზმის გამოღვიძება. „[...] იმ მოვლენათა დიდი ნაწილი, რომელთა გამომწვევ მიზეზად ეკონომიკური მოტივაცია მიიჩნევა, სინამდვილეში იდენტობის აღიარებასთანაა დაკავშირებული და ამ პრობლემების ეკონომიკური საშუალებებით დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება. ამის გააზრებას, პირველ რიგში, თანამედროვე პოპულიზმთან გამკლავებისთვის აქვს მნიშვნელობა.“²⁹ ამა თუ იმ საზოგადოებაში იდენტობათა რადიკალურად განსხვავებული, ხშირად, ურთიერთსაპირისპირო

²⁸ ფუკუიამა, ფრენსის. *იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის*. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2018, გვ. 8-9.

²⁹ იქვე, გვ. 14-15.

დისკურსები კონფლიქტურ ვითარებას ქმნიან. დაპირისპირებული ჯგუფები ხალხის სახელით მანიპულირებით ცდილობენ სასიცოცხლო სივრცის მოპოვებას და ამ სივრციდან სხვების განდევნას. იდენტობათა აღიარებისთვის ბრძოლაში იქმნება ყველაზე ხელსაყრელი ვითარება პოპულისტური ტენდენციების განვითარებისთვის. ფრენსის ფუკუიამა ამ პროცესს „გაბოროტების პოლიტიკას“ უწოდებს. როდესაც საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ამა თუ იმ ჯგუფის შელახული ღირსების შეგრძნების ხარჯზე ხდება, ამას დიდი ძალა აქვს, „გაცილებით მეტი ემოციური წონა და მუხტი გააჩნია, ვიდრე ჯგუფს, რომელიც საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისთვის იბრძვის.“ ეს ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს სჯერა, რომ აქვს იდენტობა და ეს იდენტობა არ არის სათანადოდ დაფასებული და აღიარებული საზოგადოების სხვა წევრების მიერ.³⁰ თანამედროვე სამყაროში, ჯგუფური იდენტობის გამძაფრებისა და ექსპრესიული ნაციონალიზმის გამოღვიძების ფონზე, ნინალმდეგობის ხაზი გადის კონსტიტუციურად გარანტირებულ ნორმებს, ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებსა და ჯგუფის როგორც კოლექტივის უფლებებს შორის. რადიკალური ნაციონალიზმი, რომელსაც ფუკუიამა იდენტობის პოლიტიკის სახეობად მიიჩნევს, ადამიანის უფლებებს აღიარებს შეზღუდული ფორმით, არა ყველასთვის, არამედ გარკვეული ნაციონალური თუ რელიგიური ჯგუფის წევრთათვის.³¹

³⁰ იქვე, გვ. 22.

³¹ იქვე, გვ. 92.

საქართველოში დასავლური სახელმწიფოს შენების პოლიტიკური პროექტი, რომელიც ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებას გულისხმობს, ხშირად მოდის წინააღმდეგობაში რადიკალური ნაციონალისტური დისკურსის მატარებელ ჯგუფებთან. ეს ჯგუფები სახელმწიფოს კოლექტიური იდენტობის იგნორირებაში ადანაშაულებენ, საუბრობენ ხალხის სახელით და აპელირებენ უმრავლესობის უფლებებზე, რომელიც, მათი სიტყვით, უგულბელყოფილია ინდივიდუალური უფლებების პრიმატის გამო. მსგავსი წინააღმდეგობა დასავლეთთან დაკავშირებით კონფლიქტური ნარატივების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საქართველოს დასავლური ორიენტაცია მანიქეისტური მიდგომის საფუძველზე აღიქმება როგორც ყველა სიკეთის, ასევე ყველა ბოროტების სათავე. აქ მივდივართ ერნესტო ლაკლაუს საკვანძო კონცეპტთან. იგი პოპულიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობად „ცარიელი აღმნიშვნელის“ (empty signifier) არსებობას მიიჩნევს. ტერმინი ლაკლაუმ ლინგვისტიკისგან ისესხა და აქტიურად იყენებს მას სოციალური პროცესების ანალიზის დროს. ცარიელი აღმნიშვნელი გულისხმობს საზოგადოებაში არსებულ გარკვეულ კატეგორიას, რომელსაც არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მნიშვნელობა, იგი არ არის შევსებული მყარი შინაარსით. ცარიელი აღმნიშვნელი ხშირად იტვირთება კონფლიქტური მნიშვნელობებით. იგი განსხვავებული ჯგუფების მიერ სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული. მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სურთ იგულისხმონ ამ კატეგორიის ქვეშ.³² თუ ცარიელი აღმნიშვნელი

³² Laclau, “Populism: What’s in a name?” გვ. 156-160.

ცოცხალია, აქტიურად ივსება განსხვავებული შინაარსით, მაშინ იგი დიდ როლს თამაშობს პოპულისტური დისკურსისა და კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბებაში. დასავლეთი საქართველოს საზოგადოებაში სწორედ ასეთი აქტიური ცარიელი აღმნიშვნელია. ქვეყნის პოსტსოციალისტურმა ტრანსფორმაციამ იგი ქართული პოპულიზმის წყაროდ აქცია, საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ანტიდასავლური და პროდასავლური ნარატივების გარშემო უკანასკნელი ათწლეულების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა.

პოპულიზმისა და ნაციონალიზმის ფენომენტა ურთიერთმიმართების პრობლემის გასარკვევად, განვიხილავ, რას გულისხმობს ეროვნული პოპულიზმი, რომელიც სოციალური მეცნიერებების მნიშვნელოვანი საკითხია; ასევე შევხები ნაციონალიზმის თეორიულ მოდელს, რომელიც ჩვენი გამოკვლევის საბაზისო კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს. ბენიამინ დე ქლინის შეხედულებით, პოპულიზმი და ნაციონალიზმი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული როგორც ემპირიულად, ასევე კონცეპტუალურად. პოპულიზმის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებები – იქნება ეს რადიკალური მემარჯვენეობა თუ პოპულიზმის ლათინურ ამერიკული შემთხვევები – ნაციონალისტურ ხასიათს ატარებს. ნაციონალიზმს ყოველთვის აქვს პოპულისტური კომპონენტი. ორივე ეს ფენომენი ხალხის სუვერენულობაზე აპელირებს. თანამედროვე სამყაროში ერი-სახელმწიფო კვლავ რჩება დომინანტურ სივრცედ დემოკრატიული პოლიტიკური რეპრეზენტაციისთვის, შესაბამისად, პოპულიზმი ყოველთვის ეროვნულ კონტექსტში არსებობს. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ პოპულიზმი და ნაციონალიზმი ხშირად ფარავს ერ-

თმანეთს.³³ გელნერის და ლონესკუს 1969 წლის კრებულში პოპულიზმის შესახებ, ეს ფენომენი განხილულია როგორც ნაციონალიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა.³⁴ მიუხედავად ამისა, დე ქლინი კონცეპტუალურად განასხვავებს ერთმანეთისგან პოპულიზმს და ნაციონალიზმს. იგი ნაციონალიზმს უწოდებს დისკურსს, რომლისთვისაც ცენტრალური საკითხი ეროვნული სუვერენიტეტი. ნაციონალიზმისთვის საკვანძო კატეგორიაა ერი, როგორც დროსა და სივრცეში სტაბილურად არსებული ერთობა. რაც შეეხება პოპულიზმს, მისთვის ცენტრალურია „ხალხი“ და „ელიტა“, როგორც ანტაგონისტური კატეგორიები. პოპულისტები საუბრობენ ხალხის სახელით და უპირისპირდებიან ელიტურ წრეებს.³⁵ პოპულიზმი და ნაციონალიზმი იკვეთება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს რადიკალურ, ექსკლუზიურ ნაციონალიზმთან. მსგავსი სახის ნაციონალიზმი აპელირებს საფრთხეებზე, რომელიც ამა თუ იმ ერთობის ნაციონალურ იდენტობას და ეროვნულ ინტერესებს ემუქრება.³⁶ იაელ თამირი თანამედროვე ნაციონალიზმის ორ სახესხვაობას გამოყოფს, რომელთაგან ორივე სახელმწიფოს შესუსტებისკენ არის მიმართული. პირველი, უფრო კლასიკური შემთხვევა, კონკრეტულ ტერიტორიაზე კონცენტრირებული და სუვერენიტეტზე ორიენტირებული მოძრაობებია, მაგალითად, კატალონიური, შოტლანდიური, ქურთული და სხვა ნაციონალიზმები. ნაციონალიზმის მეორე სახესხვაობა აქ-

³³ De Cleen, Benjamin. “Populism and Nationalism,” *The Oxford Handbook of Populism*. Oxford University Press, 2017, გვ. 342.

³⁴ Stewart, Angus. “The Social Roots,” *Populism: Its Meaning and National Characteristics*. The Garden City Press, 1969, გვ. 183.

³⁵ De Cleen, “Populism and Nationalism,” გვ. 342.

³⁶ იქვე, გვ. 348.

ცენტს აკეთებს დაუცველობაზე თანამედროვე ჰიპერგლობალიზაციის წინაშე. ასეთი ნაციონალიზმის მატარებელი ჯგუფები საკუთარი იდენტობის დამკვიდრებისთვის იბრძვიან და მკვეთრად განასხვავებენ თავს სხვებისგან, რომლებსაც მოწინააღმდეგე ჯგუფებად განიხილავენ. თამირის სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ნაციონალიზმის ენა სიძულვილის შემცველია და ძალიან ახლოს დგას ქსენოფობიასთან, იგი მაინც ემყარება გარკვეულ მორალურ საფუძვლებს. „მონყვლადი ჯგუფების ნაციონალიზმი,“ როგორც მას თამირი უწოდებს, სახელმწიფოსთან ახალი სოციალური კონტრაქტის დადებას ცდილობს, სადაც ასახული იქნება მისი მოთხოვნები. ეს ნაციონალიზმი კონსპირაციულია, მიმართულია გლობალური ელიტების შეთქმულების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას ესწრაფვიან. ელიტები ახდენენ იმ მორალური კატეგორიების უნივერსალიზაციას, რომლებიც უპირისპირდება უბრალო ხალხის მორალს.³⁷ ნაციონალიზმის ეს სახესხვაობა მორალური უპირატესობის იდეას ეფუძნება, ცხოვრების ყველაზე მგრძობიარე მხარეებზე აკეთებს აქცენტს, რაც საზოგადოების მკვეთრ პოლარიზაციას განაპირობებს. იგი, უდავოდ, პოპულისტურია, შეიცავს რა პოპულიზმის მთავარ თეზას – წინააღმდეგობას ხალხსა და ელიტას, „ნამდვილ“ ფასეულობებსა და გაბატონებულ უნივერსალურ ფასეულობებს შორის. ჩვენი კვლევის საგანი ეს რადიკალური ნაციონალიზმია, რომელიც ორგანულად უკავშირდება პოპულიზმს, საკუთარ თავში აერთიანებს პოპულისტურ ტენდენციებს.

³⁷ Tamir, Yael. *Why Nationalism*. Princeton University Press, Princeton and Oxford, 2019, გვ. 9.

აკადემიურ სივრცეში გამოიყენება როგორც „პოპულისტური ნაციონალიზმის“³⁸ ასევე „ნაციონალისტური პოპულიზმის“³⁹ ცნებები. ორივე ეს ტერმინი ხაზს უსვამს პოპულიზმისა და ნაციონალიზმის მჭიდრო ურთიერთკავშირს ეროვნული სახელმწიფოს კონტექსტში. მათი შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საკითხზე აკეთებს აქცენტს ავტორი, პოპულიზმია მისთვის ვითარების განმსაზღვრელი თუ ნაციონალიზმი. ჩვენი კვლევისთვის საბაზისოა პოპულისტური ნაციონალიზმის, იგივე ეროვნული პოპულიზმის დეფინიცია, რომლის მიხედვით, თამირისა და ფუკუიამას მიერ გაანალიზებული თანამედროვე ნაციონალიზმის სახესხვაობები, რომლებიც მკაფიოდ პოპულისტურ ხასიათს ამჟღავნებენ, აქცენტს ყველაზე მონყვლადი ჯგუფების ნუხილებზე, ეროვნული იდენტობისკენ მიმართულ საფრთხეებზე, იდენტობის აღიარებისთვის ბრძოლაზე აკეთებენ.

კიდევ ერთი ტერმინი, რომელსაც კვლევის ფარგლებში შევეხები, არის ევროსკეპტიციზმი. გასული ათწლეულის განმავლობაში დასავლეთში განვითარებულმა პროცესებმა ევროსკეპტიკური განწყობები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოაქცია როგორც პოლიტიკურ, ისე აკადემიურ დონეზე. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების შედეგად ევროპისკენ მიმართული ლტოლვილთა დიდი ნაკადები, ჰუმანიტარული

³⁸ Lopes-Alves, Fernando and Johnson E. Diane. *Populist Nationalism in Europe and Americas*, Routledge. New York and London, 2019; ფუკუიამა, იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის. თბილისი, 2018.

³⁹ Anastasiou, Michaelangelo, “Of Nation and People: The Discursive Logic of Nationalist Populism.” *Journal of the European Institute for Communication and Culture*, Volume 26, 2019 – Issue 3.

კრიზისი, ბრექსითი 2016 წელს, რადიკალური ნაციონალიზმის გამოღვიძება, ავტორიტარული ტენდენციები სანიმუშო ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემის მქონე ქვეყნებში (მაგალითად, უნგრეთში) გახდა ის კატალიზატორი, რომელმაც ევროსკეპტიციზმის აღმასვლა განაპირობა. ევროსკეპტიციზმი კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს. მისი გავლენა იგრძნობა ყველგან – პარტიულ პოლიტიკაში, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, კულტურაში, გეოგრაფიაში, ეკონომიკაში, ისტორიაში და სხვაგან.⁴⁰ ევროპაში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად დონალდ ტრამპი აირჩიეს. ფუკუიამას სიტყვით, ამ თანამდებობისთვის მასზე შეუფერებელი კანდიდატურის წარმოდგენა რთულად შესაძლებელი იყო. ტრამპის არჩევამ და მისი პრეზიდენტობის დროს აშშ-ში განვითარებულმა პროცესებმა მთლიანად დასავლური ღირებულებების მდგრადობა დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ.

ევროსკეპტიციზმი ევროპული მოვლენაა, რომელიც ევროპულ სივრცეში გაჩნდა. პოლ ტაგარტის მიხედვით, ევროსკეპტიციზმი ევროპული ინტეგრაციისა და ერთიანი ევროპის პოლიტიკური პროექტის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას გულისხმობს. ეს არის ევროპის შიგნით ჩამოყალიბებული ოპოზიციური მოძრაობა, რომელსაც აქვს როგორც რადიკალური, ასევე რბილი მიმართულება. რადიკალი ევროსკეპტიკოსების მიზანი ევროკავშირის დაშლაა.

⁴⁰ Leruth, Benjamin, Startin, Nicholas and Usherwood, Simon (eds.) *Defining Euroscepticism from a broad concept to a field of study*. Routledge, London and New York, 2018, გვ. 3.

მათ იგი შეუძლებელია პროექტად მიაჩნიათ. რბილ ევროსკეპტიკოსებს არ აქვთ პრინციპული წინააღმდეგობა ევროკავშირის არსებობის მიმართ, თუმცა წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ტრანსნაციონალური ინტერესები, ხშირად შემთხვევაში, ფარავს და არ ითვალისწინებს ცალკეული სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს.⁴¹

ევროსკეპტიციზმის ეს უკანასკნელი გამოვლინება შეინიშნება ევროკავშირის წევრ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში, რომლებიც, საკუთარი გამოცდილებითა და მემკვიდრეობით, ახლოს დგანან საქართველოსთან. ნატაშა სტიჩინსკა კვლევაში, რომელიც ევროსკეპტიციზმს პოლონეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის მაგალითზე სწავლობს, ამბობს, რომ კომუნისტური მმართველობის შემდეგ ამ ქვეყნებისთვის ევროინტეგრაციას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ევროსტრუქტურებში განვრიანებით მათი ევროპელობა ოფიციალურად იქნა აღიარებული და გაფორმებული. გარდა ამისა, ევროპული ინტეგრაცია უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტიაც იყო. პოზიტიურ მომენტებთან ერთად, რომელიც ევროპულ ინტეგრაციას ახლდა თან, აქტიური დებატების საგანი გახდა ის, თუ რას უქადდა მომავალი აღნიშნული სახელმწიფოების ნაციონალურ იდენტობას და პოლიტიკურ სუვერენიტეტს. აუცილებელი რეფორმების გატარებისა და ევროპულ საკანონმდებლო სივრცესთან ადაპტაციის კვალდაკვალ, გაძლიერდა ანტიევროპული რიტორიკა. ევროსკეპტიციზმის მოტივაცია მრავალფეროვანია. სტიჩინსკა პოლონეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში ევროსკეპტიციზმის სპეციფიკურ საფუძვლებზე მიუთი-

⁴¹ Szczerbiak, Aleks and Tagart, Paul (eds.), *Opposing Europe? The Comparative Party Politics of Euroscepticism*. Oxford University Press, 2008, გვ. 7-8.

თებს და მას იდენტობაზე დაფუძნებულ ფენომენს უწოდებს. ეს მოვლენა ნაციონალურ იდენტობასა და ევროპულ იდენტობას შორის წინააღმდეგობას გულისხმობს და დაკავშირებულია „ინტეგრაციის დილემასთან“ – სუპრანაციონალური ინსტიტუციების მიერ „შესრუტვის“ შიშთან. ევროსკეპტიციზმი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში ხშირად ეფუძნება ტრანსფორმაციის შედეგებით იმედგაცრუებას და ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ გადაჭარბებულ მოლოდინებს. სტიჩინსკას სიტყვით, ინტეგრაციის პროცესის მიმართ დამოკიდებულება, სანამ ეს ფაქტი შედგებოდა, იყო იმედებისა და შიშების ერთგვარი ნაზავი. იდენტობაზე დაფუძნებული ევროსკეპტიციზმი გულისხმობს ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და რელიგიის დაკარგვას. ევროსკეპტიკოსები მიუთითებენ გლობალური კულტურის ეროვნულ კულტურაზე დომინირებაზე, ევროპულ „სადნობ ღუმელზე,“ რომელიც კულტურულ გაერთვაროვნებას ისახავს მიზნად. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ევროინტეგრაცია საფრთხეს უქმნის კათოლიკური ეკლესიის პოზიციებს და ოჯახის ტრადიციულ როლს.⁴²

მიუხედავად იმისა, რომ ევროსკეპტიციზმი ერთიანი და ინტეგრირებული ევროპის შიგნით გაჩნდა, მისი უკანასკნელი გაგება, რომელიც იდენტობისკენ მიმართულ საფრთხეებზე საუბრობს, საქართველოს შემთხვევასაც მიესადაგება. აქაც საყურადღებოა ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული გადაჭარბებული მოლოდინები, რომელიც

⁴² Styczyńska, Natasza. “Eurosceptic parties in the Central and Eastern European countries: a comparative case study of Poland, Hungary and Bulgaria,” *The Routledge Handbook of Euroscepticism*. Benjamin Leruth, Nicholas Startin and Simon Usherwood (eds.), Routledge, New York, 2018, 140-141.

ევროსკეპტიციზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფაქტორადაა განხილული ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში. ქვემოთ დავინახავთ, რომ ევროსკეპტიციზმის აღნიშნულ გამოვლინებებს, გარკვეული ინტერპრეტაციითა და ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით, საქართველოშიც ვხვდებით.

ჩვენი ნაშრომისთვის საბაზისოა ნაციონალიზმის კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელიც ჯგუფურ იდენტობებს, მათ შორის, ერსა და ნაციონალიზმს, როგორც იდენტობის ერთ-ერთ ყველაზე მდგრად ფორმას, სოციალურ კონსტრუქციებად მიიჩნევს. მათი კვლევისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ პრაქტიკულ კატეგორიებზე, სიტუაციებზე, კულტურულ იდიომებზე, დისკურსზე, პოლიტიკურ პროექტებზე, ჯგუფურობის ცვალებადობაზე. კოლექტიური იდენტობა თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი სოციალური და პოლიტიკური პროცესების შედეგია.⁴³

ნაციონალიზმის ამა თუ იმ ფორმამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა გასული 30 წლის განმავლობაში საქართველოს საზოგადოების მიერ განვლილი გზა. პოპულიზმის კვლევის კონცეპტუალური მოდელები ნაციონალიზმის მრავალნახნაგოვან ფენომენს განსაზღვრულ თეორიულ ჩარჩოში აქცევს და ხელს გვიწყობს ჩვენთვის საყურადღებო საკითხების გამოკვეთასა და ინტერპრეტაციაში. მეორე მხრივ, საკვლევი საკითხების ნაციონალიზმის თეორიული პერსპექტივიდან გააზრება პოპულიზმის მრავალმხრივ და, ზოგჯერ, წინააღმდეგობრივ ცნებას კონკრეტულ განზომი-

⁴³ Brubaker, Rogers. *Ethnicity Without Groups*. Harvard University Press, 2006, გვ. 27; Brass, R. Paul, *Ethnicity and Nationalism*. Sage Publications, გვ. 13-69.

ლებას სძენს. ქართული ეროვნული პოპულიზმი ნაციონალური იდენტობისკენ მიმართულ საფრთხეებზე აპელირებს. პოპულიზმის ეს სახესხვაობა, ძირითადად, ანტიდასავლური ხასიათის მატარებელია, შესაბამისად, მისი შესწავლისთვის საჭიროა პროდასავლური ნარატივისა და იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც ხელს უწყობენ ანტიდასავლური განწყობების გაჩენას.

მომდევნო თავში განხილული იქნება დასავლური ინტელექტუალური და პოლიტიკური დისკურსი ნაციონალიზმის ეპოქის საქართველოში, ასევე, საბჭოთა პერიოდის სანყის ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ გრძელდებოდა დებატები საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციის გარშემო. ეს საჭიროა იმდენად, რამდენადაც დასავლეთის წინააღმდეგობრივი აღქმა სწორედ ამ ეპოქებში იღებს სათავეს. დღემდე ცოცხალია დასავლური სამყაროს აღქმის ის პარადიგმები, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა.

დასავლური დისკურსი ნასიონალიზმის ეპოქაში

არ ვიცი, რომელი ჟორჟია არის კიდეც, გარდა ამერიკისა. – სთქვა ევროპელმა მინისტრმა, რომელსაც მოახსენეს საქართველოს დაღუპვა.⁴⁴

მიხეილ ჯავახიშვილი, უბის წიგნაკებიდან.

ეხლა კი დავიღუპეთ! [...] აგერ, ინგლისელთა გემები მისცურავენ. ევროპა წავიდა, ჩვენ ისევ მარტონი დავრჩით აზიაში. იმ გემებმა წაიღეს ჩვენი უკანასკნელი იმედი და დაგვიტოვეს და-მო-უ-კი-დებ-ლო-ბა!.. [...] მიიხედ-მოიხედე გარსშემო, ბესო! უხარიანთ! იცინიან! ქეიფობენ! ხა-ხა-ხა! ერთი ჰკითხე, ბესო, ამ ტუტუცებს, რად იცინიან? რა უხარიანთ? რად მოილხენენ? ამათ რომ ჭკუა ჰქონდეთ და ხვალინდელის დანახვა შეეძლოთ, ცხარე ცრემლით იტირებდნენ და მომავალ ვაებას დღესვე იგლოვებდნენ. ეხლანდელი ხელისუფალნი ოდესმე მოიგონებენ დღევანდელ დღეს და კვაჭი კვაჭანტირაძეს, მაგრამ გვიანლა იქნება თითზე კბენანი. აქამდის ჩვენ ორი გზა გვქონდა: ან რუსეთი, ან ევროპა. ეხლა ერთი გზა ღა დაგვრჩა – მოსკოვის გზა, ისიც წითელი და ეკლიანი.⁴⁵

⁴⁴ ჯავახიშვილი, მიხეილ. უბის წიგნაკებიდან, (1924). „ინტელექტი“, თბილისი, 2015, გვ. 3.

⁴⁵ ჯავახიშვილი, მიხეილ. კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი. საბჭოთა კავკასიონი, ტიფლისი, 1925, გვ. 396-397.

ასე ეხმაურება მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მთავარი გმირი ბრიტანელების მიერ ბათუმის დატოვებას 1920 წლის ზაფხულში. კვაჭი კვაჭანტირაძის ეს სიტყვები ეპოქალური მნიშვნელობისაა და კარგად ასახავს იმედგაცრუებას, რომელიც 1920-იან წლებში დასავლეთისგან მიტოვებული საქართველოს ინტელექტუალურ წრეებში გაჩნდა. ამასთან ერთად, ბრიტანელთა მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის დასრულებით გამოწვეულ საყოველთაო სიხარულში კვაჭი კვაჭანტირაძის მიერ შეტანილი დისონანსი ქართველი ხალხის მარადიულ გზაჯვარედინზე, ეგზისტენციური არჩევანის წინაშე ყოფნის ერთგვარი შეხსენებაა. მიხეილ ჯავახიშვილმა „კვაჭი კვაჭანტირაძე“ 1925 წელს გამოსცა, როდესაც საქართველოს საბჭოთა ოკუპაციიდან მხოლოდ ოთხი წელი იყო გასული. დამოუკიდებლობის დაკარგვიდან მალევე, 1930-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში დიდი ხნით დასრულდა დებატები ქვეყნის ევროპული მომავლის საკითხზე, გაქრა დასავლური დისკურსი, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალი ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო. „ქართული კულტურის ევროპული CV მეცხრამეტე საუკუნემდე ბევრად ადრე გაჩნდა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ინტელექტუალურმა მოძრაობამ ამ CV-ის უზარმაზარი კორპუსი შექმნა.“⁴⁶

ჩვენი გამოკვლევის მიზანი არ არის ქართულ ცნობიერებასა და იდეათა ისტორიაში დასავლეთის სახის შესწავლა. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის შემდგომ პერი-

⁴⁶ საბანაძე, გიორგი. ჯგერენაია, ემზარ. *ევროპა როგორც მასწავლებელი*. „მერიდიანი“, თბილისი, 2017. გვ. 10.

ოდში დასავლეთთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი პროცესის გასაანალიზებლად საჭიროდ ჩავთვალეთ, შევეხოთ დასავლურ დისკურსს როგორც ახალი (მოდერნული) ქართული იდენტობის ფორმირების პროცესის ნაწილს. ქართულენოვანი აკადემიური სივრცე იცნობს ნაშრომებს, რომლებიც საქართველოში დასავლეთისადმი დამოკიდებულებას ღრმა ისტორიული პერსპექტივიდან სწავლობს, თუმცა ჩვენთვის საყურადღებოა დასავლეთი როგორც თანამედროვე ქართველი ერის და შემდგომში ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების ორიენტირი, „შორეული ახლობელი“,⁴⁷ რომელისკენ სწრაფვა იმედებისა და იმედგაცრუებების ერთგვარი ნაზავია. ადრიან ბრისკუს შეხედულებით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებისთვის ევროპის სახე-ხატი სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული წარმოდგენით იყო განსაზღვრული: ევროპა როგორც გეოპოლიტიკური სივრცე, ევროპა როგორც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მოდელი და ევროპა როგორც თანამედროვე ცივილიზაციის აკვანი. ამ წარმოდგენებმა არაერთმნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს ისტორიაზე, დანყებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობით, გაგრძელებული მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნით და დამთავრებული საბჭოთა კავშირის დაშლით. მიუხედავად ამგვარი არაერთმნიშვნელოვნებისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოში არსებობდა პრეტენზია იმისა, რომ ქვეყანა ევროპის ნაწილს წარმოადგენდა, რადგანაც სწორედ მასთან იყო დაკავშირებული პროგრესისა და უკეთესი მომავლის სურვილი. „მო-

⁴⁷ დასავლეთის მსგავსი დეფინიცია ეკუთვნის ადრიან ბრისკუს.

მავლის მოლოდინით დატვირთული ევროპის სახე-ხატი საქართველოში კატალიზატორის ფუნქციას ასრულებდა, რამდენადაც „მოლოდინის ჰორიზონტს“ შლიდა და ახალ „მოლოდინის სივრცეს“ ქმნიდა.⁴⁸ ბრისკუს მიერ აღნიშნული არაერთმნიშვნელოვნება ისტორიული პროცესის შედეგია. რთული, წყვეტილებითა და რადიკალური ტრანსფორმაციებით გაჯერებული ისტორია, არასტაბილური პოლიტიკური და კულტურული გარემო ხელს უშლიდა საზოგადოების ჰომოგენურ განვითარებას, დასავლურ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში სრულფასოვან ინტეგრაციას. გასული ორი საუკუნის მანძილზე საქართველომ არაერთხელ „აღმოაჩინა“ ევროპა, შეხვდა და დაუახლოვდა მას. დასავლური განვითარების გზაზე მიღწეულ წარმატებებს კრახი, იმედგაცრუება და ამ გზიდან ხანგრძლივი ჩამოშორება მოჰყვა. ვფიქრობ, რომ საქართველოს საზოგადოებაში დღეს არსებული წინააღმდეგობები მნიშვნელოვნად არის განპირობებული წინააღმდეგობრივი ისტორიული პროცესით.

1860-იან წლებში დაწყებულ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც ქართული საზოგადოების ტრანსფორმაციას და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, სათავეში ჩაუდგა დასავლური იდეების მატარებელი ინტელექტუალური ელიტა. ამ პერიოდიდან საქართველოში განვითარდა ტენდენცია, რომელიც ახლოს იდგა დასავლური ლიბერალური ნაციონალიზმის იდეასთან. ქართველები ეროვნულობის დასავლურ პარადიგმას ეზიარნენ და სამა-

⁴⁸ ბრისკუ, ადრიან. *ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია*. <https://bit.ly/3CP9beF> (ნანახია 30.04.2021).

გალითოდ დასავლური ეროვნული მოძრაობა დაისახეს.⁴⁹ ახალი მოძრაობის გამორჩეული წარმომადგენლებისთვის ევროპა იყო ერთგვარი მოდელი საქართველოს მომავალი განვითარებისთვის. დასავლური გზის მნიშვნელობასა და უპირატესობაზე საუბრობდა სერგეი მესხი ჯერ კიდევ 1872 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა.“⁵⁰ მესხი აღნიშნავდა უფროსი თაობის მიერ მიღებულ განათლებას, რომლის ძირითად მიზანს ჩინოვნიკად ქცევა და იმპერიის სამსახურში ჩადგომა წარმოადგენდა. „სწავლასაც ისეთს იღებდნენ, რომ ან ჩინოვნიკად უნდა შექმნილიყვნენ და ან სულ ტყუილ-უბრალოთ, უსაქმოდ და უმიზნოდ მოეკლათ დრო.“ სერგეი მესხის სიტყვით, განსხვავებით უფროსებისგან, სამოციანელთა ახალმა თაობამ გამოავლინა ახალი ცხოვრებისადმი ლტოლვა. „რაკი ჩვენი ახალ-თაობა ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყოველს შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდისხან მავნებელი გზა იყო, შეუდგა ახალი გზის მონახვას და ამ ახალი თაობის საქებლათ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს. ეს გზა – დასავლეთი ევროპის გზა არის.“⁵¹ ნიშანდობლივია, რომ სერგეი მესხი დასავლური გზის პოვნაზე, 1860-1870-იანი წლების ახალ თაობაში ევროპული მიმართულების აღმოჩენასა და პოპულარულობაზე საუბრობდა. „სიკვდილის შემდეგ რომ სინანულს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ჩვენ ვიტყვებით იმ დაკარგულს

⁴⁹ ნოღია, გია. „დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში,“ *საზოგადოება და პოლიტიკა II*, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, გვ. 40.

⁵⁰ მესხი, სერგეი. „ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა,“ *დროება*, N41, 1872. გვ. 1

⁵¹ იქვე.

დროსა და ახალგაზრდებს, რომელნიც ტყუილ-უბრალოთ ჩაილუპნენ, სანამ ეს სწორი გზა მოინახებოდა. მაგრამ, რადგანაც სიკვდილის შემდეგ სინანული არაფერში გამოგვადგება, ამის გამო, უბრალო ცრემლებს თავი დავანებოთ და დავხაროდეთ, რომ ჩვენმა უკანასკნელმა ახალ-თაობამ სწორ გზას დაადგა.“⁵² ავტორის შეხედულებით, ევროპა არის ყოველგვარი ცოდნის, განათლების, წარმატების წყარო, საქართველოს წინსვლისთვის ერთადერთი და სწორი არჩევანი. დიდი მნიშვნელობის მატარებელია ევროპაში წასვლა, მასთან პირდაპირი კავშირი, განათლების მიღება, იდეების ათვისება და საქართველოში დანერგვა.

„ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდგან პირ-და-პირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილათ უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდამა? განა ყოველთვის ის წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირ-და-პირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს და განა არ იცით, რომ წყაროდან მოშორებული წყალი ხანდისხან ისეთს რამეებს შეითვისებს გზაში, რომ შემდეგ იმის გამოყენება თითქმის შეუძლებელია? მაშ მივესალმობთ ამ ახალ მოვლენას და გზა დაულოცოთ იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მიელტვიან ევროპისაკენ დედანი წყაროს დასანაფებლად.“⁵³

სერგეი მესხი მიუთითებდა დასავლეთთან პირდაპირ კავშირზე, შუამავლის გარეშე, რაც საყურადღებო ფაქტია რუსეთის იმპერიის მიერ კოლონიზებულ ქვეყანაში. მე-19

⁵² იქვე.

⁵³ იქვე.

საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში დაწყებული ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესი დასავლური ტიპის სეკულარული ერთობის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, დასავლური ვექტორი ახალი თაობის მიერ შექმნილი ეროვნული პროექტის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტად იქცა. დამოუკიდებლობა დაკარგულ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს პოლიტიკური კლასი, შეუძლებელია საუბარი კლასიკური გაგებით ევროპულ ორიენტაციასა და დასავლურ სივრცეში ინტეგრაციაზე. ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ევროპას განიხილავდნენ როგორც განვითარების იდეალურ მოდელს. ამის ამსახველია სერგეი მესხის აღნიშნული პუბლიკაცია, რომელიც ერთ-ერთი პირველია ახალი ეპოქის პროდასავლელ ინტელექტუალთა ნააზრევიდან. მესხის აზრით, ნამდვილი, ავთენტური ევროპა სანიმუშოა ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველოს საზოგადოებისთვის.

ევროპით აღფრთოვანება და, ამავდროულად, გეოგრაფიული სიშორის გამო დასავლეთში განვითარებული პროცესებისაგან მოწყვეტით იმედგაცრუება იგრძნობა ჯამბაკურ ორბელიანის წერილში „ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლა.“ ავტორი ევროპას მთელი ქვეყნის ლამპარს უწოდებს, რომელიც უკვე დიდი ხანია განათლებასა და განვითარებაზე ზრუნავს, თუმცა საქართველო მისგან უყურადღებოდ არის მიტოვებული:

„ევროპისაგან უყურადღებოდ დაგდებული საქართველო და საქართველოსგან სრულებით უცნობი ევროპია [...] ვინიცობაა, თუ ჩუენს მამაპაპათ ევროპიელებთან მეზობლობა ექნებოდათ, მაშინ შეიძლება ყუელას დარწმუნება, რომ ქართუელები ავდენის ძვირფასის ნიჭიერებით სავსენი არიან:

დიდი განათლება იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ვინ აღუდგებოდა წინაგარემოებას? – საშინელს ვეშაპსავით განოლილი ოსმალოს სახელმწიფო ჩვენსა და ევროპიის შუა.”⁵⁴

მე-19-20 საუკუნეების მიჯნის ინტელექტუალური წრებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მკაფიო დასავლური ორიენტაციის ავტორია ნიკო ნიკოლაძე. 1894 წელს გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილში „ბულგარია“ იგი ბიზანტიურ-რუსულ და ევროპულ მმართველობის სისტემებს შორის განსხვავებაზე და ევროპულის უპირატესობაზე საუბრობდა. ნიკოლაძე თვლიდა, რომ ქართველების, რუსების, სომხების, აზიელი ხალხების ჩამორჩენის მიზეზი იყო დესპოტური მმართველობა. ეს უკიდურესად ცენტრალიზებული სისტემა მმართველობის სათავეში მყოფი ტირანის/დესპოტის ნება-სურვილით იმართებოდა.

„ევროპაში კი დაარსდა სხვადასხვაგვარი სიმართლე, კანონი, ტრადიცია, სისტემა და ბოლოს მეცნიერებაც. მათი შემწეობით სუსტი მეფეც რომ მჯდარიყო ევროპაში ტახტზე, ეს გარემოება თითქმის არც კი დაეტყობოდა ქვეყნის საქმეებს; ისტორია, ისტორიული პროგრესი, მაინც თავისებურად, აუჩქარებლად, მაგრამ დაუხვევლადც წინ მიდიოდა.”⁵⁵

ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით, დესპოტურ მმართველობას სძულს წარსული, წინაპართა ნაღვანი, არ არსებობს

⁵⁴ ორბელიანი, ჯამბაკურ. „ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად.“ ცისკარი, 11, 1861, გვ. 211.

⁵⁵ ნიკოლაძე, ნიკო. „ბულგარია“, ქართული მწერლობა: ტომი მეთოთხმეტე. „ნაკადული“, თბილისი, 1997. გვ. 214-253.

თაობებს შორის მემკვიდრეობითობა, რაც აფერხებს საზოგადოების თანმიმდევრულ განვითარებას.

„ევროპული წესის თვისება ის არის, რომ ყოველი ახალი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს, და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს, ისე, რომ დღევანდელ თაობას, მაგალითად, მარტო თავის ნაშრომი და შენაძენი კი არ უკავია ხელში, მთელი ათი თუ ოცი საუკუნის სიკეთით და საუნჯით არის მდიდარი. [...] ჩვენ ყველანი ერთობ ახლო ვიდექით აზიასთან, ერთობ ვემონებოდით მის მაგალითს, მის მომხიბვლელ და გამრყენელ ხასიათს.“⁵⁶

ნიკო ნიკოლაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლური დისკურსის ჩამოყალიბებასა და სტაბილურ არსებობაში, თუმცა ეს დისკურსი არ იყო ერთადერთი და უალტერნატივო. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ სოციალისტ ივანე ჯაბადარისა და მონარქისტ გიორგი მუხრან-ბატონის შეხედულებები, რომლებიც არ იყო გამოხატულად და სახელდებით ანტიდასავლური, თუმცა ანტიეროვნულ შინაარსს ატარებდა და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მცირე ერების დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობას.⁵⁷ მსგავსი ნარატივები წინააღმდეგობაში მოდიოდა საზოგადოების განვითარების დასავლურ გზასთან, რომელიც ახალი ნაციონალური იდენტობის ფორმირებას, საზოგადოების კონსოლიდაციას და მომავალზე ორიენტირებას გულისხმობდა. საქართველოს ევროპული

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ ბაქრაძე, აკაკი. „იმედი და ნიჰილიზმი“, *თვალსაზრისი*, <https://bit.ly/36g9H9x> (ნანახია 12/12/2021).

გზა, რომელიც საბოლოოდ 1918-1921 წლების დასავლური დემოკრატიის ჩამოყალიბებამდე მივიდა, რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების მიუხედავად, ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

ინტელექტუალური ელიტის წამორმადგენელთა დასავლეთისადმი დამოკიდებულებებზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1860-იან წლებიდან საქმე გვაქვს დასავლეთთან პირისპირ შეხვედრასთან, მის ინტელექტუალურ წყაროდ გამოყენებასთან, როგორც იდეურ, ისე პრაქტიკულ, ყოფითი ცხოვრების დონეზე. ქართულენოვან პერიოდულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები, რომლებიც ევროპული საზოგადოებების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს მიმოიხილავდნენ და აცნობდნენ მას საქართველოს მოსახლეობას. ეს იყო ეპოქა, როდესაც, ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, გეოგრაფიულად დაშორებულ დასავლურ სახელწიფოებში მოგზაურობა ხელმისაწვდომი გახდა. ევროპაში სხვადასხვა მიზნით გამგზავრებული ქართველები უშუალოდ ეცნობოდნენ დასავლურ სამყაროს და მიღებულ შთაბეჭდილებებს, რომლებიც ხშირად ემოციური კომპონენტებითაც იყო დატვირთული, უზიარებდნენ საკუთარ ხალხს. 1894 წელს, ევროპაში მოგზაურობის შემდეგ, ალექსანდრე ხახანაშვილი წუხდა იმ ფაქტის გამო, რომ დასავლეთში საქართველოს

„სრულებით არ იცნობენ. [...] საჭიროა, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ მაინც მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას და, მსგავსათ სომხეთის ყმანვილკაცებისა, რამდენიმე თვით ან წლობით წავიდნენ ხოლმე სწავლის გასაგრძობათ გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და ინგლისში. პირადათ გაცნობა და დაახლოება იქაურ

მეცნიერებთან, მწერლებთან და ხალხთან გაფანტავს ცრუ წარმოდგენას საქართველოზე და აუხსნის ნამდვილ სურვილს ქართველი ხალხისას. [...] ამიტომ სასურველია, რომ იმატოს რიცხვმა ახალგაზრდა ქართველთა საზღვარგარეთ მოსწავლეთა, რომელნიც შეიქნებიან ხიდათ ქართველთა და ევროპელთა შორის.”⁵⁸

ნიკო ნიკოლაძის წერილი „ქვეითად და რკინის გზაში“, სერგეი მესხის „ქართველი ევროპაში (ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები)“, პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები“, ნიკო ცხვედაძის „მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდან“ მკითხველს აცნობს ევროპული ცხოვრების ნიუანსებს. გვხვდება პუბლიკაციები, რომლებიც ეხება საზოგადოების ცხოვრების ისეთ მხარეებს, როგორებიცაა ღვინის დაყენების თანამედროვე ტექნოლოგიები და მისი საქართველოში დანერგვის აუცილებლობა, მეფუტკრეობის განვითარება ევროპული სტანდარტის მიხედვით, საქართველოში ვაჭრობის და აღებ-მიცემობის განვითარების აუცილებლობა, გენდერული საკითხები, ქალებისადმი დამოკიდებულება და სხვა.⁵⁹ მოდერნული ქართული იდენტობის ფორმირების საწყის ეტაპზევე გაჩნდა ევროპული დისკურსი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ შემადგენლად იქცა. ამ პერიოდიდან საქართველოში დომინანტური გახდა სოციალისტური იდეოლოგია. სტივენ ჯონსი გამოკვლევაში

⁵⁸ ხახანაშვილი, ალექსანდრე. „როგორ გავეცნოთ ევროპას,“ *ევროპა როგორც მასწავლებელი*. „მერიდიანი“, თბილისი, 2017. გვ. 40-41.

⁵⁹ აღნიშნული და სხვა წერილების ხილვა შესაძლებელია გიორგი საბანაძის და ემზარ ჯგერენაიას რედაქტორობით გამოცემულ კრებულში *ევროპა როგორც მასწავლებელი*. „მერიდიანი“, თბილისი, 2017.

„სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა” საუბრობს 1900-იანი წლების დასაწყისში სოციალისტურ მოძრაობაში განხეთქილებასა და ნოე ჟორდანას ლიდერობით საქართველოში მენშევიზმის ტრიუმფზე. ჯონსის სიტყვით, ამ ფაქტმა ქართული სოციალისტური მოძრაობა ეროვნული ერთიანობისა და განვითარების ევროპული გზისკენ წაიყვანა.⁶⁰ მისი მტკიცებით, ქართველი სოციალისტების მთავარი შთაგონების წყარო ევროპული სოციალისტური მოძრაობა იყო და თავადაც ახდენდნენ მასზე გავლენას.⁶¹ მთავარი, რაც საქართველოს ევროპული გზის განგრძობადობას აჩვენებს არის ის, რომ საქართველოში სოციალისტური მოძრაობა ეროვნულ მოტივებზე გადავიდა და განახორციელა ნაციონალიზმის მთავარი მიზანი – ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

„ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თერგდალეულებისგან ძლიერი პრაქტიკული ეთოსი მიიღეს მემკვიდრეობად. [...] დემოკრატიული ჩვევებისა და ამავდროულად სოციალისტური იდეების აგიტატორებს, ქართველ სოციალ-დემოკრატებს დღეს ჩვენ ალბათ „სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებს“ ვუნოდებდით.”⁶²

სტივენ ჯონსის ეს სიტყვები კარგად აჩვენებს საუკუნეთა მიჯნაზე განვითარებული პროცესების მემკვიდრეობითობას და საქართველოს ევროპული გზით ტრანსფორმაციას. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ნაციონალიზმის ფორმირების ეპოქაში, საქართვე-

⁶⁰ ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა*. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2007, გვ. 161.

⁶¹ იქვე, გვ. 351.

⁶² იქვე, გვ. 354.

ლომ განვითარების ევროპული გზა გაიარა, რაც ზუსტად თავსდება ეროვნული სახელმწიფოების შექმნის დასავლურ მოდელში. ამიტომ ლოგიკურად და ორგანულად ჟღერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა 1920 წლის 14 იანვარს, ანტანტის მიერ საქართველოს დე ფაქტოდ აღიარებისადმი მიძღვნილ სხდომაზე:

„მოქალაქენო! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, მიულოცო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხის გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროთ, უშუამავლოთ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუძს არავითარ ძალ-ღონეს და ეს დიადი ისტორიული მოვლენა მოახდინა ერთმა გარემოებამ: საქართველოს ხალხის ერთსულოვანმა გამოსვლამ და ერთი აზრის, ერთი დროშის ქვეშ ერთხმად თავის მოყრამ.“⁶³

ნოე ჟორდანიას გამოსვლის დასკვნით ნაწილში ნათლად მოჩანს ეგზისტენციური, ცივილიზაციური არჩევანი, რომლის წინაშე ყოფნაც ხშირად უხდებოდა საქართველოს ისტორიის მანძილზე. იგი სიამაყით აცხადებს, რომ მთელმა ევროპამ ერთხმად განაცხადა: „კეთილი იყოს შენი დაბადება! კეთილი იყოს შენი მობრძანება! და ჩვენ გვმართებს ეს

⁶³ საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIV: ნოე ჟორდანიას ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი, 2018, გვ. 16.

ერთსულოვანი კურთხევა გავამართლოთ საქმით – გავხდეთ ნამდვილი ევროპიელი.“ ჟორდანias სიტყვით, საქართველომ არასდროს უნდა უარყოს გზა, რომელზეც ახლა დგას.

„ჩვენს ირგვლივ ხდება და მოხდება დიადი ამბები. ჩვენ გვმართებს დიდი სიმაგრე, დიდი დაფიქრება, რომ ერთხელ არჩეულ გზიდან არ გადაგვაცდინონ. თქვენ იცით, რომ ჩვენ საომარი კავშირი შემოგვთავაზა საბჭოთა რუსეთმა. ჩვენ გადაჭრით უარი უთხარით. ჩვენი პასუხი ნაკითხული გექნებათ. რას ნიშნავს ეს კავშირი? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კავშირი გავწყვეტით ევროპასთან, როგორც მათ აქვთ ეს კავშირი განწყვეტილი და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისაკენ, სადაც ისინი ახალ მოკავშირეებს ეძებენ. დასავლეთი და აღმოსავლეთი – აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს და თუ ბალშევიკები აღმოსავლეთს ებლაუჭებოდნენ, ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა კავშირზე და ცნობაზე. როგორც ხედავთ, საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარენ. ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცო, მტრები აყვირდებიან – იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს.“⁶⁴

⁶⁴ იქვე, გვ. 18.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მტკიცედ განაცხადა, რომ საქართველო მემკვიდრეა კაპიტალისტური წყობილების და არა აზიური კარჩაკეტილობის. „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენიებით. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის ევროპასთან დაკავშირებას!“⁶⁵ – ამ სიტყვებით დაასრულა ნოე ჟორდანიამ სიტყვა საზეიმო ღონისძიებაზე. მთავრობის თავმჯდომარის ეს გამოსვლა 1920 წელს, ერთი მხრივ, მიუთითებს საქართველოს სახელმწიფოს მტკიცე არჩევანზე დასავლური განვითარების სასარგებლოდ, მეორე მხრივ კი გვაჩვენებს, რომ ევროპული გზა არ ყოფილა ცალსახა და უალტერნატივო – მუდმივი დილემა და გზაგასაყარზე ყოფნის განცდა საქართველოს საზოგადოების განვითარების საბაზისო მახასიათებელია და დღემდე საკვანძო როლს ასრულებს სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში. ნოე ჟორდანიას შეხედულებები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოდან ატარებდა პროდასავლურ ხასიათს. იგი აცნობიერებდა, რომ საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო მოწყვეტილი დასავლურ სამყაროში განვითარებულ პროცესებს და დიდი აღმოსავლური იმპერიების გავლენის ქვეშ რჩებოდა, თუმცა მას მაინც შესწევდა ევროპეიზაციის უნარი.⁶⁶

1910-იანი წლებიდან ევროპისკენ სწრაფვა შეინიშნება არა მხოლოდ პოლიტიკის, არამედ კულტურის სფეროშიც, თუმცა ეს მისწრაფება არ ყოფილა ცალსახა და ერთმნიშვნელოვნად გაზიარებული. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, 1920-იან წლებში, იდენტობასა და ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები ცხარე დებატების საგ-

⁶⁵ იქვე, გვ. 19.

⁶⁶ ბრისკუ, ადრიან. „ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია,“ <https://bit.ly/3tWOSb5> (ნანახია 30.04.2021).

ნად იქცა, იმატა დასავლეთით იმედგაცრუებისა და ნიჰილისტური პათოსის შემცველმა ტექსტებმა. დასავლეთმა ვერ შეძლო დამოუკიდებელი საქართველოს გადარჩენა, თუმცა მისგან ამას აშკარად ელოდნენ და ეს მოლოდინი, ქვეცნობიერად განზილებისთვის განწირული, ქართული პოლიტიკური აზროვნების უცვლელ ელემენტად იქცა.⁶⁷ ამ დისკუსიის მოკლე მიმოხილვა მკაფიო წარმოდგენას შეგვიქმნის წინაპირობებზე, რომელსაც დაემყარა გვიან საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე დებატები დასავლური ორიენტაციის გარშემო.

ცისფერყანწელთა შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლები, რომელიც ახალგაზრდა ქართველ პოეტებს და პროზაიკოსებს აერთიანებდა, აცხადებდნენ, რომ ქართული კულტურა ყოველთვის ევროპული იყო და იგი უნდა დაბრუნებოდა მშობლიურ ფესვებს.⁶⁸ გაჩნდა დისკურსი, რომელიც საქართველოს ევროპულ წარსულზე აპელირებდა. პაოლო იაშვილი 1923 წელს გამოქვეყნებულ წერილში წუხდა ევროპული ენებიდან თარგმნილი ლიტერატურის სიმწირის გამო. მისი სიტყვით, მე-19 საუკუნის ინტელექტუალებმა ვერ შეძლეს საქართველოს დასავლეთთან რეალური დაახლოება და ეს ახალი თაობის ამოცანაა. ევროპასა და საქართველოს შორის სიახლოვე არ იყო მხოლოდ უკანასკნელი წლების მოვლენა, შორეულ წარსულში ყველაფერი გაცილებით უკეთესად იყო; ქართველთა წინაპრები ქართულად კითხულობდნენ პლატონს და ბერძნული ფილოსოფიის საკუთარი სკო-

⁶⁷ ნოდია, „დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში,“ გვ. 42.

⁶⁸ ბრისკუ, „ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია.“

ლა ჰქონდათ.⁶⁹ „პირველი თეზისი ცისფერი ყანნების – უარი აზიას. [...] პირველი ხმა – ხმა მებრძოლი პოეტების – აზიის უარყოფისა,“ – წერდა ტიციან ტაბიძე 1920 წელს გამოქვეყნებულ ტექსტში „მანიფესტი აზიას.“⁷⁰ მისი სიტყვით, ცისფერყანნელებმა შეგნებულად უარყვეს საქართველოში აზიისა და ევროპის სინთეზის თეორია, რადგან საქართველოში აღმოსავლური გავლენა არ ყოფილა – ეს იყო არა გავლენა, არამედ ქართული ენისა და კულტურის განადგურება, დეგრადაცია. ტიციან ტაბიძე საუბრობდა ქართული კულტურის ხელახალი აღორძინების და ევროპასთან დაკავშირების აუცილებლობაზე, „მიუხედავად იმისა, რომ ნოვატორობისთვის საქართველოს მზად აქვს ჭაფჭავადის წინამური და მაჩაბელის მტკვარი თუ საკირე.“⁷¹ საქართველოსა და ევროპის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე საუბრობდა გრიგოლ რობაქიძე 1920 წელს ევროპის სოციალისტურ დელეგაციასთან შეხვედრაზე. რობაქიძისთვის მთავარი პრობლემა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იყო, რამაც ქვეყნის დასავლეთიგან დაშორება განაპირობა. „ჩვენ მივიღტვოდით მუდამ დასავლეთისკენ. ამ ლტოლვილებით არის დაღარული ყოველი ხვეული ჩვენი ისტორიის, [...] მაგრამ ჩვენ მუდამ გვქონდა ტრაგედია გეოგრაფიის.“ რობაქიძის შეხედულებით, აღმოსავლურმა ურდოებმა ხელი შეუშალეს საქართველოს „ქორწილს“ დასავლეთთან. საქართველო შუა გზაზე შეჩერდა, აღმოსავლეთს მოსცილდა,

⁶⁹ იაშვილი, პაოლო. თარგმნილი ლიტერატურა. *ევროპა თუ აზია*. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატინე“, თბილისი, 1997. გვ. 198.

⁷⁰ ტაბიძე, ტიციან. მანიფესტი აზიას. *ევროპა თუ აზია*. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატინე“, თბილისი, 1997. გვ. 301 – 303.

⁷¹ ტაბიძე, ტიციან. ირონია და ცინიზმი. პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში. *ევროპა თუ აზია*. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატინე“, თბილისი, 1997. გვ. 311.

მაგრამ დასავლეთს ვერ ეზიარა. რობაქიძე საუბრობდა ამ პრობლემის პოლიტიკური მოგვარებისა და საქართველოს დასავლურ სივრცეში ინტეგრაციის აუცილებლობაზე.⁷²

გერონტი ქიქოძის მტკიცებით, მიუხედავად წარსულში აღმოსავლეთის უპირატესობისა, სადაც სპარსული, არაბული, სირიული, ბიზანტიური კულტურები ყვაოდა, დიდი ხანია „მსოფლიო მნათობი“ დასავლეთისკენ გადაიხარა. „ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვითშემცნობი და მოქმედი ერისთვის.“ მისი შეხედულებით, კამათი იმის შესახებ აღმოსავლური ორიენტაცია სჯობს თუ დასავლური, მე-20 საუკუნის დასაწყისში უკვე აზრს იყო მოკლებული. სტატიაში „დასავლეთის კარები“ (1916) ქიქოძე ვრცლად მსჯელობს დასავლეთ-ევროპული კულტურის უპირატესობაზე რუსულთან შედარებით. მისი სიტყვით, ერთ მხარეს დგას მორჩილების რუსული მორალი, ხოლო მეორე მხარეს – „ძლიერი და სრულქმნილი პიროვნების ევროპული იდეალი.“ ქიქოძე თვლიდა, რომ საქართველო ევროპული კულტურის ქვეყანა იყო.⁷³

„ჩვენს სამშობლოს იმდენად ძირითადი კულტურული ფონდი არ ესაჭიროება, რამდენადაც მოძრავი კაპიტალი, რაიცა უფრო ადვილი სასესხებელია დღესდღეობით. ეროვნული ნიადაგი, ამ სიტყვის პირდაპირი და ნართაული მნიშვნელობით, ჩვენც იმგვარივე გვაქვს, როგორც დასავლეთ ევროპას. [...]

⁷² გრიგოლ რობაქიძის სიტყვა (ევროპის სოციალისტურ დელეგაციას მწერალთა სახელით. *ევროპა თუ აზია*. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997. გვ. 276.

⁷³ ქიქოძე, გერონტი. „დასავლეთის კარები“, *ევროპა თუ აზია* (შემდ. ნინო ხოფერია), „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997. გვ. 330-331.

საჭიროა, რომ დასავლეთის კარები ფართოდ გავა-
ლოთ, რათა უხვად შემოვიდეს ევროპული იდეები და
შეხედულებები. [...] თუ აქამდე კულტურული იდეე-
ბი გვაკლდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენს ქვეყა-
ნასა და დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი
ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო ამართუ-
ლი.”⁷⁴

გერონტი ქიქოძე იმედს გამოთქვამდა, რომ ტექნო-
ლოგიური პროგრესის პირობებში, როდესაც გეოგრაფიუ-
ლი და ტოპოგრაფიული საზღვრები კარგავდა პირვანდელ
მნიშვნელობას, ქართველი ერიც თავს დააღწევდა „ვინრო
და ნესტიან სენაკს“ სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეუ-
ლი და გამოვიდოდა ფართო კულტურულ ასპარეზზე.⁷⁵

პროდასავლურ შეხედულებებს დაუპირისპირდა ქარ-
თველი ინტელექტუალების ერთი ნაწილი, რომელიც ვერ
ხედავდა საქართველოს დასავლური განვითარების პერ-
სპექტივებს. მათ შორის გამორჩეულია ვახუშტი კოტეტიშ-
ვილის 1920 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია „აზიისა-
კენ.“ ავტორის სიტყვით, საქართველომ დაკარგა ძველი
და მტკიცე გზები, „ვიღაც“ ფრაკით შემოიჭრა შიგ და
კედლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა. [...] მზეს ზურგი შეგვაქ-
ცევინა.“ გრიგოლ ორბელიანმა, რომელსაც კოტეტიშვილი
ქართული ხელოვნების მოხუც ადიუტანტს უწოდებს, სცა-
და ამ „ვიღაცის“ შემობრუნება, მკვახეთაც შეუძახა მას,
მაგრამ ფრაკით შემოსილმა აჯობა. „დღეს ის ‘ვიღაცა’
ფრაკში ყველამ შეიყვარა თითქმის.“ ცხადია, ავტორი
1860-იან წლებს და თაობებს შორის დაპირისპირებას გუ-

⁷⁴ იქვე. გვ. 332

⁷⁵ იქვე.

ლისხმობს. იგი არ აკონკრეტებს „ვიდაცის“ ვინაობას. ნათელია, რომ ამ პერიოდიდან დაწყებულ პროცესს კოტეტიშვილი დასავლეთისკენ სვლად და აზიისთვის ზურგის შექცევად მიიჩნევს და უარყოფითად აფასებს. მისი შეხედულებით, ქართულ კულტურას ქართულობა აღარაფერში ეტყობოდა, „ყველა ევროპიულობის ციებ-ცხელებამ შეიპყრო. [...] გაევროპიელებამ პსიხოზის ხასიათი მიიღო. [...] ევროპამ შეგვშალა და ალბათ ნაგვშლის კიდეც, თუ ასე გაგრძელდა.“ კოტეტიშვილი მიიჩნევდა, რომ დადგა აზიისაკენ შემობრუნების და ფესვებთან დაბრუნების დრო, რაც უნდა გაითავისოს ახალმა თაობამ. „აზიაში დაგვიღამდა და აზიაშივე უნდა ველოდეთ ჩვენი ხელოვნების დილას. დევიზი: უკან აზიისკენ წინ წასასვლელად.“⁷⁶

ვახუშტი კოტეტიშვილის ეს ტექსტი, რომელიც ადასტურებს დასავლური პოლიტიკური და ინტელექტუალური დისკურსის გაბატონებულ მდგომარეობას, ერთ-ერთი გამონაკლისია ოკუპაციამდე შექმნილ ნაშრომებს შორის. იგი საერთო სურათში ერთგვარ დისონანსს ქმნის. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ევროპით იმედგაცრუების ფონზე, იმატა საქართველოს დასავლური გზისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების ამსახველმა პუბლიკაციებმა.

ევროპული მისწრაფებით იმედგაცრუების, უპერსპექტივობისა და ალტერნატივის ძიების პათოსითაა დაწერილი ნიკოლო მინიშვილის სტატია „ქართული კულტურის ახალი გზები“ (1926). ავტორის სიტყვით, უკანასკნელი თექვსმეტი საუკუნის საქართველოს ისტორია არის

⁷⁶ კოტეტიშვილი, ვახტანგ. „აზიისაკენ“, *ევროპა თუ აზია* (შემდ. ნინო ხოფერიას), „ლიტერატურის მატთანე“, თბილისი, 1997. გვ. 200-202.

მისწრაფება დასავლეთისკენ. „ჩვენი ცხოვრება ორი ათასი წლის განმავლობაში იყო ბრძოლა ჩინური კედლის შენგრევისათვის – ევროპაში. აღმოსავლეთიდან მოქმედი – ვახეთქებდით ამ კედელს თავს. და ეს კედელი ვერ შევანგრეთ.“⁷⁷ ამ „უნიადაგო ცოდვილში“ გავიდა მრავალი საუკუნე.

„ჩვენ დასავლეთიდან არაფერი შემოგვაძლიეს. ჩვენ ნავაგეთ – რაინდობა, ჯვარი, ქრისტე, სისხლი: დასავლეთმა არ გაანაღდა არც ერთი ეს მსხვერპლი, თუმცა მოთხოვნილება ამ საგანზე თითქოს დიდი არსებობდა უკანასკნელ დრომდე.“⁷⁸

მინიშვილის მტკიცებით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დასავლური კულტურა გაცვდა, ევროპა, როგორც იდუა – გათავდა. ავტორი ვარაუდობდა, რომ დასავლური კულტურის დასუსტებას განვითარებისა და სიახლის ცენტრის სხვაგან გადატანა მოყვება და ეს აუცილებლად აღმოსავლეთი იქნება. „დგება დრო ჩვენი გზების გადასინჯვისა. არჩევანის დრო.“⁷⁹ მინიშვილი იხსენებს სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც გულგატეხილი და „ევროპული ცინიზმით მონამლული“ დაბრუნდა. მისი სიტყვით, ეს იყო უკანასკნელი ცდა და, ამავე დროს, ქართული პოლიტიკური რომანტიზმის დეკადანსი. საბოლოოდ ყველაფერი ჩრდილოეთმა გადაწყვიტა. ნიკოლო მინიშვილი აღნიშნავდა, რომ „ყველაფერი, რაც დღეს ხდება

⁷⁷ მინიშვილი, ნიკოლო. „ქართული კულტურის ახალი გზები,“ *ევროპა თუ აზია* (მემდ. ნინო ხოფერიას), „ლიტერატურის მატრიანე“, თბილისი, 1997. გვ. 220.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე.

ევროპის საქართველოში შემოთრევისთვის არის უნიჭო და უპათოსო განმეორება ძველის. ამას გადავაცანეთ წარსული ოცი საუკუნე.⁸⁰ მინიშვილისთვის საქართველოს ისტორიული ბედი თავსდებოდა ყოველთვის ერთ ფორმულაში – „ნახვალ ინანებ, არ ნახვალ, ინანებ.“⁸¹

ნიკოლო მინიშვილის დაკვირვებით, დასავლეთისადმი დამოკიდებულების გარშემო არსებული დებატები საქართველოში აქტიური პოლიტიკის ნაწილი იყო და მიმდინარეობდა არაჯანსაღ, „შეურაცყოფილი ფსიხოლოგიის“ გარემოში, შეუძლებელს ხდიდა ისტორიული პერსპექტივის ობიექტურ შეფასებას. როგორც ჩანს, თანამედროვე პერიოდის მსგავსად, საუკუნის დასაწყისშიც ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის საკითხს, დასავლეთისადმი დამოკიდებულებას თან ახლდა ემოციური შემადგენელი. „მარადიული დგომა“ დასავლეთის კართან ქართულ სინამდვილეში ინტელექტუალური ელიტის პოლარიზაციასა და საზოგადოებრივი აზრის რადიკალიზაციას იწვევდა ბინარული ოპოზიციური საწყისების გარშემო.⁸² ქვემოთ დავინახავთ, რომ მინიშვილის შეხედულებები შეესაბამება დღევანდელ საქართველოში არსებულ ვითარებას და ზოგიერთი პოლიტიკოსისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ლიდერის დამოკიდებულებებს. მისი სიტყვით, ევროპასთან ერთობის საკითხი უნდა მოხსნილიყო დღის წესრიგიდან ერთხელ და სამუდამოდ იმიტომ,

⁸⁰ იქვე.

⁸¹ იქვე, გვ. 221.

⁸² ხოფერია, ნინო. ევროპული და აზიური ორიენტაციების შესახებ საქართველოში. *ევროპა თუ აზია*. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997. გვ. 5.

რომ ეს გზა „საზარალო“ გამოდგა ჩვენთვის. დღეს ევროპაში საქართველო აღარავის აინტერესებს,

„როგორც საგანი რომანტიული მზრუნველობისა და მეგობრობის. [...] ამ საკითხს დღევანდელის სიმწვავეთ ქართული ეროვნული აზროვნება არ უნდა დაუბრუნდეს მომავალში. – ქართველმა ხალხმა თავის ენერგია უნდა წარმართოს სხვა, უფრო რეალური, უფრო კონკრეტული მიზნებისაკენ და გამოსჭედოს ახალი, ნამდვილი ეროვნული სახე.“⁸³

კონსტანტინე გამსახურდია, 1922 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „კარგი ევროპიელი“ წერდა, რომ საქართველოს ტრაგედია ისტორიულად იყო მისი მარტობა. აღმოსავლეთში საქართველოს დაეკისრა ისეთი კულტურულ-ისტორიული ამოცანების შესრულება, რომლის განხორციელებას საუკეთესო ენერგია და სისხლის შეწინააღმდეგებდა.

„ქართველი ერი ჯვარს ეცვა ქრისტეს ჯვარისათვის და ქრისტიანული დასავლეთი ფაქტიურად არასოდეს მოგვევლეს. [...] ჩვენი მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ, მუდამ მაშველებს ეძებდნენ და გამოხმაურება მხოლოდ დელიკატურ ეპისტოლეებში იხატებოდა. დღესაც მარტოა ქართული რასა.“⁸⁴

გამსახურდიას სიტყვით, ქართველ ერს კვლავ უსამართლოდ ექცეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა

⁸³ მინიშვლილი, ნ. ქართული კულტურის ახალი გზები. ევროპა თუ აზია. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატთანე“, თბილისი, 1997. გვ. 222.

⁸⁴ კონსტანტინე გამსახურდია. კარგი ევროპიელი. ევროპა თუ აზია. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატთანე“, თბილისი, 1997. გვ. 126.

ქრისტიან ხალხებზე მეტი წვლილი ჰქონდა შეტანილი ქრისტიანული კულტურის განვითარებაში. კონსტანტინე გამსახურდიას ეს წერილი იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ მასში ჩნდება კარგი და ცუდი ევროპელის კლასიფიკაცია. ავტორი, გოეთეს ნააზრევზე დაყრდნობით, გამოარჩევს „კარგ ევროპიელს,“ რომელსაც არაფერი აქვს საერთო „ევროპიელ კომიზოიაჟორთან, სახარინის სპეკულანტთან, ევროპიელ ჟურნალისტთან.“ გამსახურდია საუბრობდა არტურ ლაისტის როგორც კარგი ევროპელის შესახებ, ულოცავდა მას საქართველოში მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს და განიხილავდა ცუდი ევროპელის ანტიპოდად.

„ამიერიდან საქართველო არ იქნება არც კურორტი და არც რესტორანი, რომელშიაც უცხოელები მოვლენ, დასტკებებიან ჩვენის ამაგიტა და სტუმართმოყვარეობით და წავლენ. თუ აქამდის ყოველ გადამთიელს ხელებგაშლილი ხვდებოდა ქართველი ხალხი, ამიერიდან ჩვენ ისეთ უცხოელს დავაფასებთ, რომელიც ჩვენ ამაგს დააფასებს,⁸⁵ – წერდა კონსტანტინე გამსახურდია.“

ქვემოთ დავინახავთ, რომ კარგი და ცუდი ევროპელის/დასავლელის, კარგი და ცუდი დასავლეთის იდეა გაღრმავდა და განვითარდა საბჭოთა ეპოქის მიწურულს და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის დასაწყისში, ზვიად გამსახურდიას ნააზრევსა და დამოკიდებულებებში. მამის მსგავსად, ზვიად გამსახურდიამ მაღალი კულტურის მატარებელი და გამავრცელებელი დასავლელი დაუპირისპირა

⁸⁵ იქვე, გვ. 127-128.

მატერიალისტ, მერკანტილური ინტერესების მქონე დასავლელს.

1910-1920-იან წლებში საქართველოს კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებით გამართული დისკუსია გვიჩვენებს დასავლეთისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. პროფეროპულმა პოლიტიკურმა კონტექსტმა დასავლური დისკურსის დომინანტურობა განაპირობა, რომელიც მწვავედ გააკრიტიკა ინტელექტუალური ელიტის ნაწილმა. შეიქმნა დასავლური სამყაროს წინააღმდეგობრივი აღქმის ერთგვარი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც წარიმართა პროცესები უკვე 1980-იანი წლებიდან. ამ პერიოდში გამართული დებატები, რომელიც, ძირითადად, აკადემიურ სივრცეში მიმდინარეობდა, ირეკლავს საუკუნის დასაწყისის დისკუსიის პათოსს. შემდგომში, დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, აღნიშნული წინააღმდეგობრიობა პოლიტიკის ნაწილად იქცა და დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდენტობის კონფლიქტური დისკურსების ჩამოყალიბებაში.

1930-იანი წლებიდან 1980-იან წლებამდე საქართველოში შეწყდა დებატები დასავლეთთან ურთიერთობის, დასავლური გავლენების, პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის გარშემო. საქართველო-დასავლეთის ურთიერთობის „გახსენების“ ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს დასავლეთისკენ სასოწარკვეთილი სწრაფვის და იმედგაცრუების კლასიკური მხატვრული ნიმუში – მუხრან მაჭავარიანის ლექსი „საბა“, სადაც ავტორი ასე აღწერს სულხან-საბა ორბელიანის ვიზიტს ევროპაში:

*„ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.*

[...]

*საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, – სასაცილოა! –
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.*⁸⁶

მუხრან მაჭავარიანის ამ სტრიქონების ნიჰილისტური პათოსი და უიმედობა კარგად ასახავს საქართველო-დასავლეთის ურთიერთობის იმ მხარეს, რომელიც ანტიდასავლური განწყობების ფორმირებისა და მათით მანიპულირების მკაფიო სივრცეს ქმნის. გია ნოდის სიტყვით, მუხრან მაჭავარიანმა ორბელიანის უშედეგო ვიზიტი საფრანგეთის მეფესთან პოპულარულ ბალადად აქცია, რომელიც სიმბოლურად ასახავს დასავლეთის უყურადღებობას საქართველოს გასაჭირისადმი.⁸⁷

მიუხედავად სტალინური ეპოქის დასაწყისში შეწყვეტილი დისკუსიისა და მკაცრი იდეოლოგიური წნეხისა, არის ერთი ამბავი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, ლოკალურ სივრცეში მოხდა. მას არ ჰქონია საერთო-სახალხო მხარდაჭერა და არ მოუხდენია გავლენა საზოგადოებრივ განწყობებზე, თუმცა იგი გვიჩვენებს დასავლეთის მბჟუტავ იმედს, რომელიც ყველაზე რთულ და საშიშ ეპოქაში ჯერ კიდევ არსებობდა საზოგადოების ნაწილში. ეს არის ე. წ. „ხევსურთა საქმე“, ანტისაბჭოთა შეთქმულების ამბავი, რომელიც ხევსურეთში 1936 წელს დაიგეგმა.⁸⁸ საბჭოთა ხელისუფლებამ შეთქმულების შესახებ მალევე შეიტყო და მისი მოთავეები დააპატიმრა. ნიშანდობლივია, რომ შეთქმულებს აღმოაჩნდათ წერილი, რომელიც უნდა გაეგზავნათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისთვის დახმარების სათხოვნელად. ფრაგმენტი წერილიდან:

⁸⁶ მაჭავარიანი, მუხრან. „საბა,“ <https://bit.ly/3t8Mnn0> (ნანახია 12/03/2021).

⁸⁷ ნოდია, „დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში,“ გვ. 40.

⁸⁸ ქევანიშვილი, ეკა. *თავისუფლებისთვის: დათვია ლიქოკელის ამბავი*, <https://bit.ly/3iaUuch> (ნანახია 18/08/2021).

„ჩვენი ხევისურეთის ხალხი შენუხებულ არს ბოლშევიკებით. [...] ამერიკას გთხოვთ დიდის თხოვნით ძრიელი სახელმწიფო ხართ და მოგვეშველენით და დახმარება გაგვიწივეთ თორე ცოდო ვართ. იმედი გვაქვს რო მოგვეშველებით. თუ გვიშველით თქვენ თუ არა ჩვენი მეშველ აღარა არი. აბა ძმებო უკანასკნელს დღეში ვართ ჩვენ მთელი ხევისურეთის წარმომადგენლები.“⁸⁹

წერილის პათოსი და ავტორთა უტოპიური იდეა, მიეღოთ ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საბჭოთა საქართველოში 1936 წელს პროდასავლური რომანტიზმისა და იდეალიზმის ერთგვარი გამოხატულებაა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა და დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს იდენტობის დისკურსის ფორმირებაში.

⁸⁹ იქვე.

დებატები კულტურული იდენტობის გარშემო 1980-იან წლების საქართველოში

ქართული კულტურის მიკუთვნებულობისა და დასავლეთთან დამოკიდებულების პრობლემასთან დაკავშირებით, განახლებული დისკუსიის საწყის წერტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1982 წელი, როდესაც გამოიცა გურამ ასათიანის ნაშრომი „სათავეებთან.“ ასათიანმა გაცოცხლა მივიწყებული დებატები საქართველოს კულტურული იდენტობის, დასავლური თუ აღმოსავლური გავლენებისა და ორიენტაციების გარშემო. ავტორი თვლიდა, რომ აღმოსავლელ ხალხებთან შედარებით, ქართველები ევროპელები იყვნენ, თუმცა ევროპელებთან უშუალო კონტაქტის დროს, ნათლად იგრძნობა მათგან განსხვავებულობა. ასათიანის სიტყვით, ქართველები ხშირად ცდილობენ ისე იქცეოდნენ და გამოიყურებოდნენ, როგორც დასავლელები და ამით მხოლოდ აღარიბებენ ქართულ კულტურას. ავტორი თვლიდა, რომ არ შეიძლებოდა აღმოსავლური გავლენის უარყოფა, რადგან „ჩვენ უნებლიეთ ვეზიარეთ, უშუალოდ შევეხეთ და შევინოვეთ დიდი აღმოსავლური კულტურის არაერთი ნამდვილი მონაპოვარი.“⁹⁰ მისი მტკიცებით, აღმოსავლური და დასავლური კულტურის ელემენტების სინთეზი ქართული ეროვნული ხასიათის თვისებაა. ასათიანის წერილს კრიტიკული ესეთი „მკვახე შეძახილი“ გამოეხმაურა აკაკი ბაქრაძე. იგი ასათიანის ნარკვევს 1920-იანი წლების გამოძახილად მიიჩნევდა. ბაქრაძის სიტყვით, გურამ ასათიანის შეხედულებები მიწიშვილისეული პესიმიზმით საზრდოობდა, რაზეც მეტყველებდა ავტორის „ნაღვლიანი კილო.“ აკაკი ბაქრაძე ქართულ

⁹⁰ ასათიანი, გურამ. *სათავეებთან*. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 10.

კულტურას პოლივალენტურ ფენომენად თვლიდა, სადაც თანაარსებობდა ურთიერთგამომრიცხავი ელემენტები. სწორედ ამის გამო ვერ შეასრულა ქართულმა კულტურამ ისტორიაში ის როლი, რომლის შესრულებაც შეეძლო. „ჩვენი ხასიათის პოლივალენტურობის გამთლიანება იმიტომაც ვერ ხერხდებოდა, რომ არჩევა ნის გაკეთება გვიჭირდა, ოთარა-ანთ ქვრივიც მოგვწონდა და კირილე მიმინოშვილიც, ის არ გვჯეროდა, რომ მათი გაერთიანება შეუძლებელია, რაკი ერთმანეთს გამორიცხავენ. [...] საჭიროა არჩევანი და გამთლიანების საფუძველიც მაშინ გამოიძებნება.“⁹¹ ავტორის აზრით, შეურიგებლის შერიგების მცდელობები მხოლოდ ფრაგმენტაციამდე მიიყვანდა ქართველ ხალხს.⁹²

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას წერილი „მკვახე შეძახილის ექო“, რომელიც აღნიშნული დისკუსიის ერთგვარ გვირგვინად იქცა. ზვიად გამსახურდიამ მკაცრად გააკრიტიკა გურამ ასათიანის პუბლიკაცია. მას სწამდა ქართული კულტურის განსაკუთრებულობა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი იყო სპეციფიკური რელიგიური ტოლერანტობა.⁹³ იგი მიიჩნევდა, რომ ქართველები „ევროპელებზე მეტად ევროპელები“ იყვნენ, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქრისტიანული ცივილიზაციის განვითარებაში. ზვიად გამსახურდიამ ასევე გააკრიტიკა აკაკი ბაქრაძე, რომელმაც ზედმეტად უარყოფითად წარმოაჩინა ქართული კულტურის ზოგიერთი შტრიხი. ზვიად გამსახურდია უკმაყოფილებას გამოთქვამდა ევროპელი მწერლებისა და ისტორიკოსების მიმართ, რომლებმაც სათა-

⁹¹ ბაქრაძე, აკაკი. *რწმენა*. თბილისი, „მერანი“, 1990, გვ. 179.

⁹² იქვე.

⁹³ გამსახურდია, ზვიად. „მკვახე შეძახილის ექო“, *წერილები. ესეები*. თბილისი, „ხელოვნება“, 1991, გვ. 567.

ნადოდ არ დააფასეს, მაგალითად, ქეთევან დედოფალი მაშინ, როდესაც განადიდებენ ევროპელი „პათოლოგი მეფეებისა და გარყვნილი დედოფლების“ ისტორიას. ზვიად გამსახურდია ქართულ კულტურაზე საუბრისას მაღალი მორალური კატეგორიებით მსჯელობდა. იგი საქართველოს ევროპული სივრცის ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა, რომელიც აუცილებლად დაიკავებდა კუთვნილ ადგილს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.⁹⁴ ამ წერილში უკვე ჩანს ის საბაზისო ელემენტები, რომელსაც მოგვიანებით დასავლეთის გამსახურდიასეული აღქმა დაეფუძნა და პოლიტიკური დისკურსის დომინანტურ შემადგენლად იქცა.

საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას კიდევ ერთი წერილი „დილემა კაცობრიობის წინაშე,“ რომელიც, ავტორის სიტყვით, 1977 წელს დაიწერა, თუმცა, გამსახურდიას დაპატიმრების გამო, მხოლოდ 1991 წელს გამოქვეყნდა.⁹⁵ ვფიქრობ, რომ ეს წერილი მკაფიოდ აჩვენებს ავტორის მსოფლმხედველობის ძირითად შტრიხებს, რომელმაც დიდწილად განსაზღვრა ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულებები 1980-1990-იან წლებში. ავტორის სიტყვით, ადამიანთა ევოლუციისათვის საჭირო გახდა, ჭეშმარიტებისა და სიკეთის გარდა, თავისუფლების გაგება და განვითარება. ამანვე გამოიწვია თავად დილემის შესაძლებლობა, მეტიც, საბედისწერო გახდა ეს დილემა: „რწმენისა და ურწმუნოების, სულიერ ღირებულებათა აღიარებისა ადამიანთა მიერ და მეორეს მხრივ, ამავე ღირებულებათა ზურგის შექცევისა და მათი მი-

⁹⁴ გამსახურდია, ზვიად. *წერილები, ესეები. ჯვარი ვაზისა*, თბილისი, 1991, გვ. 566.

⁹⁵ გამსახურდია, ზვიად. „დილემა კაცობრიობის წინაშე,“ *მატიანე*, 26 მაისი, 2018, N 1-2 (23-25), გვ. 10.

ვინყებისა.⁹⁶ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისთვის და არა ამქვეყნიური კეთილდღეობისთვის – ამბობდა ავტორი. სულიერისა და მატერიალურის დიქტომია ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკოსის, ერთ-ერთი გამოკვეთილი შტრიხია. იგი გახდა ინტელექტუალური პლატფორმა, რომელსაც დაეფუძნა ზვიად გამსახურდიას დასავლეთისადმი დამოკიდებულება და რომელმაც შექმნა დასავლური სივრცის წინააღმდეგობრივი აღქმის ჩარჩო – ისტორიულად არსებული ზნეობრივი დასავლეთი თანამედროვე ამორალური, მატერიალისტური დასავლეთის პირისპირ. ავტორის შეხედულებით, ადრეულ საუკუნეებში მსგავსი დილემის გადაწყვეტა მარტივად ხერხდებოდა, რადგან „უძველეს ხალხთა ბრძენნი და მოძღვართ მოძღვარნი“ თავად აჩვენებდნენ საზოგადოებას ზნეობრივი განვითარების გზას. მათი ავტორიტეტი და „დიდი რელიგიების ფუძემდებელთა საკრალური პრაქტიკა“ უზრუნველყოფდა მაღალი მორალისა და ქვეყნარტების მხარეს ყოფნას. თავისუფლების საყოველთაო ფასეულობად ქცევის შემდეგ, შესუსტდა რელიგიის როლი, ასპარეზიდან გაქრნენ საზოგადოების ზნეობრივი ლიდერები, გაძლიერდა აზროვნებისა და მსოფლმხედველობის „ყოველგვარი ცდომილება“; საბუნებისმეტყველო აზროვნების სფეროში ფეხი მოიკიდა „მატერიალისტურმა ცდომილებამ,“ ფილოსოფიაში – რაციონალიზმმა, პოზიტივიზმმა და სხვა იზმებმა.⁹⁷ ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა, რომ დასავლეთში შექმნილმა „უკიდურესმა დემოკრატიულმა თავისუფლებამ“ გზა მისცა პიროვნების აღვირაბსნილობას, სოციალურ ქაოსს, იდეოლოგიურ კრიზისს. იგი ამ ტენდენციას მე-20 საუკუნის მოვლე-

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ იქვე, გვ. 11-12.

ნად მიიჩნევდა. ზვიად გამსახურდიას სიტყვით, მასებს დი-
ლემის მეორე მხარე აარჩევინეს, ზურგი აქცევინეს სულიერი
იდეალებისთვის და „ამ დამლუპველი გზისთვის“ გამოგონი-
ლი იქნა ათასგვარი სახელები: „სოციალური პროგრესი“,
„ეკონომიკური კეთილდღეობა“ და სხვა.⁹⁸ ზვიად გამსახურ-
დია თვლიდა, რომ ჰიპებისა და ბიტნიკების მოძრაობა, ნარ-
კომანიის გამეფება, დასავლეთ ევროპაში გაბატონებული
„არნახული პათოლოგიური გარყვნილება“⁹⁹ მორალური გახ-
რწნისა და დეჰუმანიზაციის თვალსაჩინო მაგალითი იყო.¹⁰⁰
წერილში ზვიად გამსახურდიამ მკაცრად გააკრიტიკა საბჭო-
თა ტოტალიტარიზმი, რომელიც აბსოლუტურად ზღუდავდა
თავისუფლების ყოველგვარ გამოვლინებას, თუმცა ავტორის
კრიტიკა ასევე დაიმსახურა კაპიტალისტურმა სისტემამ, რო-
მელიც პრაქტიკულად ნერგავდა სიმდიდრის, კომფორტისა
და „ამსოფლიური კეთილდღეობის“ კულტს, რითაც, მისი
სიტყვით, უნებლიედ მაგრამ მაინც მტრობდა კაცობრიობის
მაღალ იდეალებს, ადამიანში ავითარებდა ანგარებას, პატივ-
მოყვარეობას და ეგოიზმს.

*„კაპიტალისტთა შორის მრავალს ურჩევნია არაფ-
რით დაზარალებეს მისი ბიზნესის მწარმოებლური
ინტერესები, ვიდრე ამის ფასად გადადგან თუნდაც
ერთი მორალური ნაბიჯი, გაიღონ მცირე მსხვერ-
პლი მაინც ზნეობის მოთხოვნებიდან გამომ-
დინარე. [...] კაპიტალიზმის ქვეყნებში ადამიანებმა
უნდა დასთმონ სწოობიზმი, კომფორტის სიყვარული,
მოგებისა და სარგებლიანობის კულტი. სოციალის-*

⁹⁸ იქვე, გვ. 14.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ იქვე.

ტურ ქვეყნებში კი ადამიანებმა უნდა დასთმონ შიში, ვინრო ეგოისტური კარჩაკეტილობა, ასოციალურობა, მოქალაქეობრივი დეზერტირობა.”¹⁰¹

ეს სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ 1977 წელს დაინერა, უკვე სახავს პოლიტიკოს ზვიად გამსახურდიას შეხედულებებისა და საერთაშორისო პოლიტიკისადმი დამოკიდებულებების კონტურებს. დილემებზე და ეგზისტენციურ არჩევანზე აპელირება, რომელიც თან სდევდა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას, არის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა მისი განსაკუთრებული ქარიზმა და იგი დიდი გარდატეხის ეპოქაში პროცესების სათავეში მოაქცია. ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი ამბობს, რომ გამსახურდიას არ სურდა გაზიარებული თამაშის წესებით მოქმედება, რადგან თვლიდა, რომ ქედის მოდრეკა არ შეიძლება არავისთან დედამიწის ზურგზე. „მე ამიტომ მიყვარს ზვიადი, მეც და ბევრს, [...] მაგრამ პოლიტიკური პრაქტიკის თვალსაზრისით, ეს არის მიუღებელი რამ.“¹⁰² ზვიად გამსახურდიას რადიკალიზმმა, ბოროტ და კეთილ მხარეებზე ხშირმა აპელირებამ, განაპირობა სამყაროს მისეული დუალისტური გაგება. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა მასობრივი მხარდაჭერის მქონე პოპულისტული დერი, რომელიც აკმაყოფილებდა ამ ცნების ყველაზე ფუნდამენტურ მახასიათებლებს. ეროვნული მოძრაობის საკულტო ფიგურის მსოფლმხედველობა იმთავითვე შეიცავდა პოტენციალს იმ ტენდენციის გასავითარებლად, რომელსაც თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში ეროვნული პოპულიზმის სახელით მოიხსენიებენ.

¹⁰¹ იქვე, 17-18.

¹⁰² ჩაგელიშვილი, თომა. ჩაკეტილი წრე, თბილისის ომი, <https://bit.ly/3Je5Ubn> (ნანახია 21.06.2021).

ეროვნული პოპულიზმის საწყისები პოსტსაბჭოთა სივრცეში: საქართველო

პოპულიზმის ფენომენი პოსტსოციალისტურ სივრცეში არ არის ღრმად შესწავლილი. ეს განსაკუთრებით შეეხება პოპულისტურ ტენდენციებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნევრ რესპუბლიკებში. ლუკ მარჩი, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად ემპირიული კვლევების სიმნიშვნელობას მიიჩნევს. მისი შეხედულებით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში იშვიათად არის შესწავლილი პოპულიზმის მაგალითები. მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში საზოგადოებრივი აზრის პოპულისტური მობილიზებისთვის ნოციერი ნიადაგი არსებობს, ნაკლებად ვხვდებით მწყობრ და თანმიმდევრულ პოპულისტურ მოძრაობებს. ლუკ მარჩი თვლის, რომ ამის მთავარი მიზეზი პლურალიზმის ნაკლებობა და დემოკრატიის დაბალი ხარისხია, რაც ხელს უშლის პოპულიზმის განვითარებას. ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების ნაწილში ავტორიტარული მიდრეკილებების ხელისუფლებები არსებობს, რაც ახშობს სივრცეს პოპულიზმის ჩამოყალიბებისთვის. სუსტი დემოკრატიული კონსოლიდაციისა და არასტაბილური ვითარების გამო, ეს ფენომენი თავს იჩენს დიდი გარდაქმნების, რადიკალური პოლიტიკური ცვლილებებისა და მათი თანმიმდევრული იდენტიფიკაციის კრიზისის დროს. ასეთ ვითარებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სისტემასთან დაპირისპირებული პოპულისტები თავად მოდიან ხელისუფლების სათავეში და აგრძელებენ პოპულისტური რიტორიკის გამოყენებას. პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელისუფლებო პოპულიზმი ახასიათებთ ავტორიტარული ქვეყნების ლიდერებმაც, თუმცა მათი მართვის სტილი მაინც ელი-

ტისტური და სოციალური მობილიზაციის წინააღმდეგ მიმართულია.¹⁰³

პოსტსაბჭოთა პოპულიზმზე საუბრისას, მკვლევრები ხაზს უსვამენ კომუნისტური მემკვიდრეობის მნიშვნელობას. ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკები საბჭოთა სახელმწიფომ უზრუნველყო პოპულიზმის განვითარებისთვის საჭირო იდეოლოგიური და ლექსიკური არსენალით. დევიდ ბრანდენბურგერი სტალინს „ავტორიტარ პოპულისტს“ უწოდებს,¹⁰⁴ რომელმაც „არაპროლეტარულ“ წარსულზე აპელირებით, ისტორიული ფიგურებისა და მოვლენების გაცოცხლებით, სოციალიზმის ენაზე მათი თარგმნით საბჭოთა ხალხებისთვის ახალი ნაციონალური იდენტობის შექმნა განიზრახა. დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოზე საუბრისას, შესასწავლი საკითხის ეს მიმართულება საინტერესოა, თუმცა, მოცემულ ეტაპზე, მისი სიღრმისეული ანალიზი არ არის ჩვენი გამოკვლევის მიზანი. მიუხედავად აღნიშნულისა, პოსტსაბჭოთა ეროვნული პოპულიზმისა და ანტიდასავლური დისკურსის კვლევისას, აუცილებელია შევხებით კოლონიურ მემკვიდრეობას და მის როლს, რადგან მნიშვნელობები, რომლებსაც საქართველოში ანტიდასავლური ნარატივები ეფუძნება, ხშირ შემთხვევაში, კოლონიური მემკვიდრეობითაა განპირობებული. კომუნისტური ლექსიკონი ქარბად შეიცავდა პოპულისტური რიტორიკისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. ხალხის ძალაუფლებაზე აპელირებამ, პიროვნების კულტის შექმნამ, „მანიქეისტურმა კონსპიროლოგიამ,“ რაც საზოგადოების პოლარიზაციას, „ხალხის

¹⁰³ March, Luke. “Populism in the Post-Soviet States,” *The Oxford Handbook of Populism*. Oxford University Press, 2017, გვ. 214-215.

¹⁰⁴ Brundenburger, David. “Stalin’s Populism and Accidental Creation of Russian National Identity,” *Nationalities Papers*, 38(5), 723-739, 2010, გვ. 8.

მტრების“ გამოვლენას და მხილებას, განსხვავებული იდეოლოგიის მტრულად მონათვლას გულისხმობდა, მნიშვნელოვნად განსაზღვრა პოსტსოციალისტური საზოგადოების ცხოვრება. კომუნისტური დისკურსი, მენტალობა და პრაქტიკა პოსტკომუნისტურ პოლიტიკაში განსხეულდა.¹⁰⁵ მსგავსმა უწყვეტობამ გაართულა დამოუკიდებლობის შემდგომი ტრანზიციის პროცესი, განაპირობა საზოგადოების გახლეჩილობა, რაც ხშირად გამოიხატება ორიენტაციულ დილემებში, ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხებზე ფართო კონსენსუსის არარსებობაში.

შეუძღვარი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც ეს იდეოლოგია უფრო დეკლარირებულ ხასიათს ატარებს და ნაკლებად აისახება საზოგადოების რეალურ ცხოვრებაზე, ჩნდება უფსკრული პრივილეგირებულ ელიტასა და ხალხს შორის. საზოგადოებაში ისადგურებს სახელმწიფოს ლიბერალური იდეოლოგიისადმი უნდობლობა. ასეთ დროს ასპარეზი ეძლევა პოპულიზმს, რომელსაც განსაკუთრებული მობილიზაციური შესაძლებლობები აქვს. იგი სისტემის მიმართ უკმაყოფილების საფუძველზე ჩნდება. პოპულისტები გაჩენილი უფსკრულის შემავსებლის როლს ირგებენ და ხალხს „პირდაპირი დემოკრატიის“ განმახორციელებლად ევლინებიან, სადაც სრულად იქნება ასახული ხალხის მოთხოვნები და საჭიროებები. საქართველო, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ არასრულფასოვანი დემოკრატიის ქვეყნად მიიჩნევა. დამოუკიდებლობის შემდგომ წარმოქმნილი ფუნდამენტური პრობლემების – ტერიტორიული მთლიანობის, სიღარიბის, უმუშევრობის და ა. შ. – მოუგვარებლობა საზოგადოების ნაწილში ლიბერალური დე-

¹⁰⁵ March, “Populism in the Post-Soviet States,” გვ. 217.

მოკრატისადმი უკმაყოფილებას იწვევს, რაც, თავის მხრივ, ნოყიერ ნიადაგს უქმნის პოპულისტურ ნარატივებს. ეს ნარატივები, ხშირ შემთხვევაში, ანტიდასავლურია და დასავლეთთან დაკავშირებით ალტერნატიული დისკურსების ჩამოყალიბებას ემსახურება, სადაც დაგმობილია პროდასავლური კურსი, როგორც ქვეყნის განვითარების უალტერნატივო გზა.

ლუკ მარჩის შეხედულებით, განსხვავებით დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისგან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით) ევროინტეგრაციის პროცესი ნაკლებად არის საზოგადოებრივი აზრის პოპულისტური მობილიზაციის საფუძველი. მკვლევარს მხედველობაში აქვს მზარდი ემიგრაცია დასავლეთის ქვეყნებში, ტრანსნაციონალური (ევროკავშირის) კანონმდებლობის პრიმატი, ნაციონალური ინტერესების ზიანისკენ მიმართული საფრთხეები, „გარყვნილი ევროპის“ მყარად არსებული სტერეოტიპი და სხვა ფაქტორები, რომლებიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში პოპულიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნიან. დასავლური ორიენტაციის ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში – საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში – რომლებიც არ არიან ევროგაერთიანების წევრები, პოპულისტური მობილიზაციის განმაპირობებელი მსგავსი ფაქტორები ნაკლებ მნიშვნელოვანია.¹⁰⁶ საქართველოს შემთხვევის ანალიზისას ჩანს, რომ ეროვნული პოპულიზმის განვითარება დასავლური პოლიტიკური ორიენტაციისა და ევროპასთან დაახლოების თანმდევი პროცესია. საქართველოს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია

¹⁰⁶ იქვე, გვ. 219.

პროდასავლური და ანტიდასავლური ნარატივების გარშემო ხორციელდება. საზოგადოების ფრაგმენტაციისა და იდენტობის ალტერნატიული დისკურსების ფორმირების წყარო დასავლეთია. განვლილი 30 წლის განმავლობაში, საქართველოს დაყოფილ საზოგადოებაში მიმდინარე დრამატულ თამაშებში, სადაც კონსესუსისა და ფუნდამენტურ საკითხებზე ფართო საზოგადოებრივი თანხმობის მუდმივი ძიებაა, დასავლეთი აღიქმება როგორც ერთ-ერთი მთავარი არბიტრი, რომელიც განაგებს თამაშის პროცესს. დასავლეთის როლი და მოქმედება თამაშში ჩართული აქტორების მხრიდან ხშირად საკუთარი მიზნებისა და განწყობების შესაბამისად არის ინტერპრეტირებული: ზოგისთვის იგი უსამართლო, მიკერძოებული, ფარული ზრახვების მქონე სუბიექტია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქართველ ხალხის ფუნდამენტურ ფასეულობებს, ზოგისთვის კი პირიქით – დიდი მეგობარი და გულშემატკივარი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურ და უსაფრთხო განვითარებას.

მწირ ლიტერატურაში, რომელიც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში პოპულიზმის თავისებურებებს აანალიზებს, აღნიშნულია, რომ პოსტსოციალისტური სახელმწიფოების დიდ ნაწილში მმართველობის სტილი პატერნალისტურ ურთიერთობებს ემყარება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მფარველობითი საპრეზიდენტო მმართველობა (paternal presidential rule) (მაგალითად, ცენტრალური აზიის ქვეყნები, რუსეთი). მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ქარიზმატულმა პოლიტიკოსებმა, რომლებსაც მარჩი „მობილიზაციურ პრეზიდენტებს“ (mobilizational presidents) უწოდებს, ოპოზიციაში ყოფნის დროს შეძლეს საზოგადოების მობილიზება და ხელისუფლებაში მოსვლა. ეროვნული პოპულიზმის აღმასვლა 1989-1991 წლების ანტიკომუ-

ნისტური ამბოხის თანმდევი პროცესია, როდესაც ნაციონალისტი ლიდერები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ზვიად გამსახურდია საქართველოში და აბულფაზ ელჩიბეი აზერბაიჯანში, სათავეში ჩაუდგნენ დამოუკიდებლობისკენ სვლას. ლუკ მარჩი, პოპულიზმზე საუბრისას, ხაზს უსვამს ზვიად გამსახურდიას ფიგურას, რომელიც, მისი შეხედულებით, ამ დეფინიციის ნათელი ილუსტრაციაა. გამსახურდიას „ხალხურობა,“ ახალი, ანტიკომუნისტური იდენტობის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა, ანტიელიტიზმი, სისტემის წინააღმდეგ დაულაღვი ბრძოლა პოპულისტი ლიდერის ფუნდამენტური მახასიათებლებია. მსგავსი ლიდერები პოპულისტებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ სტილისტური და ორგანიზაციული თვალსაზრისითაც – ზვიად გამსახურდიას პირადმა ქარიზმამ და საზოგადოების დიდი ნაწილის მისი ფიგურის გარშემო მობილიზებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ეროვნული მოძრაობის პერსონიფიცირება.¹⁰⁷ რეჟიმის წინააღმდეგ სახალხო ბრძოლის ყველაზე აქტიურ ფაზაში გამსახურდია მოძრაობის საკულტო ფიგურად იქცა. პოსტსოციალისტურ სივრცეში რადიკალური ანტიკომუნისტური მოძრაობები, რომლებიც პოპულიზმის მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავდა, ფრაგმენტული აღმოჩნდა და მალე დაასრულა არსებობა. ასე იყო ზვიად გამსახურდიას შემთხვევაშიც; მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში კვლავ ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა და ძველი ელიტები დაბრუნდნენ.¹⁰⁸

საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის სანყისი ეტაპის შესწავლის დროს, სტივენ ჯონსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართულ პოპულიზმს და მის ცენტრა-

¹⁰⁷ იქვე, გვ. 222.

¹⁰⁸ იქვე.

ლურ ფიგურას, ზვიად გამსახურდიას.¹⁰⁹ 1988-1991 წლები საქართველოში ეროვნული პოპულიზმის აღმავლობის ხანაა. დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრების დროს, კრიზისულ ვითარებაში, საზოგადოების კონსოლიდაცია ქარიზმატული ლიდერების გარშემო ხდება. ამ დებულების მკაფიო დასტურია აღნიშნული პერიოდის საქართველოში განვითარებული პროცესი, როდესაც რეჟიმისადმი სახალხო წინააღმდეგობის ბირთვი ზვიად გამსახურდიას ფიგურის გარშემო ჩამოყალიბდა. სტივენ ჯონსის სიტყვით, „გამსახურდია საქართველოს თანამედროვეობის კრიზისს ასახავდა.“ იგი სარბიელზე ექსტრემალურ ვითარებაში აღმოჩნდა, როდესაც საზოგადოება მწვავე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. მისი მსოფლმხედველობა ნაციონალიზმის, პოპულიზმის, რელიგიურობისა და კონსერვატიზმის ნარევი იყო. დიდი ტრანსფორმაციის თანმდევი ყოვლისმომცველი კრიზისული გარემო ხელს უწყობდა პიროვნულ ქარიზმაზე დამყარებული პოპულისტური პოლიტიკის განხორციელებას. საქართველოში არსებული ფსიქოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები გამსახურდიას პიროვნებისთვის იყო ხელსაყრელი და იგი ლოგიკურად მოექცა ხელისუფლების სათავეში. ზვიად გამსახურდია სახელმწიფოს მართავდა ურთულეს ვითარებაში – იდენტობის კრიზისს, დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების მხოლოდ ჩანასახოვან არსებობას, მზარდ ეთნოსთაშორის დაპირისპირებებს, ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს ემატებოდა მწვავე შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები და ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირი,

¹⁰⁹ ჯონსი, *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*. გვ. 73.

რომელიც მხოლოდ 1991 წლის ბოლოს დაიშალა. აღნიშნულ-
მა ფაქტორებმა ხელი შეუწყო პოპულიზმის გაღვივებას. მისი
ერთ-ერთი მახასიათებელი – პასუხიმგებლობის გადატანა,
განტევების ვაცის მუდმივი ძიება – ქართული პოლიტიკის
საკვანძო კომპონენტად იქცა. ჯონსი „განტევების ვაცების“
ჩამონათვალში, კომუნისტებთან, საბჭოთა კავშირთან, „ნი-
თელ ინტელიგენციასთან“ და ეროვნულ უმცირესობებთან
ერთად, დასავლეთსაც მოიხსენიებს.¹¹⁰ გამსახურდიასა და
დასავლეთს შორის ურთიერთობა მისი მოღვაწეობის ბოლო
ეტაპზე გართულდა. გამსახურდიას რიტორიკამ ნამდვილად
შეიძინა ანტიდასავლური პოპულიზმის ელფერი, თუმცა ეს
არ ყოფილა მისი პოლიტიკის ერთმნიშვნელოვანი ხაზი. გამ-
სახურდიას დასავლეთისადმი დამოკიდებულებას უფრო
ღრმა საფუძველი აქვს და მისი მსოფლმხედველობის ერთ-
ერთი განმსაზღვრელი კომპონენტია. ხელისუფლებაში მოს-
ვლის შემდეგ დასავლეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით
განვითარებული წინააღმდეგობრივი პროცესი აღნიშნულ
მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს ემყარება. 1990-იანი
წლების დასაწყისში პრაგმატული დასავლური მიდგომები და
რეალური პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოვიდა გამსახურ-
დიას რომანტიზმთან, რამაც კატალიზატორის როლი შეას-
რულა და სერიოზული დაბრკოლებები შექმნა დასავლურ
სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში.

პოპულიზმის ერთ-ერთი ძირითადი თეზა კეთილისა და
ბოროტის მუდმივი ბრძოლის, სამყაროს მანიქეისტური აღ-
ქმის შესახებ პოსტსაბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვანი
მახასიათებელია. სტივენ ჯონსის შეფასებით, გამსახურდიას
მმართველობის პერიოდში, თითქმის ყველა პოლიტიკური

¹¹⁰ იქვე, გვ. 77.

ჯგუფისთვის კანონის უზენაესობა დაბრკოლებას წარმოადგენდა, ზომიერება კი კაპიტულაციას ნიშნავდა. ამას ერთგოდა „საბჭოთა პოლიტიკური განათლება აბსოლუტიზმზე, შეუცდომლობაზე, ბრძოლასა და თავდადებაზე აქცენტებით,“ რამაც მოწინააღმდეგეები ორ ბანაკად გაყო. „ერთ მხარეს იდგა სწორი, ჭეშმარიტი და ერთგული და მეორე მხარეს – მცდარი, ყალბი და ვერაგი.“ კონსტიტუციური ლიბერალიზმი საქართველოში სიახლე და დაბრკოლება იყო უმრავლესობის უფლებების განხორციელების გზაზე.¹¹¹ გავიხსენოთ, რომ თანამედროვე პოპულიზმის მთავარი განმამპირობებელი ფაქტორი არის იმ შესაძლო წინააღმდეგობაზე აპელირება, რომელიც კონსტიტუციით დაცულ ადამიანის, მათ შორის, უმცირესობის უფლებებსა და უმრავლესობის განწყობებს შორის არსებობს. სხვა პოპულისტების მსგავსად, ზვიად გამსახურდია კრიზისის პირობებში გაძლიერდა და პროცესების სათავეში მოექცა. „კონფლიქტმა გამსახურდიას ძალაუფლება მიანიჭა: ის წარმოადგენდა სეპარატიზმისა და რეგიონალიზმის ძალების წინააღმდეგ შემდგარ ერთობას.“ ჯონსი ეყრდნობა ერნესტო ლაკლაუს დებულებას პოპულიზმის შესახებ, რომელიც „პოლიტიკური სივრცის გამარტივებას“ გულისხმობს. სახალხო ბრძოლა ერთიანდება ერთი საკითხის ირგვლივ და პოლიტიკურ სირთულეს „ჩვენთანებად“ და „სხვებად“ ხედვა ანაცვლებს. გამსახურდიას საქართველოში „ისინი, სხვები“ ინტელექტუალები, ექსპერტები, უცხოელები და იმპერიალისტები იყვნენ, რომლებსაც ერთი რამ აერთიანებდათ – „ხალხის“ ექსპლუატაცია.“¹¹² სტივენ ჯონსის ხედვა ზოგისთვის ტენდენციურია. შესაძლოა, ეს დებულებები თა-

¹¹¹ იქვე, გვ. 79.

¹¹² იქვე, გვ. 81.

ვად არის მიდრეკილი რთული და მრავალმხრივი პოლიტიკური პროცესების გამარტივებისა და ერთგვარ სქემაში მოქცევისკენ, თუმცა, ვფიქრობთ, რომ კონცეპტუალური თვალსაზრისით, ჯონსის შეხედულებები მართებულია და სწორად ასახავს პოსტსაბჭოთა დამოუკიდებლობის საწყის რეალობას. უკიდურესად პოლარიზებულ საზოგადოებაში მორალურ კატეგორიებზე დაფუძნებული სამყაროს დიქტომიური აღქმა დომინირებდა. პროცესები „ნათელისა“ და „ბნელის“, „კეთილისა“ და „ბოროტის“, „მტრისა“ და „მოყვარის“ შეურიგებელი დაპირისპირების კონტექსტში ვითარებოდა. იმდროინდელი პოლიტიკური ლექსიკონი გაჯერებული იყო სიტყვებით „მხილებული“, „პუტჩისტები“, „რეაქციული ძალები“, „იმპერიული კოლაბორაციონისტები“, „კრემლის აგენტები“ და სხვა. მსგავს ლექსიკონს იყენებდა როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია, რაც გვიჩვენებს საზიარო პოლიტიკური ენის და რიტორიკის არსებობას. მსგავსი რიტორიკა მომხრეების მობილიზებას და მოწინააღმდეგეების დემონიზებას ახდენდა, რაც ართულებდა კონსენსუსის ძიებას და ინკლუზიური პროცესების განვითარებას. პოლარიზებული გარემო და ზემოთ აღნიშნული გამარტივებული პოლიტიკური პროცესი დემონიზებული მოწინააღმდეგის სახის გაერთოვაროვნებას ახდენდა. ასეთ დროს დასავლეთი ხშირად წარმოდგებოდა როგორც გაერთოვაროვნებული მტრის ხატის ერთ-ერთი კომპონენტი. გამსახურდიას აზრით, შევარდნაძის, გორბაჩოვის, ჯორჯ ბუშის და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯეიმს ბეიკერის მსგავსი ფიგურები გახლართული იყვნენ ანტიქართულ შეთქმულებაში.¹¹³ გაცხადებულად დასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ლიდერის მხრი-

¹¹³ იქვე, გვ. 89.

დან მსგავსი რიტორიკა თავად დასავლეთის წინააღმდეგობრივი ალქმის საფუძვლად იქცა, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ. დაყოფილი საზოგადოების უმთავრესი პრობლემა, რომელიც დღემდე გადაუღახავია არის ის, რასაც სტივენ ჯონსი „ინტერესთა კოალიციის“ არარსებობას უწოდებს.¹¹⁴ ფუნდამენტურ პრობლემებზე შეუთანხმებლობა განსაკუთრებით მწვავედ აისახება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია, ცივილიზაციური იდენტობა, ერის მშენებლობის გზები და ფორმები. ამ დროს საქმე გვაქვს საზოგადოებრივი აზრის პოპულისტურ მობილიზაციასთან განსხვავებული და ხშირად შეურიგებელი ინტერესთა ჯგუფების გარშემო, რომელთაგან ერთის გამარჯვება მეორის აუცილებელ მარცხს, საჯარო სივრციდან გაქრობას ან უკიდურეს დასუსტებას გულისხმობს. დამოუკიდებელ საქართველოში დასავლეთის სახის ფორმირებისა და საქართველოს დასავლური გზის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია, რომ საკვლევი პრობლემა დაყოფილი საზოგადოების კონტექსტში შევისწავლოთ. ახალი პოსტსაბჭოთა იდენტობის ძიებაში დასავლეთი ერთ-ერთი წამყვან ფაქტორად იქცა. განვლილი 30 წლის განმავლობაში დასავლეთისადმი დამოკიდებულება ხელს უწყობდა როგორც საზოგადოების კონსოლიდაციას ნაციონალური პროექტებისა და ინტერესების გარშემო, ასევე მის ფრაგმენტაციას, რადგან ნაციონალური ინტერესები განსხვავებული ჯგუფების მხრიდან სხვადასხვაგვარად აღიქმება და ამ პროცესში დასავლეთი არ განიხილება როგორც მხოლოდ პოზიტიური როლის მატარებელი.

¹¹⁴ იქვე, გვ. 91.

დასავლეთი და საქართველოს გიორგი ლაშოვიძის ბიოგრაფია

1992 წლის იანვარში, Sunday Times-ის რედაქტორი მეთიუ კემპბელი ბაქოში დაუკავშირდა ჟურნალისტ თომას გოლცს და ზვიად გამსახურდიასთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩასაწერად საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში ჩასვლა დაავალა. ჟურნალისტს პრეზიდენტისთვის უნდა ეკითხა, თუ რას გრძნობდა პოსტიდან გადაყენების შემდეგ. რედაქტორსა და კორესპონდენტს შორის დიალოგს თომას გოლცი ასე იხსენებს:

– „უნდა წახვიდე და ის კაცი მოძებნო... რა ქვია? – იკითხა სავარძელში მოკალათებულმა მეთიუმ ლონდონიდან.
– ვინ? – კითხვა შევუბრუნე ოდნავ დაბნეულმა.
– ფაშისტი რომ ჰყავდათ... ახლახან რომ მოიშორეს, – ამიხსნა მან, – შენ არ თქვი, აზერბაიჯანში იყო ჩამოსულიო? BBC-ზე გისმენდიო.“¹¹⁵

თომას გოლცს BBC-დან იმ მოარული ხმების გადასამონწმებლად დაურეკეს, რომელიც ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებას ეხებოდა. ამ ხმების თანახმად, თბილისიდან გაქცეული გამსახურდია აზერბაიჯანში გადასულა და თან წაუღია სახელმწიფო ხაზინიდან გატაცებული დიდძალი ოქრო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხმები ოქროს გატაცების შესახებ დეზინფორმაცია ყოფილა და მიზანმიმართულად ვრცელდებოდა გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით.¹¹⁶ ზვიად გამსახურდია მართლაც გადავიდა აზერბაიჯანში და რამდენიმე საათის შემდეგ გეზი სომხეთისკენ აიღო. თომას გოლ-

¹¹⁵ გოლცი, თომას. *საქართველო. „არტანუჯი“*, თბილისი, 2014, გვ. 3.

¹¹⁶ იქვე.

ცმა საქართველოს პრეზიდენტის შესახებ მხოლოდ ეს იცოდა, თუმცა დასავლურ მედიაში იმდენად მწირი იყო ინფორმაცია საქართველოსთან დაკავშირებით, რომ, როგორც თავად ირონიულად აღნიშნავს, უმაღლესი მოიპოვა „მსოფლიო აღიარება“, როგორც საქართველოს შესახებ ყველაზე ინფორმირებულმა ადამიანმა. BBC-თან ინტერვიუს დასრულების შემდეგ გადაცემის წამყვანმა გოლცი ასე მოიხსენია: „ეს იყო თომას გოლცი ბაქოდან, ექსპერტი საქართველოს საკითხებში“.¹¹⁷ ის, რაც გადმოიცა პოპულარული ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოს საშუალებით, უმაღლესი აიტაცა მსოფლიომ. თომას გოლცის სიტყვით, ინფორმაცია ზვიად გამსახურდიას შესახებ მეტწილად ნეგატიური იყო. „ავტორიტარი“, „დიქტატორი“, „შეშლილი“ – ეს ის ტერმინებია, რომლითაც მაშინ გამსახურდიას დასავლეთში მოიხსენიებდნენ. ეს შეფასებები რადიკალურად განსხვავდებოდა მის მიმართ საბჭოთა პერიოდში არსებული დამოკიდებულებებისგან: იმ პერიოდში გამსახურდიას, როგორც თავდადებულ დისიდენტს, ლამის ვაცლავ ჰაველის გვერდით აყენებდნენ.¹¹⁸

საინტერესოა, რამ გამოიწვია ასეთ მცირე დროში გამსახურდიასა და დასავლეთს შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება. ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ვფიქრობთ, რომ გამსახურდიას იდეალიზმი შეუთავსებელი აღმოჩნდა დასავლურ პრაგმატიზმთან.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის რღვევისა და დამოუკიდებლობისკენ სვლის პროცესში საქართველო კვლავ შეხვდა დასავლეთს. ახალბედა დამოუკიდებელი ქვეყნის მიერ საკუთარი ადგილის ძიებისა და იდენტობის ახალი კონსტრუქცი-

¹¹⁷ იქვე, გვ. 4.

¹¹⁸ იქვე, გვ. 6.

ის შენების პროცესში დასავლეთმა იმთავითვე შეიძინა საკვანძო მნიშვნელობა, თუმცა, პოზიტიურ მომენტებთან ერთად, ურთიერთობა ორმხრივი სტერეოტიპიზაციის ფონზე განვითარდა. გია ნოდისა შეხედულებით, ახალ სინამდვილეში გაბატონებული მდგომარეობა ისევ მოიპოვა პირველი დამოუკიდებლობისას ჩამოყალიბებულმა პარადიგმებმა – ტოტალიტარული რუსეთი, რომელმაც უხეში ძალის გამოყენებით დაიმონა საქართველო და დასავლეთი, საქართველოს უძველესი ცივილიზაციური მოკავშირე, რომელიც ქვეყანას მხსნელად უნდა მოვლენოდა.¹¹⁹

ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობის ძირითადი მახასიათებლები დასავლეთისადმი დამოკიდებულებაზე იმ თვალსაზრისითაც აისახა, რომ, მისი აზრით, დასავლეთს ჰქონდა ერთგვარი მორალური ვალდებულება დაეცვა საქართველო, როგორც უძველესი ევროპული ქვეყანა. ზვიად გამსახურდიამ აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო როგორც პროევროპელმა დისიდენტმა, თუმცა დასავლელი ლიდერების მხრიდან წამოსულმა მკაცრმა კრიტიკამ, როდესაც იგი „ადგილობრივი დესპოტიზმისა და ეთნიკურ სიძულვილზე დაფუძნებული თვითმკვლელი ნაციონალიზმის გაღვივებაში დაადანაშაულეს“,¹²⁰ გამსახურდიას იმედგაცრუება გამოიწვია.¹²¹ მისი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ხარვეზად საგარეო ორიენტაცია მიიჩნევა, რომელიც ზოგიერთი ოპონენ-

¹¹⁹ ნოღია, „დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში“, გვ. 44-45.

¹²⁰ “Honoring His Legacy! Russians Will Remember George H. W. Bush’s Famous “Chicken Kiev” Speech,” <https://bit.ly/3Ijyw1v> (ნანახია 13/02/2022).

¹²¹ Brisku, Adrian. *Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008*. New York – Oxford: Berghahn, 2013, გვ. 162.

ტის მხრიდან ანტიდასავლურ პოლიტიკად მოინათლა.¹²²

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ხანმოკლე პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა, შეუძლებელია ჩამოყალიბებულ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე საუბარი. სოციალისტური ბანაკის დაშლის პროცესში დასავლეთი აქტიურად უჭერდა მხარს აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიულ მოძრაობებს, თუმცა, 1991 წლამდე, ნაკლებ ინტერესს იჩენდა საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.¹²³ დასავლური სახელმწიფოები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები, ცნობდნენ საბჭოთა კავშირს, როგორც ერთიან პოლიტიკურ ერთეულს. ამ დროისთვის მათი მხრიდან აქცენტი დისიდენტურ მოძრაობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე კეთდებოდა. ამის დასტურია აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანის შეხვედრა საბჭოთა დისიდენტებთან მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის დროს, 1988 წელს. შეხვედრაზე, რომელსაც 96 საბჭოთა დისიდენტი ესწრებოდა, რეიგანმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საბჭოთა მოქალაქეებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.¹²⁴ ეს ფაქტი ჯერ კიდევ იყო იმ პროცესის გაგრძელება, რომელიც 1975 წელს ჰელსინკის შეთანხმებით დაიწყო. ამ შეთანხმების მიხედვით საბჭოთა კავშირს ნედლეულის და ნავთობპროდუქტების დასავლეთის ბაზარზე გატანის უფლება ეძლეოდა, თუმცა, ამავე დროს, იგი იღებდა სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას. დასავლეთისთვის

¹²² შევლიძე, დიმიტრი. *პოლიტიკური დაპირისპირებანი და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992)*. უნივერსალი, თბილისი, 2008. გვ. 252.

¹²³ იქვე, გვ. 253.

¹²⁴ *Reagan Meets 96 Soviet Dissidents : He Praises Their Courage, Says "I Came to Give You Strength,"* <https://lat.ms/37v36IJ> (ნანახია 10.01.2022).

საბჭოთა კავშირი აღიარებულ პოლიტიკურ მოთამაშედ დარჩა მისი არსებობის ბოლო დრომდე. „1989-1990 წლებში, ჯერ კიდევ არ დამდგარიყო დრო, როდესაც დასავლეთის რომელიმე ქვეყანა ღიად გამოხატავდა სიმპათიას რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკის სეპარატისტული მიდრეკილებებისადმი.“¹²⁵ ასეთ ვითარებაში, შეგვიძლია ვისაუბროთ არა სრულფასოვან პოლიტიკურ ორიენტაციაზე, არამედ დასავლური სამყაროს აღქმასა და მისადმი დამოკიდებულებებზე.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის საერთაშორისო კონტექსტი რთული და წინააღმდეგობრივი იყო; სრულდებოდა ცივი ომი, ინგრეოდა ორპოლუსიანი მსოფლიო, ჯერ კიდევ არ ჩანდა მკაფიოდ ახალი საერთაშორისო წესრიგის კონტურები. ეს ყველაფერი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოს შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე, ასევე ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულებებზე დასავლეთის მიმართ. კომუნისტური ხელისუფლების დამარცხებისა და ზვიად გამსახურდიას ბლოკის სახელწიფოს სათავეში მოსვლიდან (1990 წლის 28 ოქტომბერი) 1991 წლის ზაფხულამდე ახალი ხელისუფლება ფლობდა მართვის სადავეებს და აკონტროლებდა შიდა ვითარებას. სტაბილურ გარემოში მზარდი გახდა ინტერესი დასავლური სამყაროს მიმართ. ამავე დროს, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში, მკვეთრად გამოიხატა დასავლეთის დაინტერესება საქართველოს საკითხით. ამ ინტერესის მკაფიო გამოხატულება იყო აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი თბილისში 1991 წლის 29 მარტს, როდესაც საქართველოს ხელისუფლება დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ემზადებოდა. ეს იყო პოსტკომუნისტური ქვეყნის პირველი

¹²⁵ შევლიძე, *პოლიტიკური დაპირისპირებანი და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992)*, გვ. 254.

შეხვედრა დასავლეთთან უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე. რიჩარდ ნიქსონის მიღებისას, ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ საქართველოს დიდი ხანია აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის სურვილი. მისი სიტყვით, ამერიკის შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა იმპერიის მიერ დაპყრობილი ხალხების გათავისუფლებაში. საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების დახმარება, რომელთა ეროვნული არსებობა საფრთხეში იყო, იქნებოდა ამ მისიის აღსრულება. ზვიად გამსახურდიამ ხაზი გაუსვა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ვალდებულებას, არ დაემვათ პატარა სახელმწიფოების ჩაგვრა. საპასუხოდ, რიჩარდ ნიქსონმა ისაუბრა ვიზიტის მნიშვნელობის შესახებ, რომ იგი საქართველოში იმყოფებოდა პირადად პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დავალებით, რომელიც განსაკუთრებით იყო დაინტერესებული საქართველოსთან „ახალი სახის“ ურთიერთკავშირით.¹²⁶

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთზე საუბრისას, ზვიად გამსახურდიამ ხაზი გაუსვა დიდი დასავლური სახელმწიფოების ვალდებულებას დახმარებოდნენ საქართველოს. მისი აზრით, ეს ვალდებულება არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ზნეობრივი ხასიათისაც იყო, რადგან საქართველოს, როგორც დიდი ისტორიის მქონე ქრისტიანულ ქვეყანას, განმსაზღვრელი წვლილი ჰქონდა შეტანილი დასავლური ცივილიზაციის განვითარებაში. თუმცა გამსახურდიას ეპოქის საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელიც ფრთხილ და პრაგმატულ ურთიერთობებზე იყო ორიენტირებული, რთულად

¹²⁶ „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვედრა აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტთან ბატონ რიჩარდ ნიქსონთან,“ საქართველოს რესპუბლიკა, 30 მარტი, 1991, # 61 (81), გვ. 1.

თავსდებოდა ზნეობრივ კატეგორიებზე დაფუძნებული მიდგომები. ზვიად გამსახურდიას, როგორც პოპულისტი ლიდერის, მსოფლმხედველობა მანიქეისტურ პრინციპზე იყო დაფუძნებული. ეს მიდგომა ბოროტისა და კეთილის მუდმივ ბრძოლას, გარესამყაროს მტრებად და მეგობრებად დაყოფას გულისხმობდა. ცვალებადი საერთაშორისო პოლიტიკისა და მყიფე საშინაო ვითარების პირობებში, სწრაფად იზრდებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა „მტრის“ ბანაკი, სადაც, ზოგიერთ შემთხვევაში, საბჭოთა ლიდერებთან ერთად, დასავლელი პოლიტიკოსებიც ხვდებოდნენ.

საწყის ეტაპზე ყველაფერი გაცილებით პერსპექტიულად გამოიყურებოდა. 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ამავე წლის 26 მაისს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ზვიად გამსახურდიას რიტორიკა ნაკლებად რადიკალური და გაცილებით სახელმწიფოებრივი გახდა. იგი მუდმივად უსვამდა ხაზს სამოქალაქო უფლებებს, რელიგიური და ეთნიკური შემწყნარებლობის მნიშვნელობას, ევროპული ტიპის სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებლობას. 1991 წლის 7 ივნისს წარმოთქმულ საინაუგურაციო სიტყვაში ზვიად გამსახურდიამ ისაუბრა საქართველოს მიერ შესატან წვლილზე საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემაში: “ევროპული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, კონსტიტუციური წყობის გარანტიების დაცვა ეროვნული უშიშროების სამსახურის და საქართველოს შეიარაღებული ძალების უპირველესი ამოცანაა.”¹²⁷ ამ პერიოდში ზვიად გამსახურდიას შეხედულებები უკვე შეიცავდა სამოქალაქო ნაციონალიზმის მნიშვნელოვან ელემენტებს. საპრეზიდენტო

¹²⁷ საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004), რედ. მალხაზ მაცაბერიძე. „ახალი აზრი“, თბილისი, 2007), გვ. 12.

მმართველობის დასაწყისში იგი უკვე სახეშეცვლილი ლიდერია: ერთი მხრივ, აქცენტს აკეთებს დასავლურ ფასეულობებზე და სამოქალაქო იდენტობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობაზე, თუმცა, მეორე მხრივ, ბოლომდე თავისი მსოფლმხედველობის ერთგული რჩება, რომელიც გაჯერებული იყო საკრალური ელემენტებით. ზვიად გამსახურდიას სიტყვით, მნიშვნელოვანი იყო არა ამქვეყნიური, ფიზიკური კეთილდღეობა, არამედ „სულისმიერი ეროვნული აღორძინება“, რაც „საკუთარი ჭეშმარიტი მეობისკენ მიბრუნებას ნიშნავს.“ ზვიად გამსახურდიამ მჭიდროდ დააკავშირა რელიგია და ქართულ ნაციონალიზმი. მისთვის ეროვნული მოძრაობა ამავედროულად რელიგიური მოძრაობაც იყო. საინაუგურაციო სიტყვაში მან ასევე ისაუბრა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მნიშვნელობაზე.

ეს დამოკიდებულებები წინააღმდეგობრივია, თუმცა ის ტიპურია გამსახურდიას პიროვნებისთვის, რომელიც, როგორც ლიდერი, რადიკალური ეროვნული მოძრაობის წიაღიდან დაიბადა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეზიდენტობა, იმპერიული გავლენისგან თავის დაღწევა, დასავლური თანამეგობრობის კეთილგანწყობისა და საერთაშორისო აღიარების მოპოვებისკენ სწრაფვა მას რადიკალიზმის შემცირებისკენ უბიძგებდა. მეორე მხრივ, ზვიად გამსახურდიას პიროვნება 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში ქართულ საზოგადოებაში არსებული განწყობების ერთგვარი განსხეულებაა. იგი რადიკალიზმის, საკრალური კომპონენტებით გაჯერებული ეროვნული მოძრაობის პირმშო იყო, რომელიც ემოციურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის დიდ ნაწილთან. გამსახურდიას პოპულიზმი სწორედ საზოგადოებაში არსებული განწყობებით საზრდოობდა, აყალიბებდა მისი, როგორც ლიდერის

მსოფლმხედველობას. შესაბამისად, ზვიად გამსახურდიას არ ეთმობოდა ის, რაც მისთვის ყველაზე ორგანული იყო და რაზეც მისი პოლიტიკური ფიგურა იდგა. ვფიქრობ, რომ, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, სწორედ ზნეობრივ-ემოციურ კატეგორიებზე დაფუძნებულმა პოლიტიკურმა მსოფლმხედველობამ ხელი შეუშალა ზვიად გამსახურდიას ფიგურის დასავლეთში მიღებას და აღიარებას. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია რუსეთში ამერიკის საელჩოს წარმომადგენლის მიერ მომზადებული ანგარიში საქართველოს შესახებ სათაურით „ბიზანტიური პოლიტიკა ჰყვავის საბჭოთა საქართველოში,“ რომელიც 1991 წლის 16 აპრილით არის დათარიღებული.¹²⁸ დოკუმენტის ავტორი აღნიშნავდა, რომ პოლიტიკა საქართველოში გამოირჩეოდა მაღალი ემოციურობით, სადაც ლოგიკა ხშირად ჩანაცვლებული იყო დრამით და მაღალფარდოვანი რიტორიკით. ანგარიშის ავტორი ასევე მიუთითებდა იმ ტენდენციის შესახებ, რომლის შედეგად საქართველოში დასავლური ინსტიტუციები და აქტორები ხშირად აღიქმებოდნენ მტრულად. მაგალითად, რადიო თავისუფლება და უოლ სთრით ჯორნალი ზვიად გამსახურდიამ მოიხსენია, როგორც კრემლის ინსტრუმენტები საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ.¹²⁹ მოხსენებაში ასევე ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ ქართული პოლიტიკა ჩახლართული ქსელია, რომელიც აერთიანებს მტრებად და მეგობრებად დაყოფილ ჯგუფებს.

1991 წლის ზაფხულიდან, საბჭოთა კავშირთან დამთბარი ურთიერთობებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის შეთანხმებების გაფორმების პარალელურად, დასავლეთში გამ-

¹²⁸ „ბიზანტიური პოლიტიკა ჰყვავის საბჭოთა საქართველოში,“ *IDFI*, <https://bit.ly/35Ty6lu> (ნანახია 12/02/2021).

¹²⁹ იქვე.

სახურდიას ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. გარდამტეხი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის გამოსვლა კიევში 1991 წლის პირველ აგვისტოს, რომელიც „კიევური კატლეტის სიტყვის“ სახელით არის ცნობილი. „თავისუფლება დამოუკიდებლობას არ ნიშნავს, ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ მათ, ვინც დამოუკიდებლობას იმისთვის ეძებს, რომ შორეული ტირანია ადგილობრივი დესპოტიზმით შეცვალოს. ისინი [ამერიკელები] ხელს ვერ შეუწყობენ ეთნიკურ სიძულვილზე დაფუძნებულ თვითმკვლელ ნაციონალიზმს.“¹³⁰ პრეზიდენტ ბუშის ეს სიტყვა საქართველოში მძიმედ იქნა აღქმული. ეს იყო ურთიერთობების გაუარესების პირველი ნიშანი.

1991 წლის ზაფხულიდან საქართველოში შიდა პოლიტიკური ვითარება დაიძაბა, რამაც პირდაპირი გავლენა მოახდინა დასავლეთში ქვეყნის ხელისუფლების იმიჯზე. ჩვენი კვლევის მიზანი არ არის ყველა იმ პოლიტიკური ფაქტორისა თუ აქტორის გაანალიზება, რომელმაც წვლილი შეიტანა დასავლეთის სახელმწიფოებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ურთიერთობების გაუარესებაში. ფაქტია, რომ არასტაბილური ვითარება ქვეყნის შიგნით, სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული და გავრცელებული ინფორმაცია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ დასავლელი ლიდერების ნუხილს იწვევდა. ეს ფაქტი, მკვეთრად პოლარიზებულ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, მათ „ბოროტის“ მხარეს აყენებდა, რომელიც ძირს უთხრიდა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას. 1991 წლის შემოდგომი-

¹³⁰ George Bush's Remarks at the Supreme Soviet Building, "Chicken Kiev Speech" (August 1, 1991), <https://bit.ly/3IbdiD3> (ნანახია 02/21/2022).

დან დასავლური ქვეყნები, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატები, ღიად აღნიშნავდნენ, რომ სიტუაცია საქართველოში არ იყო სახარბიელო ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის თვალსაზრისით, ხაზი ესმებოდა ოპოზიციის დევნას და მისი ლიდერების დაპატიმრებას.¹³¹ თავის მხრივ, ზვიად გამსახურდია წუხილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ დასავლური ქვეყნების ლიდერებს არასწორი ინფორმაცია მიეწოდებოდათ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ. კრიტიკის საპასუხოდ, 1991 წლის დეკემბერში, მან წერილით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერს. წერილში გამსახურდია მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, გამოეგზავნა დამკვირვებლები, რომლებიც პირადად შეაფასებდნენ საქართველოში არსებულ ვითარებას. „ეს შესაძლებლობას მოგცემთ არ გქონდეთ დამახინჯებული ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაზე, რომელსაც იმპერიული მედია და დღევანდელი საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური ოპონენტები თქვენ განვდიან.“¹³²

1990-იანი წლების დასაწყისში დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველო და დასავლეთი, ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ურთიერთობა ორმხრივი სტერეოტიპიზაციის ფონზე წარიმართა, რასაც განაპირობებდა ხედვის გარკვეული ჩარჩო/სქემა, რომელიც ორივე მხარეს არსებობდა. საქართველოში დასავლეთის აღქმის ისტორიულად არსებულ პარადიგმას (დასავლეთი, რო-

¹³¹ „ადამიანის უფლებები საქართველოში 1991 წელს,“ *IDFI*, <https://bit.ly/34Jvxlx> (ნანახია 20/02/2022).

¹³² „საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს,“ *IDFI*, <https://bit.ly/3KKfPWm> (ნანახია 20/02/2022).

გორც მხსნელი და უძველესი ცივილიზაციური მოკავშირე) დაემატა საბჭოთა პერიოდში გაძლიერებული ქართველთა განსაკუთრებულობის იდეა, წარსულის, აწმყოსა და მომავლისა საკრალურ-მითოსური ხედვა. საქართველოს შესახებ დასავლურ აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში არსებული სტერეოტიპული შეხედულებების საილუსტრაციოდ, სტივენ ჯონსს მოჰყავს ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, სტროუბ ტალბოტის სიტყვები, რომელიც მან 1997 წელს ბუქარესტში წარმოთქვა. ტალბოტის შეხედულებით, თანამედროვე ბოროტების მარცხს ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში თან სდევდა შუასაუკუნეობრივი ბრძოლები წარმოშობისა და კულტურის გამო და ამ ბრძოლებში, 1992-1995 წლებში, უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა ძალმომრეობით, ვიდრე მანამდე მთელი 45 წლის მანძილზე. სტივენ ჯონსის აზრით, ასეთი განმარტებები ამარტივებს პოსტსაბჭოთა კრიზისის მიზეზებს. მსგავს შეხედულებებს რთული პრობლემების გამარტივებულ გაგებაზე მიყვარათ, რაც ხელს გვიშლის შესასწავლი საკითხების კომპლექსურ გააზრებაში. საქართველოს მიმართ დამოკიდებულებები, რომლებსაც 1990-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი, დღესაც გაზიარებულია დასავლელ ანალიტიკოსთა დიდი ნაწილის მიერ.¹³³

1991 წლის ბოლოს პროცესები საქართველოში დრამატულად განვითარდა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება შეიარაღებული ამბოხის გზით დაემხო და განიდევნა ქვეყნიდან. დევნილობაში მყოფი პრეზიდენტის რიტორიკა დასავლეთის მიმართ გაცილებით მკაცრი გახდა; მან დასავლური სახელმწიფოების მეთაურებს იმპერიულ ძალებთან თანამ-

¹³³ ჯონსი, *საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*, გვ. 304-306.

შრომლობასა და ანტიქართულ შეთქმულებაში მონაწილეობაში დასდო ბრალი. ამ დროისთვის ზვიად გამსახურდიას ლექსიკაში გაჩნდა ორი დასავლეთის იდეა – ძველი, ქრისტიანული, განვითარებული, სამართლიანი, მორალური დასავლეთი თანამედროვე იმპერიული დასავლეთის და მისი მესვეურების წინააღმდეგ. 1992 წელს, „ნაროდნაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში, ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ დასავლეთის დემოკრატიული ხელისუფლებები დიდი ხანია განუდგნენ დემოკრატიას. „დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ნების შესანიღბად.“¹³⁴ ზვიად გამსახურდიამ დასავლურ სახელმწიფოებს „ევროამერიკულ იმპერიალიზმში“ დასდო ბრალი, სადაც მთავარ ძალას ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა. „შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმობიდან, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჯეიმს ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.“ გამსახურდიას სიტყვით, მისი მთავრობის მიმართ დასავლეთის უარყოფითი დამოკიდებულების ძირითადი მიზეზი იყო საქართველოს ხელისუფლების სწრაფვა ეროვნული კულტურის აღორძინებისკენ, ეროვნული სულისკვეთებით ხალხის შეკავშირებისკენ, „რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპულ ხალხს. ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ ინვევდა საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური

¹³⁴ „ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან,“ *თვალსაზრისი*, <https://bit.ly/3tZ5ijs> (ნანახია 20.02.2021).

დასავლეთი ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას.¹³⁵ ზვიად გამსახურდიას მტკიცე ეროვნულ იდენტობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა მიაჩნდა ძლიერ იარაღად „დასავლური იმპერიალიზმისა“ და მასთან ალიანსში მყოფი რუსეთის ხელისუფლების შემოტევის წინააღმდეგ. პრეზიდენტის მკაცრი ტონი და გულისწყრომა დასავლეთის მიმართ იმ მსოფლმხედველობის ანარეკლია, რომელსაც ზვიად გამსახურდია მთელი მოღვაწეობის მანძილზე ერთგულედა. ამ შემთხვევაში, მისი რიტორიკა მკაფიო, გამომხატულად ემოციური და ჰეროიკული შინაარსის მატარებელია, ნათლად ჩანს მისთვის დამახასიათებელი მორალური კატეგორიებით მსჯელობა, რომელიც აღარ არის დაბალანსებული სახელმწიფოს სათავეში მყოფი ლიდერის რაციონალური და გამოზომილი ლექსიკით. ეს გასაგებია, რადგან ამ დროისთვის ზვიად გამსახურდია განდევნილი პრეზიდენტია, რომლის ნაცვლად საქართველოს ხელისუფლებაში მის მიერ მონინააღმდეგე ბანაკის ლიდერად და დასავლეთის აგენტად შერაცხული ედუარდ შევარდნაძე მოვიდა. ასეთი დამოკიდებულებების მიუხედავად, ზვიად გამსახურდიას ანტიდასავლელ პოლიტიკოსად მიჩნევა არამართებულია. იგი პროდასავლური მიმართულების ლიდერი იყო, თუმცა დასავლური ორიენტაცია მას თავისებურად, საკუთარი მსოფლმხედველობის შესაბამისად ესმოდა.

1992 წლის 1 ივნისს ზვიად გამსახურდიამ გამოაქვეყნა ღია წერილი საქართველოს ტელევიზიისადმი, სადაც პასუხობდა მის მიერ დასავლური ორიენტაციის უარყოფასთან დაკავშირებით გამოთქმულ ბრალდებებს. გამსახურდიას

¹³⁵ იქვე.

სიტყვით, ბრალდების ავტორები თავად ვერ ერკვეოდნენ, თუ რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია.

„ზოგიერთს დასავლური ორიენტაცია ჰგონია დასავლეთის პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტი, განგსტერების „ჰეროიკა,“ დასავლური მოდეების წამხედურობა, დასავლეთის წინაშე ხელგამვერილი დგომა უცხოური კრედიტების მოლოდინში, საექვო პოლიტიკური გარიგებები ზოგიერთ პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, მათი მონვევა საქართველოში, საქართველოს ბუნებრივ და წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, პორტებისა და სანარმოო ობიექტების მიყიდვა დასავლეთისათვის და სხვა. აი, ასეთ „დასავლურ“ ორიენტაციას ვგმობთ ჩვენ. [...] დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები, უაღრესად ახლოა ჩვენთვის, რომ ჩვენის თვალსაზრისით, ამის ათვისება და გაათავისება დასავლური, ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ.“¹³⁶

წერილში ზვიად გამსახურდია კვლავ უბრუნდება საქართველოს მსოფლიო ისტორიულ მისიის მისეულ ხედვას, რომელიც აღმოსავლური და დასავლური სამყაროს სინთეზში, მათ შორის ხიდად ყოფნაში მდგომარეობს. მისი სიტყვით, საქართველოს თვითმყოფადობისთვის ბრძოლა არა იზოლაციონიზმი, არამედ თავისთავადობის შენარჩუნებისთვის

¹³⁶ გამსახურდია, ზვიად. „ღია წერილი საქართველოს ტელევიზიისადმი (ორიენტაციათა შესახებ),“ საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები, ინტერვიუები, ტომი III, შემდ. მზია ხოსიტაშვილი, შპს „ირიდა,“ თბილისი, 2013, გვ. 91.

ბრძოლაა და ევროპული ინტეგრაცია ც თვითმყოფადი ერების ერთობას გულისხმობს.¹³⁷

ეს წერილი ორსახოვანი დასავლეთის იდეის მკაფიო ილუსტრაციაა. ამ იდეამ აირეკლა ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობის ფუნდამენტური პრინციპები. იგი ასევე არის 90-იანი წლების დასაწყისის უკიდურესად პოლარიზებული და არასტაბილური გარემოს გამოძახილი, სადაც მყოფე იყო მიჯნა „მეგობარსა“ და „მტერს“ შორის. ამ ეპოქაში ნათლად გამოიკვეთა დასავლეთის, როგორც „ცარიელი აღმნიშვნელის“ სახე, რომელიც ხშირად იტვირთებოდა სხვადასხვა შინაარსით. იგი ერთდროულად შეიძლება შევსებულიყო მკვეთრად დადებითი და უარყოფითი კონოტაციით. ამ პერიოდში ჩამოყალიბებულ განწყობები, კლიშეები, სტერეოტიპები, სხვადასხვა ჯგუფების მიერ გარესამყაროს და ერთმანეთის აღქმა ქართველი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა და დღემდე აქტიურად გვახსენებს თავს.

¹³⁷ იქვე, 92.

„დასავლეთი რომ არ ყოფილიყო...“ ევროატლანტიკური კურსის იდეალიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია

1992 წლის მარტიდან საქართველოს სათავეში საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მოვიდა. მისი ხელისუფლების დროს, 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი გამოკვეთილად პროდასავლური გახდა. რუსეთთან რთული ურთიერთობების ფონზე, ქვეყნის ხელისუფლება დასავლურ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირის გაბმას ცდილობდა. ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯების კვალდაკვალ, გაძლიერდა ოფიციალური პროდასავლური რიტორიკა. შევარდნაძე დასავლეთისკენ ქვეყნის სვლას წარმოაჩინდა როგორც განვითარების ერთადერთ, უალტერნატივო საშუალებას. იგი ქვეყნის სტაბილურობის, სიღარიბის დაძლევისა და სამოქალაქო ომის ქაოსიდან გამოსვლის შესაძლებლობას დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოებაში ხედავდა.

პროდასავლურმა პოლიტიკურმა კურსმა მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს სახელმწიფოს სამოქალაქო ტრანსფორმაცია. სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე დამდგარმა ხელისუფლებამ 1993 წლის 25 მარტს მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ.¹³⁸ ამ კანონის მიღებისას, რომელიც ცალსახად ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, ხელისუფლებამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური ვითარება და ქვეყნის მოქალაქეობა მინიჭა საქართველოს ყველა მაცხოვრებელს. კანონი არ ითვა-

¹³⁸ კანონი მოქალაქეობის შესახებ, იხ.: <https://bit.ly/3KTrQsL> (ნანახია 12/02/2022).

ლისწინებდა ისეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, როგორც ბიცაა, მაგალითად, სახელმწიფო ენისა და ქვეყნის ისტორიის ცოდნა. ლიბერალიზმის თვალსაზრისით, საქართველოს კანონმა მოქალაქეობის შესახებ გაუსწრო ბევრ ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

მეორე უმნიშვნელოვანესი აქტი, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ქართული ნაციონალური პროექტის დასავლური, სამოქალაქო ბუნება, არის 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია საქართველოს მოქალაქეთა ნება, დამკვიდრდეს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განმტკიცდეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა და სხვა.¹³⁹

ქვეყაში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ, 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, გაიზარდა დასავლეთის ინტერესი საქართველოს მიმართ. 1992 წლის მაისში ქვეყანას ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, ივლისში საქართველოს სახელმწიფო აღიარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. გაეროს მიერ საქართველოს აღიარებას სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე პერსონალური მიმართებითაც გამოეხმაურა.¹⁴⁰ შევარდნაძის სიტყვით, ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან დასავლეთმა ორნახევარი საუკუნის მანძილზე ორჯერ აქცია ზურგი საქართველოს, არ დაიცვა და ორივე ეს შემთხვევა ქვეყნისთვის ეროვნული კატასტროფით დასრულდა. ამჯე-

¹³⁹ საქართველოს კონსტიტუცია, იხ.: <https://bit.ly/3N8a0nR> (ნანახია 12/02/2022).

¹⁴⁰ საქართველოს რესპუბლიკა, # 144. 1992. გვ. 1

რად „მსოფლიო თანამეგობრობამ დაიჯერა, რომ დავიცავთ გაეროს წესდების დებულებებსა და პრინციპებს, რომ ვესწრაფვით ჩავატაროთ დემოკრატიული არჩევნები, მშვიდობიანად მოვაგვარებთ ქართველთა და ოსთა კონფლიქტს, მივალწევთ პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციას, პატივს ვცემთ ადამიანის, ერის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, დავამკვიდრებთ სამოქალაქო თავისუფლებათა საფუძვლებს.“ ედუარდ შევარდნაძე აცხადებდა, რომ გაეროს წევრობა საქართველოს ანიჭებდა საერთაშორისო ურთიერთობის, იდეების, ღირებულებების მსოფლიო გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობის, ადამიანის გონისა და გამოცდილების ყველაზე დიდი მონაგართ გამდიდრების ფართო შესაძლებლობებს.¹⁴¹ საყურადღებოა, რომ ედუარდ შევარდნაძის სიტყვაში უკვე 1992 წელს გაჩნდა დასავლეთისადმი დამოკიდებულების ის პარადიგმა, რომელიც პირველი რესპუბლიკის დროიდან 1920-იანი წლების ჩათვლით იყო ქართული პოლიტიკური და ინტელექტუალური დისკურსის ნაწილი. დასავლეთის მხარდაჭერა პანაცეაა, რომლის გარეშე ქვეყანა კატასტროფისთვის არის განწირული.

1996 წლიდან პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური კურსი უკვე მკვეთრად იხრება დასავლეთისკენ. გაძლიერდა ურთიერთობები დასავლეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 1996 წელს დაიწყო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო) კონტაქტების გაღრმავება პირველი ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის მეშვეობით. 1999 წლიდან, რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს

¹⁴¹ იქვე.

ურთიერთობები გაუარესდა. საქართველო გამოვიდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან. ჩეჩნეთის მეორე ომის დროს საომარ მოქმედებებს გამოქცეული ლტოლვილები პანკისის ხეობას მოადგნენ. ჩეჩენი მეზობლების მფარველობის საბაბით, რუსეთის სამხედრო ავიაციამ რამდენჯერმე დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. რუსეთთან გართულებული ურთიერთობების ფონზე, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააღრმავა თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 2002 წლიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, საქართველოში დაიწყო წვრთნისა და აღჭურვის ერთობლივი პროგრამის განხორციელება. 1999 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩაერთნენ ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში. საქართველო განეწვრიანდა რეგიონული და ეკონომიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ორგანიზაციებში – ეუთოში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ბისეკი), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ქვეყანას რეგულარულ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

1993 წლიდან დასავლეთს მზარდი ინტერესი გაუჩნდა კასპიის ზღვის აუზის ნავთობის რესურსებისადმი. დასავლეთის სახელმწიფოებმა დაიწყეს გაცნობითი ვიზიტები; შემუშავდა საერთაშორისო სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგოპროექტები. მაგალითად, 1993 წელს, მრავალმხრივი შეთანხმების ხელმოწერით ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შეიმუშავა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) პროგრამა, რომელსაც საქართველოც შეუერთდა. საქართველო ასევე გახდა ბაქო-თბილისი-

ჯეიჰანის ძირითადი მილსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზე-რუმის გაზსადენის პროექტების ნაწილი.¹⁴²

დასავლური ინტეგრაციის გზაზე პრაქტიკული ნაბიჯების პარალელურად, 1996 წლიდან გაძლიერდა პროდასავლური რიტორიკა. 1996 წლის აპრილში საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ლუქსემბურგში წარმოთქმული სიტყვა საყურადღებო გზავნილებს შეიცავდა.¹⁴³

პრეზიდენტი შეთანხმებაზე ხელმოწერას ისტორიულს უწოდებდა, რადგან ჩვენი წინაპრები გამუდმებით ეძებდნენ გზებს ევროპასთან დასაახლოებლად. შევარდნაძემ განაცხადა, რომ მათი ნაფიქრალი უკვე რეალურ კონტურებს იძენდა – გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები დასავლური ინტეგრაციის მიმართულებით. შევარდნაძის სიტყვით, ევროპასთან დაახლოება ქართველი მოღვაწეებისთვის არასოდეს ყოფილა უბრალო ახირება, ისინი ნათლად აცნობიერებდნენ იმ ჭეშმარიტებას, რომ სწორედ ევროპაში ჩაისახა და განვითარდა პიროვნების ის პარადიგმა, რომლის მიხედვით, ადამიანთა მოდგმა უნდა გათავისუფლებულიყო მისივე ხელით შექმნილი ბორკილებისგან. „დღევანდელი ევროპის კავშირი ცივილიზებული ინტეგრაციის მაგალითს წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით გზას უკვალავს დანარჩენ მსოფლიოს.“¹⁴⁴

შევარდნაძე მიიჩნევდა, რომ ევროპული სტრუქტურების ურთიერთობას ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან

¹⁴² კერესელიძე, ნინო. „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში 1991-2013 წლებში,“ *ცივილიზაციური ძიებანი*. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 24.

¹⁴³ საქართველოს რესპუბლიკა. #76. 1996, გვ. 1.

¹⁴⁴ იქვე.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. თუკი რამეს შეეძლო, შეუქცევადი გაეხადა დემოკრატიული გარდაქმნებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, ხელი შეეწყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, ეროვნულ უმცირესობათა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის, ეს, პირველ რიგში, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება იყო.

პრეზიდენტი კმაყოფილებას გამოთქვამდა ევროპის მზარდი ინტერესით კავკასიის სახელმწიფოების მიმართ, რასაც ევროკავშირი საქმით ადასტურებდა. მან მადლობა გადაუხადა ევროპულ სახელმწიფოებს საკვები პროდუქტებით მომარაგების პროგრამებისთვის, რომელმაც ქართველი ხალხის ფიზიკურ გადარჩენაში დიდი წვლილი შეიტანა. შევარდნაძე იმედოვნებდა, რომ დაიწყებოდა ევროპა-ამერიკა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტი, რომელსაც მან საუკუნის პროექტი უწოდა. მისი განხორციელების შემთხვევაში, კავკასია აღიდგენდა თავის ისტორიულ ფუნქციას – გახდებოდა კონტინენტებისა და ცივილიზაციების დამაკავშირებელი ხიდი.

ელჟარდ შევარდნაძის სიტყვაში გაჟღერებული გზავნილები საქართველოსა და კავკასიის ისტორიულ ფუნქციასა და როლთან დაკავშირებით, დასავლური კულტურისადმი დამოკიდებულებები ახლოს დგას ზვიად გამსახურდიას იდეებთან. გამსახურდია, ჩვეული ემოციური რიტორიკით, მტრის ხატის მუდმივი რეპრეზენტაციით, გამოხატავდა იგივეს, რასაც შევარდნაძე მისთვის დამახასიათებელი რაციონალურობით ამბობდა. დასავლეთთან საქართველოს უძველესი კულტურული კავშირის, დასავლეთის როგორც მხსნელის ისტორიული პარადიგმა ქართული ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია.

საქართველოს ამოსვლა სამოქალაქო ომის ქაობიდან და სახელმწიფოებრიობის გზაზე დადგომა ედუარდ შევარდნაძემ პირდაპირ დაუკავშირა ევროკავშირის ძალისხმევასა და დახმარებას. „საქართველომ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გამოიარა ჯოჯოხეთი. ეს იყო ყველას ომი ყველას წინააღმდეგ, კრიმინალური ბანდების თარეში, რომლებმაც ქვეყანა გავლენის სფეროებად დაყვეს.“ პრეზიდენტის სიტყვით, ცოტაც და ქვეყანა საბოლოოდ იქცეოდა კრიმინალურ სახელმწიფოდ. სწორედ მაშინ, 1992 წლის ზაფხულში, ევროკავშირმა მიიღო საქართველოს დახმარების ისტორიული გადაწყვეტილება, რამაც შესაძლებელი გახადა თვისებრივი ცვლილებები ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში.¹⁴⁵

1999 წლის 12 იანვრის რადიონიტერვიუში¹⁴⁶ საქართველოს პრეზიდენტმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან საქართველოს დასავლური ინტეგრაცია, მისი საერთაშორისო ფუნქცია და ქვეყანაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება. „აბრეშუმის გზის“ პროექტზე საუბრისას მან განაცხადა, რომ კონფლიქტების მოგვარებით რუსეთიც უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რადგან ამ შემთხვევაში იგი უშუალოდ ჩაერთვებოდა პროექტის განხორციელებაში და უმოკლესი გზით დაუკავშირდებოდა სამხრეთის ბაზრებს. „აღორძინებულ ‘აბრეშუმის გზას’ მე მეგობრობისა და სტაბილურობის ხიდსაც დავარქმევდი,“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მან ასევე ისაუბრა აფხაზეთის კონფლიქტზე და თქვა, რომ ევროპული უშიშროების პრინციპები შეუთავსებელია

¹⁴⁵ იქვე.

¹⁴⁶ საქართველოს რესპუბლიკა, #9. 1998, გვ. 2.

ისეთ კონფლიქტებთან, როგორც აფხაზეთში განვითარდა, რამდენადაც არსებობს მისი უფრო ფართო არეალზე გავრცელების საფრთხე. შევარდნაძის სიტყვით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პრინციპებთან ასევე შეუთავსებელია ეთნონშენდა, ეს კი აფხაზეთის რეალობაა, რომელიც აღიარებულია ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებზე. „ნურავის დაავინყდება სოხუმშიც და თბილისშიც, რომ ჩვენ ევროპული სივრცის ნაწილი ვართ, რაც დიდ პასუხიმგებლობას გვაკისრებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უპირობო აღიარების თვალსაზრისით,“ – განაცხადა მან.

1999 წელს საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა. ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ პოსტსაბჭოთა პერიოდში დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად, რომელიც მან ევროინტეგრაციის მიმართულებით გადადგა. ევროსაბჭოს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვები – “მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი” ერთგვარ ლოზუნგად იქცა საქართველოს დასავლური ინტეგრაციის გზაზე. ჟვანიამ აღნიშნა, რომ საგარეო-პოლიტიკური კურსი ევროპისკენ არ იყო მხოლოდ პრეზიდენტის ახირება, „ეს არის თითოეული ქართველის მისწრაფება, რადგან სამშობლოს მომავალს ვუკავშირებთ დაბრუნებას ჩვენს ერთადერთ ნავსაყუდელში – ევროპის თავისუფალ ერთა ერთიან ოჯახში,“¹⁴⁷ – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

დასავლეთის იდეალიზაცია საქართველოს ეროვნული

¹⁴⁷ ჟვანია, ზურაბ. *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური განცხადებები, გამოსვლები, ინტერვიუები*, ტომი XVI, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2019. გვ. 206.

პროექტის ნაწილად იქცა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის მეორე ნახევარში. დასავლეთი მისთვის იყო მხსნელი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოს არსებობის შესაძლებლობა მისცა. 1997 წელს, საჯარო გამოსვლისას, შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საგარეო პოლიტიკამ დიდი დახმარება გაუწია ქვეყანას:

„ის, რაც გაუგებარი იყო სამი და ოთხი წლის წინ, ხელშეკრულებების ტომები, რასაც ჩვენ ხელი მოვანერეთ დასავლეთის ქვეყნებთან, [...] ყველაფერი ეს დღეს მუშაობს. რომ არ ყოფილიყო ჩვენი ურთიერთობები საერთაშორისო ცენტრებთან, სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის ბანკთან, ევროკავშირთან და სხვა, რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილები სურვილებად დარჩებოდა. მე, ცოტა არ იყოს, სასოწარკვეთაში ვვარდები ხოლმე, როცა იბეჭდება, ინერება ისეთი რამ, რაც აღარ ეკადრება ჩვენს ქვეყანას.“¹⁴⁸

შევარდნაძემ გაიხსენა ერთ-ერთი პოლიტიკოსის განცხადება, რომელიც უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს. პრეზიდენტი დაინტერესდა, თუ რითი ცხოვრობდა ეს ადამიანი, რას ჭამდა, რას სვამდა და რას იცვამდა თვითონ და მისი ოჯახის წევრები. მისი სიტყვით, ყველაფერი სასიკეთო, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ყველა ეკონომიკური აქტივობა იყო დასავლური ინსტიტუციების დახმარების დამსახურება. ედუარდ შევარდნაძემ წუხილი გამოთქვა იმ შეხედულებების გამო, რომლის მიხედვით საქართველომ, თითქოს, მცდარი ორიენტაცია აიღო. იგი აუცილებლობად მიიჩნევდა ტელევიზიით პრეზიდენტის საათის ან სხვა

¹⁴⁸ „დასავლეთის დახმარებაზე,“ 1997 წელი, <https://bit.ly/3MTF2iZ> (ნანახია 18/08/2021).

ფორმატის გადაცემის შემოღებას, სადაც კვალიფიციური ადამიანები ისაუბრებდნენ თუ რა ხდებოდა რეალურად ქვეყანაში და როგორი მნიშვნელოვანი იყო დასავლეთის დახმარება, რადგან:

„ზოგიერთისთვის ბევრს ნიშნავს იმის განცხადება, რომ საქართველომ ვილაცას უღალატა და აიღო დასავლეთის კურსი, ნატოსკენ იყურება, ევროკავშირისკენ იყურება, ევრობანკისკენ იყურება, ამერიკისკენ იყურება და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ვიყურებით! [...] რომ არ ყოფილიყო ეს დასავლეთი, რომელსაც ასე ატრიალებენ ყველა ბრუნვაში, დღეს საქართველო ამონყდებოდა შიმშილით. არც ბიუჯეტი გვექნებოდა, არც ხელოვასი გვექნებოდა, არც ის ათი ლარია თუ რაღაც, ძალიან ცოტა, უმნიშვნელო, პენსიონერი რომ ლეზულობს, იმასაც ვერ მიიღებდა. [...] ეს ყველაფერი იმის [დასავლეთის] ნყალობითაა. სავალუტო ფონდში საქართველოს პატრიოტები არიან; მისი პრეზიდენტი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი, ევროპის ბანკის პრეზიდენტი, ევროკავშირში უამრავი მეგობარი გვყავს. მათ, შეიძლება, ჩვენზე მეტად უხარიათ, რომ საქართველო რეფორმატორული ქვეყანა გახდა.“¹⁴⁹

შევარდნაძე არ ყოფილა პოპულისტი ლიდერი ამ ტერმინის კლასიკური გაგებით, თუმცა იგი ცდილობდა უზრუნველყო საქართველოს დასავლური კურსის ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა, დასავლეთი, როგორც ცარიელი აღმნიშვნელი, შეევესო მკვეთრად დადებითი შინაარსით და გაენეიტრალებინა ანტიდასავლური ჯგუფების მიერ მისი ნეგატიური კონო-

¹⁴⁹ იქვე.

ტაციით დატვირთვის მცდელობები. დასავლური გზა შევარდნაძისთვის უალტერნატივო იყო. იგი დასავლეთს უკავშირებდა ქართველი ხალხის ფიზიკურ გადარჩენას და მომავალ განვითარებას.

1996 წლიდან, შევარდნაძის რიტორიკაში უკვე გაჩნდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილი. მართალია, ეს ჯერ სახუმარო თემა იყო, თუმცა ბრიუსელში, ნატოს გენერალურ მდივან ხავეერ სოლანასთან შეხვედრისას, მან პირდაპირ ჰკითხა მასპინძელს, თუ როდის მიიღებდნენ საქართველოს ნატოში. შევარდნაძის ამ კითხვამ საყოველთაო მხიარულება გამოიწვია.¹⁵⁰ ეს საკითხი ჯერ არ აღიქმებოდა სათანადო სერიოზულობით. 2002 წლის ნოემბერში, ნატოს პრალის სამიტზე, შევარდნაძემ პირველად განაცხადა ოფიციალურად საქართველოს თხოვნა მიეღოთ ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში:

„ბედნიერი ვარ იმით, რომ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამიტზე შემძღია განაცხადო: საქართველოს სურს, გახდეს ნატოს წევრი სახელმწიფო და მზადაა ყოველივე იღონოს, რათა ღირსეულად მოემზადოს ამ ისტორიული მისიისათვის. საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის ეს არც ისე მოკლე გზაა, მაგრამ არც ისე გრძელი, როგორც სულ ორიოდე წლის წინ მოჩანდა.“¹⁵¹

პრალის სამიტზე სიტყვით გამოსვლამდე ედუარდ შევარდნაძე ეწვია „რადიო თავისუფლების“ სათაო ოფისს, სადაც პრესკონფერენცია ჩაატარა. პრეზიდენტის სიტ-

¹⁵⁰ „ნატო“, *The Eduard Shevardnadze Center*, <https://bit.ly/37qMxxy> (ნანახია 02.02.2022).

¹⁵¹ „ნატოს კარზე კაკუნის 20-წლიანი ისტორია“, *რადიო თავისუფლება*, <https://bit.ly/3ieoqEy> (ნანახია 02.02.2022).

ყვით, ამ ისტორიულ სამიტზე საქართველო აცხადებდა საკუთარ მიზანს დაემკვიდრებინა თავი ევროპული უსაფრთხოების სისტემაში. მისი მტკიცებით, ვინც იცნობდა ქართულ საზოგადოებას და იცოდა, თუ როგორი ცხარე დებატები იმართებოდა საქართველოში პრაქტიკულად ნებისმიერი პრობლემური საკითხის ირგვლივ, შეიძლება გაოცებული დარჩენილიყო იმ ერთსულოვნებით, რომელიც საზოგადოებას ჰქონდა ნატოში განევრიანებასთან დაკავშირებით. საქართველოს ატლანტიკური საბჭოს თანამშრომელმა შორენა ლორთქიფანიძემ, რომელიც ნატოს პრალის სამიტს ესწრებოდა, 2021 წლის დეკემბერში, „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში, გაიხსენა ის იმედიანი განწყობა, რომელიც მაშინ ახლდა საქართველოს დელეგაციის პრალაში სტუმრობას. დელეგაციის წევრები აღტაცებული იყვნენ მოსალოდნელი განაცხადისა და ყურადღების გამო.

„ეს ყველაფერი ძალიან იმედიანად განგვანყობდა, რალაც ვადებიც კი დასახელდა: 2007-2008 წლები. დაახლოებით ამ დროზე იყოს ლაპარაკი, რომ 5-7 წელში მეტი სიცხადე უნდა ყოფილიყო საქართველოს ნატოში განევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით. [...] ცოტა ხნით ადრე, 2002 წლის თებერვალში, ნატოს შტაბბინაში ყოფნის დროსაც ისეთი განცდა დამეუფლა, რომ საქართველო მართლაც შეიძლებოდა გამხდარიყო ნატოს წევრი. ცხადია, განწყობა, რომ ხვალ მიგვიღებენ, ასეთი არ მქონია, თუმცა არც 20 და მეტი წელი წარმომედგინა.“¹⁵²

¹⁵² იქვე.

ნატოსკენ მიმავალი გზა იმაზე გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის და ევროკავშირის კარზე კაკუნი, დაუსრულებელი ევროინტეგრაცია საქართველოს განვლილი ოცი წლის ისტორიის ნაწილია. იგი არის იმედებისა და იმედგაცრუებების ერთგვარი ნაზავი. მისით საზრდოობს როგორც საქართველოს წარმატებული მომავლის რწმენა, სახელმწიფოს განმტკიცების იმედი, ასევე ანტიდასავლური ნარატივები, რომლებიც საზოგადოებას დასავლური გზის უტიპიურობაზე მიუთითებენ. მეტიც, ანტიდასავლური ნარატივის გამავრცელებელი ჯგუფები საქართველოს ყველა პრობლემას მის დასავლურ კურსს მიაწერენ.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს დასავლური მისწრაფებები კიდევ უფრო გაძლიერდა და ინსტიტუციონალიზებული ფორმა მიიღო. ევროპელობა და დასავლური ერის მშენებლობა ნაციონალური პროექტის განმსაზღვრელ კომპონენტად იქცა, ხელახლა გაცოცხლდა იდეა ქართველების, როგორც უძველესი ევროპელების შესახებ. მმართველობის დასაწყისში, 2005 წლის საპარლამენტო მოხსენების დრო, მიხეილ სააკაშვილმა პროდასავლური პოლიტიკური კურსი ქვეყნის უმთავრეს პრიორიტეტად გამოაცხადა. სააკაშვილის სიტყვით, არსებობდა პრინციპები, რომლებზეც ყველა პოლიტიკური პარტია უნდა შეთანხმებულიყო. ერთ-ერთი მთავარი პრინციპი გულისხმობდა საქართველოს ევროპულ ორიენტაციას. „ყველა პარტია, რომელიც გამოაცხადებს, რომ საქართველო არ არის ევროპული ორიენტაციის, რომ საქართველო არ მოახდენს ინტეგრაციას საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც ჩვენ მივის-

წრაფვით, [...] ავტომატურად ეს პოლიტიკური პარტიები უნდა გამოცხადდნენ კანონგარეშედ.¹⁵³

2004 წლიდან დაიწყო საზოგადოების მობილიზაცია წარმატებული საქართველოს იდეის გარშემო. მისი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი მოდერნიზებული, ევროპული ერი-სახელმწიფოს შენება იყო, რომელიც უნდა დაბრუნებოდა თავის ისტორიულ ნავსაყუდელს – დასავლურ თანამეგობრობას. ევროპაში, როგორც უძველეს ოჯახში, დაბრუნების იდეა შეგვიძლია მივიჩნიოთ დასავლური დისკურსის ყველაზე სიცოცხლისუნარიან, პარადიგმული მნიშვნელობის კომპონენტად. იგი დისკურსის დომინანტური შემადგენელი იყო მე-20 საუკუნეში, როგორც პირველი, ასევე მეორე დამოუკიდებლობის დროს. საქართველოს პარლამენტის წინაშე კიდევ ერთ გამოსვლაში, 2007 წელს, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო უბრუნდება თავის ისტორიულ, ევროპულ ოჯახს.

„ევროპელებმა პირველად საქართველო გაიცნეს როგორც ოქროს სანმისის სამშობლო. ახლა ევროპელებმა უნდა გაიცნონ როგორც უძველესი ევროპელების სამშობლო, რომელიც მიისწრაფვის მალე გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ჩვენი საგარეო პოლიტიკური ვექტორი გადის ევროპაზე და სწორედ ევროპასთან ინტეგრაცია არის ჩვენი უმთავრესი ამოცანა ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე.“¹⁵⁴

153 მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება, 10/02/2005, <https://bit.ly/3th9aNC> (ნანახია 02/02/2022).

154 მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება, 15/03/2007, <https://bit.ly/3ifMzuy> (ნანახია 02/02/2022).

საკაპშვილის სიტყვით, ევროპა ხელახლა შემოდიოდა საქართველოში, ისევე, როგორც საქართველო ხელახლა უშინაურდებოდა მას. „ევროპა ჩვენს ქვეყანაში პირველად შემოვიდა პრომეთეს მითით. შემოვიდა მაშინაც, როდესაც საქართველო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო გახდა. ეს მნიშვნელოვანია. ევროპა – ჩვენი საგარეო პოლიტიკის პირველი ლოზუნგია.“¹⁵⁵

საქართველოს პარლამენტისადმი კიდევ ერთ მიმართვაში, 2012 წელს, სააკაშვილმა საქართველოს დასავლური არჩევანი ეროვნულ კონსენსუსად მიიჩნია. მისი სიტყვით, დასავლეთი ქართველი ერის ისტორიული არჩევანია და ამავე დროს კავკასიელი ერების ფანჯარა ევროპაში. მიხეილ სააკაშვილი პროდასავლურ რიტორიკაში კვლავ აქტიური იყო საქართველოს, როგორც დასავლეთთან გადებული ხიდის იდეა.¹⁵⁶

2013 წელს, მეორე საპრეზიდენტო ვადის მიწურულს, მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვა მკაფიო და შემაჯამებელი ფორმით წარმოგვიდგენს ოფიციალურ დასავლურ დისკურსს, როგორც ეროვნული პროექტის ნაწილს. სააკაშვილის სიტყვით, ერი არის პროექტი, რომელიც საზოგადოების აწმყოსა და მომავალს განსაზღვრავს, „პროექტი, რომელიც გვაერთიანებს განურჩევლად ჩვენი პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, ეთნიკური თუ რეგიონული განსხვავებებისა და მახასიათებლებისა. ერი არ არის ეთნიკურობა და ის ვერ იქნება მხოლოდ საერთო ისტორია. ერი, ქალბატონებო და ბატონებო, არის ეროვნული პროექტი.“ –

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, 28/02/2012, <https://bit.ly/3CN2yJO> (ნანახია 02/02/2022).

განაცხადა სააკაშვილმა. აღნიშნული გამოსვლისას მან ასევე განსაზღვრა ეროვნული პროექტის ძირითადი კომპონენტები – დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატია, ეკონომიკური განვითარება და ევროპა. მისი შეხედულებით, რომელიმე საყრდენის დაზიანების შემთხვევაში, მთელი შენობა ჩამოიშლება.¹⁵⁷

დასავლური კურსის ინსტიტუციონალიზაციის გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი იყო 2008 წლის 5 იანვარს გამართული პლებისციტი, როდესაც დასმულ შეკითხვას „უჭერენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები მხარს საქართველოს განწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო),“ დადებითად უპასუხა ამომრჩეველთა 77 პროცენტმა.¹⁵⁸ ამ მოვლენიდან მალევე, ამავე წლის აპრილში, საქართველო ძალიან ახლოს იდგა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განწევრიანების სამოქმედო გეგმასთან (MAP), რაც ნატოში ინტეგრაციას შეუქცევადს გახდიდა, თუმცა საქართველომ ეს გეგმა ვერ მიიღო.¹⁵⁹ საზოგადოებაში მაღალი იყო ნატოში განწევრიანების მოლოდინი. უარმა და რამდენიმე თვეში რუსეთის არმიის საქართველოში შემოჭრამ დასავლეთის მიმართ გარკვეული იმედგაცრუება გამოიწვია და ნოციერი ნიადაგი შეუქმნა ანტიდასავლური ნარატივების განვითარებას. „დასავლეთმა მიგვატოვა,“ „დასავლეთი არ დაგვეხმარა,“ „არასოდეს მიგვიღებენ ნატოსა და ევროკავშირში,“ „სხვა გზით რომ გვევლო, უკეთესად ვიქნებოდით,“ ეს არის საკვანძო ფრაზები, რომლებზეც, ძირი-

¹⁵⁷ სააკაშვილის გამოსვლა, იხ.: <http://tradebridgeconsultants.com/news/government/president-mikheil-saakashvili-delivers-annual-address-in-national-library/> (ნანახია 02/02/2022).

¹⁵⁸ „ნატოს კარზე კაკუნის 20-წლიანი ისტორია,“ *რადიო თავისუფლება*, <https://bit.ly/3tgxbnX> (ნანახია 02/02/2022).

¹⁵⁹ იქვე.

თადად, დაშენებულია დასავლური ორიენტაციის სანინაალ-მდეგო ნარატივები.

ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ენთუზიაზმის კლებას ადასტურებს ომის შემდგომი სოციოლოგიური გამოკითხვები, სადაც გამოჩნდა ნიშანდობლივი ტენდენციები. 2009 წელს, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ნატოში განწევრიანება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნია გამოკითხულთა მხოლოდ 20 პროცენტმა, 2011 წელს – მხოლოდ 15 პროცენტმა. მომდევნო წლებში, კითხვაზე დადებითი პასუხის მაჩვენებელმა კიდევ უფრო დაიკლო.¹⁶⁰ მსგავსი განწყობა იყო ევროკავშირში განწევრიანებასთან დაკავშირებითაც.¹⁶¹ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაზე უარმა და, ზოგადად, ევროსტრუქტურებში დაუსრულებელმა ინტეგრაციამ, ასევე 2008 წლის აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა საქართველოს მოსახლეობის პროდასავლური განწყობა. უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს დადებით პასუხს კითხვაზე ნატოსთან კავშირების გაძლიერების მნიშვნელობის შესახებ. 2009-2011 წლებში ამ საკითხს ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევდა გამოკითხულთა 57 პროცენტი. მომდევნო პერიოდში ეს მაჩვენებელი 50 პროცენტამდე დაეცა.¹⁶² საქართველოში პროდასავლური განწყობების დინამიკა ირეკლავს პოლიტიკურ კონტექსტს. აქტიური პროდასავლური პოლიტიკის და და-

¹⁶⁰ რაოდენობრივი კვლევის შედეგები იხ.: <https://bit.ly/3MYbOiO> (ნანახია 02/02/2022).

¹⁶¹ რაოდენობრივი კვლევის შედეგები იხ.: <https://bit.ly/3tZHGex> (ნანახია 02/02/2022).

¹⁶² რაოდენობრივი კვლევის შედეგები იხ.:

https://caucasusbarometer.org/ge/eu_ge/TIENATO/ (ნანახია 02/02/2022).

სავლეთთან მაქსიმალური დაახლოების კვალდაკვალ, მატულობდა სრულყოფილი ინტეგრაციის იმედი, თუმცა მისი მიუღწევლობა საზოგადოების ნაწილის იმედგაცრუებას და ნიჰილისტურ განწყობებს განაპირობებდა.

ოფიციალურ დონეზე დასავლური კურსის მხარდაჭერა გაგრძელდა 2012 წლის შემდეგაც. ათწლეულების განმავლობაში შეუქცევადი ევროპული ორიენტაცია რეალიზდა ხელშესახებ წარმატებებში ევროინტეგრაციის გზაზე, რომლის მაგალითებია 2014 წელს ხელმოწერილი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ვიზა ლიბერალიზაცია 2017 წელს, რომელიც შენგენის ზონის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების უფიზო მიმოსვლას გულისხმობს. თუმცა, პირველი განაცხადის გაკეთებიდან თითქმის 20 წლის შემდეგ, საქართველო კვლავ უშედეგოდ აკაკუნებს ნატოს კარზე. 2015 წელს საქართველოს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყანამ არ უნდა შეწყვიტოს ნატოს კარზე კაკუნი და იმის მუდმივი განმეორება, რომ საქართველოს ნატოს წევრობა სურს.¹⁶³ საქართველოს დასავლეთთან დაახლოება და მისი თანმდევი წარუმატებლობები სრულფასოვანი ევროინტეგრაციის გზაზე, უცხო, ევროპულ საკანონმდებლო სივრცესთან ადაპტაცია, რაც ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული კონსტიტუციური წესრიგის საქართველოში დანერგვას გულისხმობდა, დასავლური სამყაროსგან ხანგრძლივი დაშორება, საბჭოთა მემკვიდრეობა და საზოგადოებაში არსებული უარყოფით სტერეოტიპები დასავლეთთან დაკავშირებით ქმნიდა სივრცეს ანტიდასავლური პოპულიზმის განვითარებისთვის.

¹⁶³ „ნატოს კარზე კაკუნის 20 წლიანი ისტორია,” რადიო თავისუფლება, <https://bit.ly/3wdQjF4> (ნანახია 02/02/2022).

დასავლეთის დემონიზაცია. ანტიდასავლური პოპულიზმი საქართველოში

დასავლური ინტეგრაციის სურვილი გულისხმობს გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელსაც ევროპული ინსტიტუციები უყენებენ საქართველოს. ზოგიერთი მოთხოვნა საზოგადოების ნაწილის პროტესტს იწვევს ქართულ ტრადიციულ ღირებულებებთან შეუთავსებლობის გამო. საქართველოში ჩამოყალიბებული ანტიდასავლური ნარატივი და ევროინტეგრაციის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება 1990-იანი წლებიდანვე აკეთებდა აქცენტს ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეებზე. დასავლურ საკანონმდებლო სივრცესთან ადაპტაციის წინააღმდეგ ერთ-ერთი პირველი ხალხმრავალი საპროტესტო აქცია გაიმართა 1999 წელს. ამ წლის 14 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის საფუძველზე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობებიდან ამოიღეს ეთნიკური მიკუთვნებულობის აღმნიშვნელი გრაფა.¹⁶⁴ ეს კანონი მკაცრად დაგმო ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელმა და პოლიტიკოსმა. საქართველოს პარლამენტის საიმეგრაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, გურამ შარაძემ განაცხადა:

„ეროვნების უარყოფის პირობებში, გაივლის რამდენიმე წელიწადი და აღარ გვეცოდინება, ჩვენთან მცხოვრებ 80 ერსა და ეროვნებას შორის ქართველო-

¹⁶⁴ Reisner, Oliver. Between State and Nation Building – The Debate about ‘Ethnicity’ in Georgian Citizens’ ID Cards. In Exploring the Caucasus in the 21st Century: Essays on Culture, History and Politics in a Dynamic Context. Françoise Companjen, László Marác, Lia Versteegh (eds.). Amsterdam: Pallas Publication, 2010, გვ. 158.

ბა კვლავ უმრავლესობა არის თუ არა. აქედან გამომდინარე, თუ არ გვეცოდინება, რომ უმრავლესობას წარმოვადგენთ, სახელმწიფოს სახელწოდების – საქართველოს – დატოვება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, გვეტყვიან – თუ არა ხართ უმრავლესობა, რატომ უნდა ერქვას ამ ქვეყანას საქართველო?”¹⁶⁵

მისი მოსაზრებით, საქართველო კოსმოპოლიტიზმის საცდელ პოლიგონად იქცა, რომელსაც ტოლერანტობასა და ადამიანის უფლებათა პატივისცემას ის ერები ასწავლიან, რომლებსაც გაცილებით ხანმოკლე ისტორია აქვთ. ასეთად შარაძე ამერიკის შეერთებულ შტატებს მოიხსენიებდა.

უფრო გვიან საზოგადოების ნაწილის პროტესტი გამოიწვია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამ,¹⁶⁶ რომელმაც აკრძალა ყველა ფორმის, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობის, ასევე სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ინდივიდისა თუ ჯგუფის დისკრიმინაცია. პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა, რაობა, იმედის“ დამფუძნებელმა ლევან ვასაძემ, ლგბტ უფლებების დაცვის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე, კანონის დაუყოვნებლივ გაუქმება მოითხოვა. მისი სიტყვით, ეს კანონი ქვეყანაში არეულობას და სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირებას იწვევდა. ვასაძის განცხადებით, სანაცვლოდ, აუცილებლად უნდა მიღებულიყო კანონი, რომელიც

¹⁶⁵ ინტერვიუ გურამ შარაძესთან, <https://bit.ly/3tgWAOH> (ნანახია 31/03/2021).

¹⁶⁶ საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, <https://bit.ly/3KK0ghk> (ნანახია 21/03/2021).

აკრძალავდა „გარყვნილების პროპაგანდას.“¹⁶⁷ ანტიდასავლური შეხედულებების მქონე რადიკალურ ჯგუფებს მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციების საქართველოში დანერგვაში მთავარ დამნაშავედ დასავლური ქვეყნები მიაჩნიათ, რომლებიც, მათი შეხედულებით, ებრძვიან ტრადიციულ ქართულ ფასეულობებს.

საქართველოში პოპულიზმის შესწავლისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ლევან ვასაძის შემთხვევა. იგი ბიზნეს ელიტის წარმომადგენელია, რომელიც შემდეგ პოლიტიკაში ჩაერთო. ლევან ვასაძე და მასთან დაკავშირებული ჯგუფები აქტიურად იყენებენ ქართულ საზოგადოებაში დასავლეთის მიმართ არსებულ ნეგატიური დამოკიდებულებებს, ასევე, ორგვარი დასავლეთის იდეას, რომელიც პოსტსაბჭოთა დამოუკიდებლობის სანცისი პერიოდიდან არსებობს. ვასაძე ერთმანეთისგან განასხვავებს ისტორიულად არსებულ, მორალურ და თანამედროვე, გარყვნილ ევროპას:

„მე ვარ ევროპის და დასავლეთის ერთ-ერთი პირველი აპოლოგეტთაგანი, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ისტორიული ევროპა არის ერთი და ის კულტურა, რომელშიც ახლა ბანაობს ევროპა, არის მეორე. იმ ევროპაში, რომელშიც ერთსქესიანი ქორწინებაა დაშვებული, მე არაფერი მესაქმება, არც ჩემს ცოლს, არც ჩემს შვილებს, არც ჩემს სამეგობროს და თუ გამოვლენ და მეტყვიან, რომ ესაა ჩვენი სტანდარტი და თუ გინდათ ჩვენთან მოხვიდეთ, ასეთები გახდითო, ჩვენ

¹⁶⁷ ანტიდისკრიმინაციული კანონი – რას ერჩიან მას ჰომოფობები, <https://bit.ly/3tB141h> (ნანახია 31/03/2021).

*ვეტყვი, გვაპატიეთ, გვეგონა, რომ ევროპა რაღაცა
სხვა იყო.”¹⁶⁸*

ვასაძის ანტიდასავლური ნარატივი იდენტობაზე და-
ფუძნებული ევროსკეპტიციზმის თვალსაჩინო მაგალითია. მი-
სი პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება – „ერთობა,
რაობა, იმედი“ – პირდაპირ მინიშნებას აკეთებს იდენტობაზე.
ვასაძის სიტყვით, პარტიის სახელწოდებიდან სიტყვა „რაობა“
იდენტობას ნიშნავს. ყურადღებას იქცევს ასევე ვასაძის მოძ-
რაობის სახელის აბრევიატურა – „ერი,“ რომელიც, მისივე
განცხადებით, არ არის შემთხვევითი. საინტერესოა მოტივა-
ცია, თუ რატომ ჩაერთო ლევან ვასაძე პოლიტიკაში. მისი
სიტყვით, დასავლეთი ზღუდავს და უხეშად ხელყოფს საქარ-
თველოს სუვერენიტეტს. მისთვის „ბოლო წვეთი“ აღმოჩნდა
ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის მიერ საქარ-
თველოს მმართველი და ოპოზიციური პარტიებისთვის ხელ-
მოსაწერად შეთავაზებული დოკუმენტი,¹⁶⁹ რომელიც პოლა-
რიზების შემცირებას და პოლიტიკური ცხოვრების ნორმალი-
ზებას ისახავდა მიზნად. ვასაძის მტკიცებით, ეს დასტურია
იმისა, რომ მოშლილია დამოუკიდებლად გადანყვეტილებების
მიღების სისტემა და ქვეყანა სრულად დაექვემდებარა დასავ-
ლეთის დირექტივებს.¹⁷⁰ მან საქართველოში არსებული და-
სავლური ლიბერალი წესრიგი დაადანაშაულა ყველა იმ პრობ-
ლემის გამწვავებაში, რომელიც დღემდე დგას საზოგადოების
წინაშე. ლევან ვასაძის საზოგადოებრივი მოძრაობა მკაფიოდ

¹⁶⁸ ინტერვიუ ლევან ვასაძესთან, *კვირის პალიტრა*, <https://bit.ly/37G1zQp> (ნა-
ნახია 31/03/2021).

¹⁶⁹ „რა წერია პრეზიდენტ მიშელის ახალ წინადადებაში არჩევნებსა და პა-
ტიმრებთან დაკავშირებით,” რადიო თავისუფლება, <https://bit.ly/3qaP6u2> (ნა-
ნახია 22/02/2022).

¹⁷⁰ „ლევან ვასაძე პოლიტიკურ მოძრაობას იწყებს,” <https://bit.ly/3teo1Z6> (ნა-
ნახია 22/02/2022).

პოპულისტურ ხასიათს ატარებს; იგი ანტიელიტისტურია – უპირისპირდება ათწლეულების განმავლობაში არსებულ ლიბერალურ პოლიტიკურ წესრიგს და მანიპულირებს საზოგადოებისთვის ყველაზე მგრძობიარე საკითხებით. ვასაძის ნარატივის ძირითადი შემადგენელი იდენტობაზე (რელიგიისა და ეროვნული ტრადიციების ხელყოფა, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა) დამყარებული ევროსკეპტიციზმია, თუმცა, იმისთვის, რომ ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა უზრუნველყოს, ვასაძე აქცენტს ასევე აკეთებს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე (სიღარიბე, უმუშევრობა და დემოგრაფიული საკითხები). ლევან ვასაძისთვის დასავლეთი ცარიელი აღმნიშვნელია. იგი, სარგებლობს რა ქართველ ხალხში არსებული იმედგაცრუებით და ნუხილით, ამ აღმნიშვნელს ავსებს მისთვის სასურველი ნეგატიური შინაარსით. იგი ცდილობს საკუთარი საზოგადოებრივი მოძრაობის საერთაშორისო კონტექსტში მოთავსებას. მისი სიტყვით, მთელი სამყაროს მასშტაბით მიმდინარეობს ბრძოლა „სუვერენისტებსა და გლობალისტებს“ შორის და საქართველოში მიმდინარე პროცესიც ამ ბრძოლის გამოძახილია. ვასაძე ასევე არ ერიდება ტერმინ „პოპულიზმის“ დადებით კონტექსტში გამოყენებას. იგი საკუთარ თავს პოპულისტ და სუვერენისტ პოლიტიკოსთა რიგში აყენებს:

„პოპულიზმის ტალღა დასავლეთ ევროპაში, სუვერენიზმის ტალღა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, პოპულიზმის და სუვერენიზმის ან პოპულიზმის და ნაციონალიზმის ტალღა ჩრდილო და ცენტრალურ აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში გამყდარებული სუვერენული ტენდენციები, სუყველა სუვერენისტი პოლიტი-

კოსი ან საზოგადო მოღვაწე [...] ლაპარაკობს ერთი და იგივეს.”¹⁷¹

ლევან ვასაძე საუბრობს სამ ტრანსნაციონალურ იდეოლოგიაზე – ფაშიზმზე, მარქსიზმზე და ლიბერალიზმზე, წარმოადგენს მათ, როგორც ერი-სახელმწიფოს მთავარ მტრებს. ვასაძის შეხედულებები ეროვნული პოპულიზმის გამოხატულებაა, რომელიც, ნაციონალური ერთობის იდეაზე და სუვერენიტეტზე აპელირებით, მონინალმდეგედ სახავს „გლობალურ“ ძალებს. ეს ძალები ებრძვიან ეროვნულ იდენტობებს.¹⁷² ეს ნარატივი პოპულიზმისა და ნაციონალიზმის ნაზავია. მისი ავტორი, საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ცდილობს ამ მოძრაობის ინტერნაციონალიზაციას და პოპულიზმის სხვა შემთხვევებთან კონტექსტუალიზაციას. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, საქართველო გლობალური პროცესების ნაწილად განვიხილოთ, სადაც თავისებურად არის არეკლილი საერთაშორისო პოპულისტური ტენდენციები. სუვერენიტეტის ხელყოფისკენ მიმართულ საფრთხეებზე აქცენტით, ლევან ვასაძე დასავლურ ინტეგრაციას ქვეყნის უმთავრეს პრობლემად წარმოაჩენს. მისი სიტყვით, თუ ტერიტორიების ერთი ნაწილის ოკუპაცია რუსეთის მიერ მწვავე პრობლემაა, მეორე მხრივ, საქართველოს სახელმწიფო ეგზისტენციალური გამოწვევის წინაშე დგას, რადგან დასავლეთის მიერ ჩამორთმეული აქვს სუვერენიტეტი ქვეყნის დარჩენილ (არაოკუპირებულ) ტერიტორიაზე. მისი მტკიცებით, განვლილი 30 წლის განმავლობაში ლიბერალური გზით სიარულმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა – რადიკალურად შეამცირა მოსახ-

¹⁷¹ „ლევან ვასაძე – პოლიტიკაში შესვლა,” <https://bit.ly/3ie4pxP> (ნანახია 22/02/2022).

¹⁷² იქვე.

ლეობის რაოდენობა, გაზარდა სიღარიბე, ქვეყანა დაახრჩო საგარეო ვალებში და დაუნგრია „გამართული“ განათლების სისტემა. ლევან ვასაძის ეს ნარატივი კლასიკური პოპულიზმია იმ თვალსაზრისითაც, რომ მის მიერ ზუსტად არის იდენტიფიცირებული საქართველოს სახელმწიფოს მწვავე პრობლემები, თუმცა, განსხვავებით დომინანტური პოლიტიკური ნარატივისგან, მას ბრალეულობის ვექტორი დასავლეთის – ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების – მხარეს გადააქვს.

მგავსი შეხედულებების რეპრეზენტაციას ხშირად ვხვდებით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის, სახელოვნებო და აკადემიური წრეების მხრიდან. მაგალითად, 2018 წელს გავრცელდა კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ღია წერილი, რომლითაც მათ საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს მიმართეს. წერილის ავტორებმა დასავლეთის სახელმწიფოები დაადანაშაულეს საქართველოს გაღარიბებაში, ტერიტორიული მთლიანობის რღვევაში, დემოგრაფიულ პრობლემებში. ყველა ეს პრობლემა, წერილის ხელმომწერთა აზრით, საქართველოს დასავლური კურსის და ნატოსკენ სწრაფვის შედეგია.

„პროდასავლურმა პოლიტიკამ და ქართველების სწრაფვამ ნატოს სამხედრო ალიანსისკენ გაართულა საქართველოს ურთიერთობები მეზობელ რუსეთთან და სწორედ ამან განაპირობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, შექმნა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და შეაფერხა ქვეყნის განვითარება, ხალხი გაღატაკდა და მოსახლეობის რაოდენ-

ნობა 4 მილიონზე დაბლა ჩამოვიდა.”¹⁷³ – წერია კულტურის სფეროს წარმომადგენელთა წერილში.

მათი შეხედულებით, საქართველოს, რომელიც უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან განსხვავებით, არასოდეს უღალატია თავისი მოკავშირეებისთვის.¹⁷⁴ ანტიდასავლური განწყობები, რომლებიც ელიტურ ჯგუფებში არსებობს, ასახავს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დამოკიდებულებებს. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2015 წლის რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული ნეგატიური მოლოდინები იდენტობისკენ მიმართულ საფრთხეებს უკავშირდება. მაგალითად, გამოკითხულთა 45 პროცენტი, მათ შორის, ევროინტეგრაციის მომხრეებიც, თვლიან, რომ ევროკავშირი საფრთხეა ტრადიციებისთვის, ხოლო 28 პროცენტის აზრით, განევრიანების შემთხვევაში, მოსახლეობაში შემცირდება პატივისცემა ქართული კულტურის მიმართ.¹⁷⁵

კახა კაციტაძე 1999 წელს წერდა: „დასავლეთის ძლიერებასთან და რუსეთის შესუსტებასთან ერთად, პრორუსული ორიენტაციის მომხმარებთა რიცხვი ისეთი სისწრაფით მცირდება, რომ მალე მათი წითელ წიგნში შეტანა მოგვიწევს.“¹⁷⁶ ეს ოპტიმისტური პროგნოზი არ გამართლდა. მიუ-

¹⁷³ წერილი იხილეთ: <https://bit.ly/3qblcGf> (ნანახია 31.03.2021).

¹⁷⁴ იქვე.

¹⁷⁵ წულაძე, ლია. ესებუა, ფლორა. კახიძე, ირაკლი. კვინტრაძე, ანა. ოსეფაშვილი, ირინა. ამაშუკელი, მარიამ. *ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი 2016, გვ. 165-167.*

¹⁷⁶ კაციტაძე, კახა. „ორიენტაციები პოლიტიკური, ცივილიზაციური, კულტურული,” *ჟურნალი ომეგა*. # 2, 1999, გვ. 5.

ხედავად იმისა, რომ ანტიდასავლური ჯგუფები, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ერიდებიან ღიად პრორუსული ორიენტაციის გაცხადებას, ისინი გარკვეულ სენტიმენტებს ამჟღავნებენ რუსული სივრცის მიმართ და საუბრობენ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობაზე. საქართველოში საჯარო სივრცე, ტელევიზია, სოციალური და ბეჭდური მედია წარმოადგენს პროდასავლური და ანტიდასავლური ნარატივების ერთგვარ ბრძოლის ველს. უკანასკნელ ათწლეულებში ანტიდასავლურმა განწყობებმა მწყობრი, მიზანმიმართული ხასიათი შეიძინა და უმაღლეს პოლიტიკურ სტრუქტურებში შეაღწია. ნაციონალისტური შეფერილობის მქონე, ანტიდასავლურმა პოლიტიკურმა გაერთიანება “პატრიოტთა ალიანსმა” 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში რამდენიმე სადეპუტატო მანდატი მოიპოვა. პარტიის ლიდერები ღიად ამჟღავნებენ საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოს დასავლურ ორიენტაციის მიმართ.

ანტიდასავლური პოპულიზმი საქართველოში, დიდწილად, ნეგატიურ სტერეოტიპებზეა დამყარებული. იგი საქართველოს საზოგადოების ისეთ მგრძნობიარე და მონყვლად პრობლემებზე აპელირებს, როგორებიცაა ტერიტორიული დეზინტეგრაცია, მართლმადიდებლობა, სოციალურ-ეკონომიკური სირთულეები და სიღარიბე, ტრადიციული ფასეულობები, ოჯახი, სქესთა შორის ურთიერთობები და სხვა. ლევან ვასაძის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც იდენტიფიცირებულია მწვავე პრობლემები, რომელთა წარმოქმნაში დასავლეთია დადანაშაულებული.

ანტიდასავლური პოლიტიკური ფრთის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ჯონდი ბალათურიას განცხადებით, თითქმის ოცდაათწლიანი პროდასავლური ორიენტაციის შედეგად

ქართველ ხალხს არანაირი სარგებელი არ მიუღია. გამდიდრდა მხოლოდ პოლიტიკური ელიტა, მაშინ, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ვალებით იტანჯება. ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები, რეინტეგრაციის პერსპექტივები კი უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება. ბალათურიას მტკიცებით, რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ მხოლოდ დასავლურ პოლიტიკაზე პასუხია და, რომ არა ეს პოლიტიკა, საქართველო არ გახდებოდა აგრესიის მსხვერპლი. ჯონდი ბალათურია ბრალს სდებს დასავლურ სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში წარმოშობილ მძიმე პრობლემებში და ამ პრობლემებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში.¹⁷⁷

„სად გვინდა, რომ შევიდეთ? ნატოში თუ სოხუმში?“ – განაცხადა საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატმა ადა მარშანიამ. მისი სიტყვით, ქართველი ხალხი დგას გარდაუვალი არჩევანის წინაშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას შორის. გადანყვეტილება დასავლურ ორგანიზაციებში განევრიანების შესახებ აპრიორულად ნიშნავს დაკარგულ ტერიტორიებზე უარის თქმას.¹⁷⁸ მსგავსი პოლიტიკური განცხადებებით გამოირჩეოდა საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. მისი შეხედულებით, დაკარგული ტერიტორიები არის ფასი საქართველოსთვის, რომელსაც იგი იხდის დასავლურ ორგანიზაციებში განევრიანების სანაცვლოდ. ნინო ბურჯანაძის შემთხვევა საინტერესოა პოპულიზმის კვლევის თეორიული პერსპექტივიდან. იგი „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და პარლამენტის თავ-

¹⁷⁷ ჯონდი ბალათურიას განცხადება იხ.: <https://bit.ly/3whsps6> (ნანახია 22/02.2021).

¹⁷⁸ ადა მარშანიას განცხადება იხ.: <https://bit.ly/3Ih5vDE> (ნანახია 22/02.2021).

მჯდომარედ მუშაობის პერიოდში აქტიური პროდასავლური საქმიანობით გამოირჩეოდა. პრეზიდენტ სააკაშვილთან კონფლიქტისა და ოპოზიციაში გადანაცვლების შემდეგ, იგი ცდილობდა პოლიტიკურად ესარგებლა საქართველოს საზოგადოებაში არსებული ანტიდასავლური განწყობებით, ასევე იმ იმედგაცრუებით, რომელიც დასავლური ინსტიტუციების მიმართ ქართველი ხალხის გარკვეულ ნაწილში არსებობს.¹⁷⁹ მსგავსი მაგალითები დამახასიათებელია ევროპული პოპულიზმის ტალღისთვის. მაგალითად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, რომლის ხელმძღვანელობით უნგრეთი სრულად ინტეგრირდა დასავლურ ორგანიზაციებში, შეუერთდა ნატოს 1999 წელს, დღეს ლიდერ ევროსკეპტიკოს და პოპულისტ პოლიტიკოსად არის ქცეული. ეკონომიკური კრიზისის, აღმოსავლეთიდან დასავლეთში ლტოლვილთა ნაკადების ზრდის და, აქედან გამომდინარე, შეცვლილი საზოგადოებრივი განწყობების შესაბამისად, დემოკრატი და პროევროპელი ორბანი ლიბერალური დემოკრატიის მთავარ კრიტიკოსად იქცა. იგი უპირისპირდება „გლობალისტ ელიტებს“, რომლებიც საფრთხეს უქმნიან უნგრელი ხალხის ნაციონალურ იდენტობას.¹⁸⁰

დასავლეთთან ურთიერთობებში არსებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებით, მათი სასურველი ინტერპრეტაციით და ანტიდასავლურ ნარატივად გარდაქმნით არის დაკავებული სატელევიზიო არხი „ალტინფო“, რომელიც, ამავდროულად, სოციალურ და ინტერნეტ მედიაშიც აქტიურად მუშაობს. არხის შემქმნელთა მტკიცებით (ამაზე

¹⁷⁹ ინტერვიუ ნინო ბურჯანაძესთან იხ. <https://bit.ly/3MU9qK1> (ნანახია 03/03/2021).

¹⁸⁰ “Hungary's Viktor Orban: populist fanning EU tensions,” *France 24*, <https://bit.ly/37BA4Hz> (ნანახია 03/03/2021).

მეტყველებს მისი სახელწოდება(ც), ისინი საზოგადოებისთვის ალტერნატიული ინფორმაციის მიწოდებას ემსახურებიან და ამ გზით უპირისპირდებიან განვლილი 30 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ დასავლეთის გაბატონებულ ნარატივს. მათი სიტყვით, ალტინფო არის „ერთადერთი ობიექტური ტელევიზია საქართველოში.“¹⁸¹ საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებლებმა, 2021 წლის შემოდგომაზე ჩამოაყალიბეს პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა.“ მისი ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ მახარაძის სიტყვით, მოძრაობის მიზანია, შეიქმნას კონსერვატიული ძალა, რომელიც გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის განწყობებს. „დღესდღეობით წარმოდგენილი ყველა პარტია არის ლიბერალური. [...] ჩვენ იდეოლოგიურად განსხვავებულ პარტიას ვაფუძნებთ, რომლის მთავარი სათქმელი იქნება, რომ საქართველოში უნდა დამყარდეს ქრისტიანული დემოკრატია.“ მახარაძის აზრით, პრინციპები, რომლის მიხედვითაც საქართველოში საკანონმდებლო სივრცე უნდა დარეგულირდეს, უნდა ჩამოყალიბდეს ქრისტიანული მორალიდან და ქართული კულტურიდან გამომდინარე. „რაც არის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მორალურად და კულტურულად მისაღები, იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული ქვეყნის კანონმდებლობა და არა გარედან წამოსულ დირექტივებზე.“¹⁸² ამ შემთხვევაში, ვხედავთ სხვადასხვა სახის პოპულიზმის გამაერთიანებელ რამდენიმე ძირითად კომპონენტს – ხალხის სახელით საუბარი, უმრავლესობის ნების გამომხატველად თავის წარმოჩენა, კონსტიტუციური წესრიგის კრიტი-

¹⁸¹ ალტინფოს ფეისბუქის გვერდი, <https://bit.ly/36pkCNT> (ნანახია 03/03/2022).

¹⁸² „პრეს-კონფერენცია კონსერვატიული მოძრაობის სადამფუძნებლო ყრილობაზე,“ <https://bit.ly/3KNIrOI> (ნანახია 02/02/2022).

კა, რომელიც მხოლოდ ელიტებისა და საზოგადოების მცირე ნაწილის ნებას ასახავს, სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელ იდეოლოგიურ პრინციპებთან დაპირისპირება. ალტინფო ცდილობს შექმნას ალტერნატიული რეალობა, სადაც სრულად იქნება დემონიზებული როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ასევე სახელმწიფოს მონყობის საფუძვლები. ამ ჯგუფისთვის დასავლეთი არის ყველა უბედურების წყარო, რომელმაც „აიძულა“ ქვეყანა, განვითარების არასწორ გზას დადგომოდა.

ალტინფო ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობს, ერთი მხრივ, დასავლური სამყაროს სრულ დემონიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველო-დასავლეთის ურთიერთობებში არსებული პრობლემების უტრირებას და საზოგადოებისთვის განსხვავებული ფორმით მიწოდებას, ან, სულაც, მათ გამოგონებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორგანიზაციას „ნადირობა“ აქვს გამოცხადებული საქართველოდან დაკავშირებულ საერთაშორისო საკითხებზე, თვალს ადევნებს მცირე დეტალებსაც კი, ცალკეული ექსპერტებისა და პოლიტიკოსების განცხადებების ჩათვლით და მათი განსხვავებული ინტერპრეტაციით ამდიდრებს ანტიდასავლურ ნარატივს. მაგალითად, 2021 წლის 1 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის დროს, არხის ეთერში აჩვენებდნენ დასავლელ დიპლომატებს, რომლებიც ერთ-ერთ ლონისძიებას პრაიდის მონინააღმდეგეთა შეძახილების ფონზე ტოვებდნენ. ხმაურიანი სიუჟეტის კომენტარებისას, გადაცემის წამყვანი მოუწოდებდა მაყურებელს, კარგად დაემახსოვრებინა ეს კადრები და გაეცნობიერებინა, რომ დასავლეთი არის ძალა, რომელიც საქართველოში ამკვიდრებს სიბინძურეს და გვი პროპაგანდას. ევროპული ინსტიტუციები ცდილობენ „გა-

დატეხონ ქართველი ხალხის ნება, კულტურა, იდენტობა. [...] უშუალოდ დასავლეთი, ამერიკა და ევროკავშირი.¹⁸³ ამავე გადაცემაში, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განავითარეს აზრი, თითქოს, საერთაშორისო ორგანიზაციებში განვერიანების სანაცვლოდ, დასავლეთი ითხოვს გარყვნილების დაკანონებას.

საინტერესოა კიდევ ერთი შემთხვევა; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა ინტერვიუ ამერიკელ პროფესორ ნილ მაკფარლეინთან, სადაც იგი პესიმისტურად საუბრობს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივაზე.¹⁸⁴ ალტინფოს წარმომადგენლებმა განაზოგადეს მისი მოსაზრება და წარმოადგინეს როგორც დასავლეთის უნივერსალური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.¹⁸⁵ მსგავსი შემთხვევა მოხდა ევროპარლამენტარ მარინა კალიურანდის მოსაზრებასთან დაკავშირებით. კალიურანდის განცხადებით, ევროკავშირში არ არსებობს კონსენსუსი გაფართოების საკითხზე. მან ქართველ ხალხს მოუწოდა, ნუ შეიქმნის გადაჭარბებულ მოლოდინებს ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით 2024 წელს.¹⁸⁶ კონკრეტული საკითხის, პრობლემის, მოვლენისა თუ ნარატივის უნივერსალიზაცია და მისი საყოველთაო ქეშმარიტებად წარმოჩენა პოპულიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია. ამ გზით ხორციელდება საზოგადოების შესაბამისი განწყობების მობილიზება პოპულისტური მიზნების გარშემო.

¹⁸³ „დასავლეთია ის ძალა, რომელიც ამკვიდრებს გეი პროპაგანდას.“ <https://bit.ly/3KM2ugc> (ნანახია 02/02/2022).

¹⁸⁴ „ამერიკელი პროფესორი ნილ მაკფარლეინი საქართველოს პროდასავლურ პერსპექტივებზე.“ <https://bit.ly/3IuzVm9> (ნანახია 02/02/2022).

¹⁸⁵ იქვე.

¹⁸⁶ კალიურანდი, მარინა. „არ არსებობს კონსენსუსი ევროკავშირის გაფართოების საკითხზე.“ <https://bit.ly/3KorIB6> (ნანახია 02/02/2022).

კონსერვატიული მოძრაობის წარმომადგენლები ერთმანეთს უპირისპირებენ ქრისტიანულ და ლიბერალურ ფასეულობებს. ამ უკანასკნელს წარმოაჩენენ, როგორც ანტირელიგიურ, მორალისგან დაცლილ სისტემას. მათი შეხედულებით, კონსერვატიული მოძრაობისთვის ფუნდამენტურია უძველესი ქრისტიანული ფასეულობები, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თანამედროვე დასავლურ ლიბერალიზმთან. მოძრაობის დამფუძნებელთა მტკიცებით, საქართველოს საზოგადოებაში მიმდინარეობს ბრძოლა ქრისტიანულ და ლიბერალურ ფასეულობებს შორის. ეს ნარატივი ასევე ახლოს დგას ორი დასავლეთის იდეასთან, რომლითაც ხშირად იკვებება თანამედროვე ქართული პოპულიზმი.¹⁸⁷

¹⁸⁷ ქრისტიანული იდენტობის და ლიბერალური იდენტობის ბრძოლა ქართულ საზოგადოებაში, <https://bit.ly/36nU3ZA> (ნანახია 02/02/2022).

დასკვნა

დასავლეთისადმი დამოკიდებულება, იდენტობის დასავლურ სივრცესთან მიმართებით განსაზღვრა საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის პრობლემაა. ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ეპოქაში, ნაციონალური იდენტობის მშენებლებისთვის, დასავლეთი განიხილებოდა როგორც განვითარების სანიმუშო მოდელი. მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე, ეროვნული ერთობის ფორმირების პროცესში, რომელიც მოიცავდა როგორც კულტურული ასევე პოლიტიკური ნაციონალიზმის ეტაპს, საქართველოს დასავლური გზის იდეა დომინანტურად იქცა. ამ შეუქცევადი პროცესის შედეგად, პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას გაცხადებულად დასავლური ორიენტაცია ჰქონდა. საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია ერთ-ერთ ძირითად მიზნად გამოაცხადა. თუმცა ხშირმა იმედგაცრუებებმა, რომლებიც თან ახლდა დასავლური გზით სვლას, კულტურულმა თავისებურებებმა, გეოგრაფიულმა სიშორემ, ეგზისტენციალური არჩევანის წინაშე დგომის მუდმივმა განცდამ, ხელი შეუწყო იდენტობის ალტერნატიული, ანტიდასავლური დისკურსის გაჩენას. საქართველოს დაუსრულებელი ევროპული ინტეგრაცია, საქართველო-დასავლეთის ურთიერთობის პრობლემური მხარეები ანტიდასავლური განწყობების ჩამოყალიბების ძირითად წყაროდ იქცა.

1910-1920-იან წლებში ჩამოყალიბდა პარადიგმა, რომლის ფარგლებში განვითარდა დასავლეთისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება. ეს პარადიგმა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა; საბჭოთა ეპოქის მიწურულს მან განსაზღვრა

ახალი დებატები საქართველოს კულტურული იდენტობისა და ორიენტაციის საკითხებზე. პოსტსაბჭოთა პერიოდის სანყისი ეტაპიდან დაიწყო დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის პარალელური პროცესები. დასავლეთი იქცა ცარიელ აღმნიშვნელად, რომელიც მუდმივად ივსება ურთიერთგამომრიცხავი შინაარსით, მკვეთრად პოზიტიური და ნეგატიური კონოტაციით. პოპულიზმის აღმავლობა საქართველოში ორგანულად დაუკავშირდა ქვეყნის დასავლურ ინტეგრაციას, იქცა მის თანმდევ პროცესად. გამოიკვეთა ორი მკვეთრად დაპირისპირებული და, ამავე დროს, ურთიერთგადაჯაჭვული ტენდენცია. რაც უფრო მეტად ცდილობს ქვეყანა დასავლეთთან პოლიტიკურ დაახლოებას, მით უფრო ძლიერდება და ორგანიზებულ ფორმას იღებს ანტიდასავლური პოპულიზმი. დასავლეთის დემონიზაცია მისი პოლიტიკური იდეალიზაციის პარალელურად მიმდინარეობს და თანდათან იპყრობს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს დასავლური პოლიტიკით უკმაყოფილო და იმედგაცრუებულია. პოპულიზმი თანამედროვე საქართველოში ირეკლავს როგორც დასავლეთისადმი დამოკიდებულების ისტორიულ პარადიგმას, ასევე საერთაშორისო კონტექსტს, სადაც, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ძლიერად მოიკიდა ფეხი ევროსკეპტიციზმმა და ანტიდასავლურმა განწყობებმა.

საქართველოში ეროვნული პოპულიზმის გააზრებისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორი:

- ევროპული ინტეგრაციის გზის თანმდევი იმედგაცრუების შედეგად, შეიქმნა ერთგვარი სივრცე, რომელიც ივსება ანტიდასავლური პოპულიზმით. მისი იდეოლოგიები მანიპულირებენ აღნიშნული

პრობლემით და ცდილობენ ისარგებლონ საზოგადოების ნაწილში გაჩენილი განწყობებით.

- საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია მძიმე, დრამატული მოვლენებით ხასიათდებოდა. ტრანზიციის პროცესში, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტია, თავს იჩენს იდენტობის კრიზისი, უიმედობა, წარსულისადმი ნოსტალგია, ულტრა-ნაციონალისტური განწყობები. იქმნება პოპულისტი პოლიტიკოსებისა თუ საჯარო ფიგურებისათვის ხელსაყრელი გარემო საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისთვის.
- მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს საბჭოთა გამოცდილება. საზოგადოების დიდი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ანტიდასავლური პროპაგანდის პირობებში ცხოვრობდა. ამ ადამიანებს ახასიათებთ ემოციური სიახლოვე რუსულ სივრცესთან და მტრული დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ. შესაბამისად, ეს ჯგუფები უარყოფითად არიან განწყობილი საქართველოს ევროპული ორიენტაციის მიმართ.
- მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს დასავლეთისგან იზოლაცია საუკუნეების განმავლობაში. ქართველმა ხალხმა დასავლური სამყარო, რეალურად, უკანასკნელ ათწლეულებში „აღმოაჩინა“. დასავლეთთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებობს ბევრი ნეგატიური სტერეოტიპი და ცრურწმენა, რაც, ძირითადად, დასავლურ ცხოვრების წესსა და კულტურას უკავშირდება. აღნიშნული დამოკიდებულებებით აქტიურად მანიპულირებენ

ანტიდასავლურად განყობილი ორგანიზაციები და
თავადაც არაერთ ნეგატიურ სტერეოტიპს ქმნიან.

ნაშრომში გაანალიზებული ძირითადი ფაქტორებისა
და ტენდენციების მიღმა, რომლებიც გამოიკვეთა საქარ-
თველოში დასავლეთისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდე-
ბულების თვალსაზრისით, არსებობს კიდევ ბევრი მნიშვნე-
ლოვანი საკითხი, რომელთა შესწავლა მომავალი კვლევის
საგანია.

ბიბლიოგრაფია

წყაროები:

ა) ოფიციალური დოკუმენტები, გამოსვლები, მიმართვები

გამსახურდია, ზვიად. „ღია წერილი საქართველოს ტელევიზიისადმი (ორიენტაციათა შესახებ),“ *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები, ინტერვიუები*, ტომი III, შემდგ. მზია ხოსიტაშვილი, შპს „ირიდა“, თბილისი, 2013.

გრიგოლ რობაქიძის სიტყვა (ევროპის სოციალისტურ დელეგაციას მწერალთა სახელით. *ევროპა თუ აზია*. (შემდგ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997.

ედუარდ შევარდნაძის მიმართვა, საქართველოს რესპუბლიკა, #144. 1992.

ედუარდ შევარდნაძის რადიოინტერვიუ, საქართველოს რესპუბლიკა, #9. 1998.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვა, საქართველოს რესპუბლიკა, #76. 1996

კანონი მოქალაქეობის შესახებ, <https://bit.ly/3KTrQsL> (ნანახია 12/02/2022).

ჟვანია, ზურაბ. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური განცხადებები, გამოსვლები, ინტერვიუები, ტომი XVI, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2019.

ჟორდანია, ნოე. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIV: ოფიციალური დოკუმენტები, სიტ-

ყვები და გამოსვლები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი, 2018.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები იხ.: <https://bit.ly/3tZHGex> (ნანახია 02/02/2022).

რაოდენობრივი კვლევის შედეგები იხ.: <https://bit.ly/3MYbOiO> (ნანახია 02/02/2022).

რაოდენობრივი კვლევის შედეგები იხ.: https://caucasusbarometer.org/ge/eu_ge/TIENATO/ (ნანახია 02/02/2022).

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, <https://bit.ly/3KK0ghk> (ნანახია 21.03.2021).

საქართველოს კონსტიტუცია <https://bit.ly/3N8a0nR> (ნანახია 12/02/2022).

საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004), რედ. მალხაზ მაცაბერიძე. „ახალი აზრი,“ თბილისი, 2007.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვედრა აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტთან ბატონ რიჩარდ ნიქსონთან, საქართველოს რესპუბლიკა, # 61 (81), 1991

ბ) მხატვრული და პუბლიცისტური წერილები, ესეები

გამსახურდია, ზვიად. „დილემა კაცობრიობის წინაშე,“ *მატიანე*, 2018, N 1-2 (23-25).

გამსახურდია, ზვიად. „მკვახე შეძახილის ექო,“ წერილები. ესეები. თბილისი, „ხელოვნება,“ 1991, გვ. 567.

გამსახურდია, ზვიად. წერილები, ესეები. *ჯვარი ვაზისა*, თბილისი, 1991.

- გამსახურდია, კონსტანტინე. კარგი ევროპელი. *ევროპა თუ აზია*. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997.
- იაშვილი, პაოლო. თარგმნილი ლიტერატურა. *ევროპა თუ აზია*. (შემდ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997.
- კოტეტიშვილი, ვახტანგ. „აზიისაკენ“, *ევროპა თუ აზია* (შემდგ. ნინო ხოფერია), „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997.
- მაჭავარიანი, მუსხრან. „საბა“, <https://bit.ly/3t8Mnn0> (ნანახია 12/03/2021).
- მესხი, სერგეი. „ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა“, *დროება*, N41, 1872.
- მინიშვილი, ნ. ქართული კულტურის ახალი გზები. *ევროპა თუ აზია*. (შემდგ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997.
- ნიკოლაძე, ნიკო. ბულგარია. ქართული მწერლობა: ტომი მე-ოთხმეტე. „ნაკადული“, თბილისი, 1997.
- ორბელიანი, ჯამბაკურ. „ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად.“ *ცისკარი*, 11, 1861.
- საბანაძე, გიორგი. ჯგერენაია, ემზარ. *ევროპა როგორც მასწავლებელი*. „მერიდიანი“, თბილისი, 2017.
- ტაბიძე, ტიცვიან. „ირონია და ცინიზმი. პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში“, *ევროპა თუ აზია*. (შემდგ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997.
- ტაბიძე, ტიცვიან. მანიფესტი აზიას. *ევროპა თუ აზია*. (შემდგ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1997.

ქიქოძე, გერონტი. „დასავლეთის კარები,” *ევროპა თუ აზია* (შემდგ. ნინო ხოფერიას), „ლიტერატურის მატრიანე,” თბილისი, 1997.

ხახანაშვილი, ალექსანდრე. „როგორ გავეცნოთ ევროპას,” *ევროპა როგორც მასწავლებელი*. „მერიდიანი,” თბილისი, 2017.

ჯავახიშვილი, მიხეილ. *კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავდასავალი*. საბჭოთა კავკასიონი, ტიფლისი, 1925.

ჯავახიშვილი, მიხეილ. *უბის წიგნაკებიდან*, (1924), “ინტელექტი,” თბილისი, 2015.

გ) ელექტრონული რესურსები

ადა მარშანიას განცხადება იხ.: <https://bit.ly/3Ih5vDE> (ნანახია 22/02.2021).

ადამიანის უფლებები საქართველოში 1991 წელს, *IDFI*, <https://bit.ly/34Jvxla> (ნანახია 20.02.2022).

ალტინფოს ფეისბუქის გვერდი, <https://bit.ly/36pkCNT> (ნანახია 03/03/2022).

ამერიკელი პროფესორი ნილ მაკვარლენი საქართველოს პროდასავლურ პერსპექტივებზე, <https://bit.ly/3IuzVm9> (ნანახია 02/02/2022).

ანტიდისკრიმინაციული კანონი – რას ერჩიან მას ჰომოფობები, <https://bit.ly/3tB141h> (ნანახია 31/03/2021).

ბაქრაძე, აკაკი. „იმედი და ნიჰილიზმი,” *თვალსაზრისი*, <https://bit.ly/36g9H9x> (ნანახია 12/12/2021).

ბიზანტიური პოლიტიკა ჰყვავის საბჭოთა საქართველოში, *IDFI*, <https://bit.ly/35Ty6lu> (ნანახია 12/02/2021).

დასავლეთია ის ძალა, რომელიც ამკვიდრებს გეი პროპაგანდას, <https://bit.ly/3KM2ugc> (ნანახია 02/02/2022).

დასავლეთის დახმარებაზე, 1997 წელი, <https://bit.ly/3MTF2iZ> (ნანახია 18/08/2021).

ინტერვიუ გურამ შარაძესთან, <https://bit.ly/3tgWAOH> (ნანახია 31.03.2021).

ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან, *თვალსაზრისი*, <https://bit.ly/3tZ5ijs> (ნანახია 20.02.2021).

ინტერვიუ ლევან ვასაძესთან, *კვირის პალიტრა*, <https://bit.ly/37G1zQp> (ნანახია 31/03/2021).

ინტერვიუ ნინო ბურჯანაძესთან იხ. <https://bit.ly/3MU9qK1> (ნანახია 03.03.2021).

კალიურანდი, მარინა. არ არსებობს კონსენსუსი ევროკავშირის გაფართოების საკითხზე, <https://bit.ly/3KorIB6> (ნანახია 02/02/2022).

კულტურის მუშაკების წერილი იხ: <https://bit.ly/3qblcGf> (ნანახია 31.03.2021).

ლევან ვასაძე – პოლიტიკაში შესვლა, <https://bit.ly/3ie4pxP> (ნანახია 22/02/2022).

ლევან ვასაძე პოლიტიკურ მოძრაობას იწყებს, <https://bit.ly/3teolZ6> (ნანახია 22/02/2022).

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა, <http://tradebridgeconsultants.com/news/government/president-mikheil-saakashvili-delivers-annual-address-in-national-library/> (ნანახია 02/02/2022).

მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება, 10/02/2005, <https://bit.ly/3th9aNC> (ნანახია 02/02/2022).

მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება, 15/03/2007, <https://bit.ly/3ifMzuy> (ნანახია 02/02/2022).

ნატო, *The Eduard Shevardnadze Center*, <https://bit.ly/37qMxxy> (ნანახია 02.02.2022).

ნატოს კარზე კაკუნის 20 წლიანი ისტორია, რადიო თავისუფლება, <https://bit.ly/3wdQjF4> (ნანახია 02/02/2022).

პრეს-კონფერენცია კონსერვატიული მოძრაობის სადამფუძნებლო ყრილობაზე, <https://bit.ly/3KNIrOI> (ნანახია 02/02/2022).

რა წერია პრეზიდენტ მიშელის ახალ წინადადებაში არჩევნებსა და პატიმრებთან დაკავშირებით, რადიო თავისუფლება, <https://bit.ly/3qaP6u2> (ნანახია 22/02/2022). საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს, *IDFI*, <https://bit.ly/3KKfPWm> (ნანახია 20.02.2022).

საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს, *IDFI*, <https://bit.ly/3KKfPWm> (ნანახია 20/02/2022).

საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, 28/02/2012, <https://bit.ly/3CN2yJO> (ნანახია 02/02/2022).

ქევანიშვილი, ეკა. *თავისუფლებისთვის: დათვია ლიქოკელის ამბავი*, <https://bit.ly/3iaUuch> (ნანახია 18/08/2021).

ქრისტიანული იდენტობის და ლიბერალური იდენტობის ბრძოლა ქართულ საზოგადოებაში, <https://bit.ly/36nU3ZA> (ნანახია 02/02/2022).

ჩაგელიშვილი, თომა. *ჩაკეტილი წრე, თბილისის ომი*, <https://bit.ly/3Je5Ubn> (ნანახია 21.06.2021).

ჯონდი ბალათურის განცხადება იხ.: <https://bit.ly/3whsps6> (ნანახია 22/02.2021).

George Bush's Remarks at the Supreme Soviet Building | “Chicken Kiev Speech” (August 1, 1991), <https://bit.ly/3IbdiD3> (ნანახია 02.21.2022).

Honoring His Legacy! Russians Will Remember George H. W. Bush’s Famous “Chicken Kiev” Speech, <https://bit.ly/3Ijyw1v> (ნანახია 13/02/2022).

Hungary's Viktor Orban: Populist Fanning EU Tensions, *France 24*, <https://bit.ly/37BA4Hz> (ნანახია 03/03/2021).

Reagan Meets 96 Soviet Dissidents : He Praises Their Courage, Says ‘I Came to Give You Strength,’ <https://lat.ms/37v36IJ> (ნანახია 10.01.2022).

სამეცნიერო ლიტერატურა

ასათიანი, გურამ. *სათავეებთან*, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1982.

ბაქრაძე, აკაკი. *რწმენა*, თბილისი, „მერანი“, 1990.

ბრისკუ, ადრიან. „ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია“, <https://bit.ly/3tWOSb5> (ნანახია 30.04.2021).

გოლცი, თომას. *საქართველო*, „არტანუჯი“, თბილისი, 2014. კაციტაძე, კახა. „ორიენტაციები პოლიტიკური, ცივილიზაციური, კულტურული“, *ჟურნალი ომეგა*, #2, 1999.

კერესელიძე, ნინო. „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში 1991-2013 წლებში“, *ცივილიზაციური ძიებანი*, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2012.

ნოდია, გია. „დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში“, *საზოგადოება და პოლიტიკა II*. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1999.

- ფუკუიამა, ფრენსის. *იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა ალიარებისთვის*, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2018.
- შველიძე, დიმიტრი. *პოლიტიკური დაპირისპირებანი და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992)*, უნივერსალი, თბილისი, 2008.
- ჩხაიძე, ირაკლი. *ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში*, კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2016, <https://bit.ly/37yw9eC> (ნანახია 12/02/2022).
- ჩხაიძე, ირაკლი. „დასავლეთის სახე საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ,“ *ცივილიზაციური ძიებანი*. თსუ გამომცემლობა, # 15, თბილისი, 2018, გვ. 12-22
- ნულაძე, ლია. ესებუა, ფლორა. კახიძე, ირაკლი. კვინტრადე, ანა. ოსეფაშვილი, ირინა. ამაშუკელი, მარიამ. *ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში*, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი 2016.
- ხოფერია, ნინო. *ევროპული და აზიური ორიენტაციების შესახებ საქართველოში. ევროპა თუ აზია*. (შემდგ. ნინო ხოფერია). „ლიტერატურის მატინანე“, თბილისი, 1997.
- ჯონსი, სტივენ. *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2013
- ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალდემოკრატიის ევროპული გზა*, ილია ჭავჭავაძის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2007.

- Anastasiou, Michaelangelo, “Of Nation and People: The Discursive Logic of Nationalist Populism,” *Journal of the European Institute for Communication and Culture*, Volume 26, 2019 – Issue 3.
- Brisku, Adrian. *Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008*, (New York – Oxford: Berghahn), 2013.
- Brubaker, Rogers. *Ethnicity Without Groups*, Harvard University Press, 2006, გვ. 27; Brass, R. Paul, *Ethnicity and Nationalism*, Sage Publications.
- Brundenburger, David. “Stalin’s Populism and Accidental Creation of Russian National Identity,” *Nationalities Papers*, 38(5), 723-739, 2010.
- Canovan, Margaret. *Populism*, Harcourt Brace Jovanovich, New York and London, 1981.
- Canovan, Margaret. *The people*, Polity Press, Cambridge, 2005.
- Coene, Frederic. *Instrumentalizing Euro-Atlanticism. Euro-Atlantic Discourse in Georgia from the Rose Revolution to the Defeat of the United National Movement*, Doctoral Dissertation. 2013, <https://bit.ly/3IW41jm> (ნანახია 22/02/2022).
- Chkhaidze, Irakli. “Nationalism and the Identity Struggle of a Post-Soviet Nation State.” *Nationalism in a Transnational Age: Irrational Fears and Strategic Abuse of Nationalist Pride*. De Gruyter Oldenbourg, 2021, გვ. 139-157.
- Cole, Michael. “A Taste of Georgia. Far Right Populism with a Unique Georgian Flavour,” *Populism 3*, 2020, BRILL.
- De Cleen, Benjamin. “Populism and Nationalism,” *The Oxford Handbook of Populism*, Oxford University Press, 2017.

- Laclau, Ernesto. *On Populist Reason*, Verso, London – New York, 2005.
- Laclau, Ernesto. *Populism: “What’s in a Name?” Post-Marxism, Populism and Critique*, Routledge, New York, 2015, 83-153- 156; Moffit, *The Global Rise of Populism*.
- Leruth, Benjamin, Startin, Nicholas and Usherwood, Simon (eds.) *Defining Euroscepticism from a Broad Concept to a Field of Study*, Routledge, London and New York, 2018.
- Lonescu, Ghita. Gellner, Ernest. (eds.), *Populism: Its Meaning and National Characteristics*. The Garden City Press, 1969.
- Lopes-Alves, Fernando and Johnson E. Diane. *Populist Nationalism in Europe and Americas*, Routledge, New York and London, 2019.
- March, Luke. “Populism in the Post-Soviet States,” *The Oxford Handbook of Populism*, Oxford University Press, 2017.
- Moffit, Benjamin. *The Global Rise of Populism*, Stanford University Press, Stanford, 2016.
- Mudde, Cas. Populism: “An Ideational Approach,” *The Oxford Handbook of Populism*, Oxford University Press, 2017.
- Ostiguy, Pierre. “Populism: A Socio-Cultural Approach,” *The Oxford Handbook of Populism*, Oxford University Press, 2017.
- Reisner, Oliver. Between State and Nation Building – The Debate about ‘Ethnicity’ in Georgian Citizens’ ID Cards. In *Exploring the Caucasus in the 21st Century: Essays on Culture, History and Politics in a Dynamic Context*. Françoise Companjen, László Marác, Lia Versteegh (eds.). Amsterdam: Pallas Publication, 2010.
- Stewart, Angus. “The Social Roots,” *Populism: Its Meaning and National Characteristics*. The Garden City Press, 1969.

- Styczyńska, Natasza. "Eurosceptic parties in the Central and Eastern European countries: a comparative case study of Poland, Hungary and Bulgaria," *The Routledge Handbook of Euroscepticism*, Benjamin Leruth, Nicholas Startin and Simon Usherwood (eds.), Routledge, New York, 2018.
- Szczerbiak, Aleks and Tagart, Paul (eds.) *Opposing Europe? The Comparative Party Politics of Euroscepticism*, Oxford University Press, 2008.
- Tamir, Yael. *Why Nationalism*, Princeton University Press, Princeton and Oxford, 2019, 83-9.
- Weyland, Kurt. "Populism: A Political-Strategic Approach," *The Oxford Handbook of Populism*, Oxford University Press, 2017.

”ANGEL” VS. ”DEVIL”

THE CONTROVERSIAL FACE OF THE WEST IN GEORGIA

SUMMARY

“We cannot meet forever, as an eternal bride and groom, we must legitimize our relationship, have children, that is, allegorically speaking, provide for a common future,”¹⁸⁸ said President of Ukraine Volodymyr Zelensky about the country’s integration in NATO and EU on April 16, 2021, on the eve of his visit to Paris. The same can be said for Georgia, for which, in the unfinished process of Western integration over the last decades, the West has become a crucial factor in the formation of alternative identity discourses. The urgency to explore the case of Georgia is also due to the fact that the EU has similar problems in Central and Eastern European countries. Natasza Styczynska, who studies Euroscepticism in Poland, Hungary and Bulgaria, indicates a specific background for these attitudes. According to her conclusion, Euroscepticism in the mentioned states is an “identity-based” phenomenon that involves a contradiction between national identity and European identity and is usually linked to the “integration dilemma,” that is, a fear of being ‘absorbed’ by a supranational institution. “Euroscepticism in CEE countries is often linked to disappointment with the outcomes of transformation as well as overgrown expectations accompanying accession to the European Union.”¹⁸⁹

¹⁸⁸ For the speech of Volodymyr Zelensky, see <https://frontnews.eu/en/news/details/5233>.

¹⁸⁹ Styczyńska, Natasza. “Eurosceptic parties in the Central and Eastern European countries: a comparative case study of Poland, Hungary and

The work aims to explore Eurosceptic national populism in Georgia as a major alternative to the mainstream European identity. Taking one of the basic features of populism that implies a view of the world from the Manichean tradition – a constant struggle between “light” and “dark,” “good” and “evil,” we can see the radical populist mobilization of communities around the extremely exclusive ideas about Euro-Atlantic integration.

Among these diverse kinds of populism, the proposed work is focused on national populism, which implies a close connection between nationalism and populism. A number of books on populism acknowledge these tight relations and, moreover, a certain conflation between the two. Both revolve around the sovereignty of the people. Benjamin de Cleen and Yannis Stavrakakis¹⁹⁰ attempt to explain this shared reflection on the concepts’ interconnection; although nation-states’ actual decision-making power has decreased significantly, the nation-state remains the primary context for democratic political representation and public debate. These connections have led to a conflation of populism and nationalism. In Gellner and Lonescu’s volume on populism,¹⁹¹ the term is called a “kind of nationalism.” Since then, much of the abundant literature on populism has treated exclusionary nationalism as an integral part of populist politics.

In recent years, anti-European narratives have become much better structured and purposeful in the country. The process culminated on July 5-6, 2021, when a crowded demonstration

Bulgaria,” *The Routledge Handbook of Euroscepticism*, ed. Benjamin Leruth, Nicholas Startin and Simon Usherwood, New York: Routledge, 2018, 140-141.

¹⁹⁰ Cleen, Benjamin D and Yannis Stavrakakis, “Distinctions and Articulations: A Discourse Theoretical Framework for the Study of Populism and Nationalism,” *Javnost – The Public: Journal of the European Institute for Communication and Culture* 24, no. 4 (2017): 301-319.

¹⁹¹ Gellner, Ernest and Ghita Lonescu, *Populism: Its Meaning and National Characteristics*. New York: Macmillan, 1969.

against LGBTQ rights turned into an anti-European protest. Protesters tore down and burned the EU flag from the building of the Parliament of Georgia as a symbol of “depraved” Europe that fights Georgian national identity and traditions. Contrary to the famous words “I am Georgian and therefore am European” said by the former Chairman of the Parliament Zurab Zhvania at the admission session to the European Council in 1999,¹⁹² the protesters chanted their own slogan: “I am Georgian and there is no “therefore.”¹⁹³ With this action, they challenged the official narrative that has prevailed in Georgia for the last decades.

Georgia is among the countries to which the identity crisis and exclusionary nationalism posed serious problems at the dawn of independence and determined political and social disintegration. The situation changed in the subsequent period and, in parallel to strengthening pro-European political aspirations, the Georgian national project gradually acquired civil characteristics. This study focuses on exploring the role of the West (and attitudes toward the West in general), with its political and cultural meanings, in the formation of alternative identity discourses. The ultimate goal is to analyze the post-Soviet experience of the country in terms of symbolic as well as real role of Europe¹⁹⁴ in Georgian public discourses; what is the extent of the role of the West in the process of the formation of different national identities? The research question is closely related to the fundamental problems of the Georgian nation on the way to building a European nation-state. The heterogeneous attitude toward the West has historical foundations. During the

¹⁹² For the speech of Zurab Zhvania, see <https://www.youtube.com/watch?v=QP83XGY7TZs>.

¹⁹³ For the speech, see <https://www.youtube.com/watch?v=poNguhJitKw>.

¹⁹⁴ Sometimes we use the term *West* instead of *Europe* because *West* is commonly used in Georgian public discourse for European states and institutions.

modern history of Georgia, from the formation of Georgian nationalism at the end of the 19th century to the establishment of the first Democratic Republic in 1918-1921, Europe had always been a distant relative, a political space with model states for Georgia's future development. This vision of Europe remained relevant in the process of post-Soviet independence. During the first period of independence (1918-1921), Georgia strongly aspired to be recognized by and integrated into the Western commonwealth. The country achieved some success in the process of building of European nation-state but, despite hopes of Western support, could neither prevent nor resist occupation by the Soviet Russia. Afterward, Georgian people lived for 70 years in conditions of anti-Western propaganda. From a historical perspective, Georgian-Western relations might be considered as a certain mix of hope and disappointment, or 'bittersweet,' as Adrian Brisku rightly named his book on Albanian and Georgian discourses on Europe.¹⁹⁵ This legacy must be taken into account when examining post-revolutionary Georgia because it had a huge impact and still plays a crucial role in its post-socialist transformation. The historical perception of and (political) trust in Europe still matter. Today, the EU is directly involved in developments in Georgia. However, interpretations of its role are often conflicting. In modern Georgian society, there is a feeling of being at an existential crossroads. Officially European road of Georgia is the subject of constant adjustments by enhanced and well-organized anti-Western forces. The anti-European narrative became stronger and well-structured under prevailing conditions of socio-economic problems and unresolved existential issues. The West is a kind of "empty

¹⁹⁵ Brisku, Adrian. *Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008*. New York: Berghahn, 2013.

signifier,”¹⁹⁶ filled in with different and often opposite meanings – for some, it is the only possible space to save the country; for others, it is the source of all the problems that have arisen since independence. A divided Georgian nation is split between two worlds – the imperial past (or legacy) and the European future.

Speaking of anti-Western populism and its influence, we should take into consideration the following factors:

- Georgians have often been disappointed with Georgian-Western relationships. This disappointment has frequently been caused by exaggerated expectations on the part of Georgians regarding their integration with Western organizations and the interference of the West in the processes taking place in Georgia. This disappointment has created a certain space, which is filled with anti-Western populism. Ideologists of this populism manipulate the abovementioned problem and try to take advantage of the anti-Western attitudes that are widespread in society.
- Georgia’s post-Soviet transformation was characterized by dramatic events. In processes of transition, when state institutions are weak, there are frequent cases of identity crisis, despair, nostalgia for a glorious past, and nationalist attitudes. The environment is favorable for populist politicians and public figures, hence they manipulate public opinion.
- Georgia’s Soviet experience plays an important role because a major portion of society has long lived in conditions of anti-Western propaganda. These people, including representatives of the former Soviet intelligentsia, are emotionally close to the Russian space

¹⁹⁶ Laclau, Ernesto. *Post-Marxism, Populism and Critique*. New York: Routledge, 2014, 32-49.

and feel nostalgic about the Soviet past. Thus, this group assesses Georgia's Western orientation negatively.

- Another important factor is Georgia's longstanding isolation from the West. In fact, Georgians discovered the Western world only in the past decades. In Georgian society, there are numerous negative stereotypes and prejudices regarding the West. These prejudices are chiefly connected with the Western lifestyle and vision. Along with other factors, this fact is due to the lack of information about the West. Anti-Western organizations actively manipulate these factors; moreover, they themselves create numerous negative stereotypes.

The problem researched in the book is a part of the recent history of Georgia. Processes that developed in the research period have largely determined domestic and international political developments and also conditioned many achievements and failures of the post-Soviet Georgia. At the present stage of the country's development, it is vital to provide a critical analysis of the way the Georgian state has progressed since independence. Analyzing these processes from the perspective of identity studies will contribute to rethinking Georgia's past, as well as determining the regional and international context of current events. The main novelty is the comprehensive study of Georgian populism, in which the Western world is represented as the major supply-side of populist mobilizations in Georgia. The study of populism, nationalism, and identity discourses is a new trend in Georgian humanities and social sciences.¹⁹⁷ Many issues in this

¹⁹⁷ Of the literature on the topic, we can mention Stephen Jones, *Georgia: A Political History Since Independence* (London: I. B. Tauris, 2013); Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation*, 2nd ed. (Bloomington, IN: Indiana University Press, 1994).

respect are still to be analyzed with the use of recent theories and new methodological approaches in social sciences regarding the formation and development of populism and nationalism, their interrelations, etc.

Anthony D. Smith, in the introduction to the Georgian edition of *Nationalism: Theory, Ideology, History*, mentions that “As a country of ancient culture and traditions, Georgia has always attracted the attention of Western scholars. Modern Georgia is a subject of their interest as well. However, the information one can find in the relevant literature is still scanty. The topics according to which historical descriptions or generalizations are usually arranged are sometimes disappointing for they ignore the theoretical achievements of modern social sciences.” In his words, this prevents one from going deeper in perceiving the rich historical heritage of the country. The reason for this undoubtedly lies in the long isolation of Georgian academics from their Western colleagues.¹⁹⁸ Although Smith wrote these words in 2004, this gap is still insurmountable and creates fundamental problems in terms of the internationalization of the Georgian case. A basic goal of the work is thus to contribute to its contextualization in the regional and international space.

The present book has analyzed the key factors and tendencies of Georgia’s attitudes toward the West. Numerous important issues have been left out at this stage, but these issues are planned to be analyzed during further research.

¹⁹⁸ Smith, Anthony D. *Nationalism: Theory, Ideology, History*, Georgian ed. Tbilisi, 2004, 14.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



„ახელთუმი“ „დებუნის“ ჰირისჰირ: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე საქართველოში